

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

მარიამ ზორბოძე

იურისტის კვალიფიკაციის
დადასტურება და პრაქტიკულ
იურიდიულ საქმიანობაზე
დაშვების ქართული მოდელი

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტის გამომცემლობა

უკ(UDC)34(479.22)
გ-698

მარიამ გორგოძე

იურისტის კვალიფიკაციის დადასტურება და პრაქტიკულ
იურიდიულ საქმიანობაზე დაშვების ქართული მოდელი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დავით ბატონიშვილის
სამართლის ინსტიტუტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2024

Mariam Gorgodze

**CONFIRMATION OF THE QUALIFICATION OF LAWYER AND
THE GEORGIAN MODEL OF ADMISSION TO LEGAL PRACTICE**

Prince David Institute for Law of Sulkhvan-Saba Orbeliani University

Sulkhvan-Saba Orbeliani University Press, Tbilisi, 2024

© მარიამ გორგოძე, 2024

© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2024

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2024

ISBN 978-9941-8-6918-1

ქართული სამართლებრივი განათლების (არცთუ) ანონიმური კლუბი (ალიარაბა, წინათქმის ნაცვლად)

ქართული სამართლებრივი განათლება ამაცად აგრძელებს ისტორიულ გზას: უნივერსიტეტებში ისწავლება სამართალი, რომელსაც, როგორც წესი, იურისტი ვერაფერში გამოიყენებს. აქ არაა საუბარი იმაზე, რომ სამართლის დინამიზმის გათვალისწინებით, პრაქტიკაში მოქმედი სამართალი წინ უსწრებს იურისპრუდენციას. არა, აუდიტორიებში განხილულ სამართალს, როგორც წესი, არაფერი აკავშირებს რეალურ ცხოვრებასთან: მოძველებული ან სრულიად მცდარი თეორიები, ჰიპოთეტური შემთხვევები, რომლებსაც იურისტი ცხოვრებაში ვერ შეხვდება, აბსტრაქტული საუბრები, რასაც მივყავართ ერთადერთ უცილობელ შედეგთან – სამართლის ბაკალავრის დიპლომით შეიარაღებული იურისტი იმ აუცილებელი უნარების გარეშე, რომელთა ერთობლიობაც ქმნის სწორედ სამართალმცოდნეს.

სწავლის დასრულების შემდეგ დიპლომირებულ იურისტთა უმრავლესობას საქართველოში არ შეუძლია კონსულტაციის განევა, საპროცესო და სხვა იურიდიული დოკუმენტების მომზადება, პროცესსა თუ მოლაპარაკებაზე მარნმუნებლის წარმოდგენა. არადა, თითქოს, რა მარტივია, ეს ყოველივე ის უნარებია, რომლებსაც ჯერ კიდევ 22 საუკუნის წინ ციცერონი ყველა იურისტისთვის სავალდებულოდ მიიჩნევდა. უბედურება ისაა, რომ უმრავლესობა თავს აჯერებს, – ასეც უნდა იყოს, პროფესიას მერე, პრაქტიკაში აითვისებენ. აღნიშნული სრულიად მცდარია, სტუდენტმა ცოდნა და საჭირო პროფესიული უნარები უნდა შეიძინოს საუნივერსიტეტო სივრცეში, პრაქტიკაში კი გამოცდილებით განავითაროს ისინი, განივითაროს და არა ნულიდან დაიწყოს.

ქართული იურიდიული განათლების პრობლემები იწყება სისტემიდან. პარადოქსულია, თუმცა სინამდვილეა: იურიდიული განათლება, რომელიც რეგულირებადია, ფაქტობრივად კანონმდებლო-

ბით სანახევროდაც არაა მონესრიგებული. ნორმათა უმრავლესობა გაფანტულია სამართლებრივ აქტთა მასივში, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით კი საერთოდ არ არსებობს რაიმე სახის წესი. იმდენად ჩაგვითრია პროგრამათა ყოველდღიურობამ, ფორმალიზებულმა აკრედიტაციებმა, სწავლა-სწავლების ავტომატიზებულმა პროცესმა, რომ განათლებაში ჩართულ ყველა მხარესა თუ პირს დაგვაინწყდა უმთავრესი – სამართლებრივი განათლების დანიშნულება, იურისტის საქმიანობის მთავარი გამოწვევები და მიზანი, ზოგადად რა საჭირო ვართ, რა სარგებლობა მოაქვს ჩვენს პროფესიას (გარდა იმისა, რომ მკაცრად ორგანიზებული, ლამის კლანამდე მისული სისტემა შეექმნათ, რომლის მონაწილეებსაც საკრალიზებული ცოდნის ფლობაზე პრეტენზია გვექნება და მაქსიმალურად შევზღუდავთ ამ წრეში შემოსვლის მსურველებს, სხვებს კი, მოკვდავთა რანგში გამწესებულებს, ახლოს არ გავაკარებთ ამ ნალოლიავებ სივრცეს).

ეს ნიგნი გამოფხიზლების ერთგვარი მცდელობაა. მასში არა-ჩვეულებრივადაა განხილული იურიდიული განათლების დღეს არსებული სისტემის ნაკლოვანებები, საუკეთესო გამოცდილება და განვითარების პერსპექტივა. რა თქმა უნდა, ხერხებსა თუ რეკომენდაციებზე მსჯელობა, განხილვა და დავა შესაძლებელია, მეტიც, სასურველიც კია. დარწმუნებული ვარ, ეს კვლევა ძალიან გრძელი გზის მხოლოდ დასაწყისია და ქმნის მოლოდინს, რომ მოჯადოებულ წრეს გავარღვევთ, განვავითარებთ ქართულ სამართლებრივ განათლებას და საბოლოო ჯამში, ქართულ სამართალს. მთავარია, ვაღიაროთ, რომ პრობლემები გვაქვს, რადგან საკუთარ თავზე გამარჯვება და თვითგანკურნების არცთუ მარტივი პროცესი სწორედ აღიარებით იწყება.

მოდით, დავინყოთ: ქართულ სამართლებრივ განათლებას, ჩვენ, პრობლემები გვაქვს და მათი დაძლევა გვჭირდება.

დომიტრი გეგენავა
2024 წლის ივლისი

შინაარსი

I. შესავალი	1
II. იურისტის კვალიფიკაციის მინიჭებისა და დადასტურების სამართლებრივი ჩარჩო	6
1. კვალიფიკაციის მისანიჭებლად განსაზღვრული სწავლის შედეგები.....	6
1.1. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის სწავლის შედეგები სამართლის საბაკალავრო პროგრამებისთვის	6
1.1.1. სამართლის საბაკალავრო პროგრამების შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან	7
1.1.2. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი სწავლის შედეგების ჩამოყალიბება სამართლის საბაკალავრო პროგრამებისთვის	10
1.2. სამართლის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის მინიმალური შედეგები.....	16
1.2.1. თეორიული სწავლება.....	18
1.2.1.1. დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა იმპლემენტაცია საგანმანათლებლო პროგრამებში	18
1.2.1.2. სასწავლო კურსების შინაარსი	21
1.2.2. პრაქტიკა	24
1.2.2.1. იურიდიული კლინიკა	26
1.2.2.2. სამართლებრივი წერა.....	32
2. იურიდიული განათლების მოდელი და სტრუქტურა.....	34
2.1. იურიდიული განათლების მოდელი.....	34
2.2. ინტეგრირებული პროგრამის სტრუქტურა	48
3. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია.....	52
3.1. დარგის მოთხოვნებთან სწავლის შედეგების შესაბამისობის დადასტურება	52
3.2. პროფესიის წარმომადგენელთა მონაწილეობა სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციაში	56
3.3. ორმაგი აკრედიტაციის მოდელი – სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია დარგობრივი ორგანიზაციის მიერ.....	62

III. პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვება	77
1. საკვალიფიკაციო გამოცდა.....	80
1.1. საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება და პროფესიაში დაშვების სტანდარტი.....	80
1.2. საკვალიფიკაციო გამოცდის ფორმატი და შინაარსი	84
2. პროფესიაში დაშვების დამატებითი წინაპირობები	88
2.1. თეორიული სწავლება.....	89
2.2. პრაქტიკული მომზადება	93
2.2.1. პრაქტიკული მომზადების/სტაჟირების ხანგრძლივობა	95
2.2.2. პრაქტიკული მომზადების/სტაჟირების ზედამხედველობა დარგობრივი ორგანიზაციის მიერ.....	97
2.2.3. პრაქტიკული მომზადების/სტაჟირების ორგანიზება	100
3. პროფესიის სამართლებრივი მოწესრიგების ფორმა	103
V. დასკვნა	106
ბიბლიოგრაფია	112
დანართი 1	124

I. შესავალი

იურიდიული განათლების მთავარი მიზანი პრაქტიკოსი იურისტის მომზადებაა.¹ ამ მიზნის მიღწევის პროცესში სამართლის, როგორც დარგის, სპეციფიკა გარკვეულ გამოწვევებს ქმნის – იგი მუდმივად განვითარებისა და შექმნის პროცესშია, რაც განაპირობებს განსხვავებას წიგნებსა და პრაქტიკაში არსებულ სამართალს შორის.² ქართული იურიდიული პრაქტიკის მდგომარეობა ადასტურებს, რომ სამართლებრივი განათლება ვერ ძლევს ამ გამოწვევას და სტუდენტების პროფესიისათვის სათანადო მომზადებას ვერ უზრუნველყოფს.³ შრომის ბაზარზე განსაკუთრებით პრობლემურია კურსდამთავრებულთა პრაქტიკულ და პროფესიულ უნარებთან დაკავშირებული საკითხები.⁴ სამართლის პრაქტიკასა და თეორიაში არსებული განსხვავებების მიუხედავად,⁵ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (შემდგომში – „უსდ“ ან „დანესებულება“) აკისრიათ ვალდებულება, უზრუნველყონ სამართლის პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობა კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროს მოთხოვნებთან და სტუდენტები მოამზადონ პრაქტიკის განხორციელებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის.⁶

¹ იხ., Scalia A., William and Mary Law School Commencement Address: Reflections on the Future of the Legal Academy, *William & Mary Law Review*, Vol. 56, No. 6, 2015, 2019; გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N2, 2022, 8.

² Pound R., *Law in Books and Law in Action*, *American Law Review*, Vol. 44, No. 1, 1910, 22.

³ იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 6.

⁴ იხ., იქვე.

⁵ იხ., Pound R., *Generation of Law Teaching*, *Michigan Law Review*, Vol. 38, No. 1, 1939, 26; Pound R., *Law in Books and Law in Action*, *American Law Review*, Vol. 44, No. 1, 1910, 22.

⁶ იხ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“, 1.2; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“, პირველი მუხლი, მე-6 დონე.

უმაღლესი განათლების ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა და დაინტერესებული პირებისათვის მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება.⁷ თავის მხრივ, ბოლონის პროცესშიც გამონწვევად და მიზნად არის დასახელებული თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის დასრულებისას კურსდამთავრებულების მიერ შრომის ბაზრისთვის აქტუალური კომპეტენციების ფლობა.⁸

ფორმალიზებული პროცედურებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობის მიუხედავად, იურიდიულ განათლებასა და იურიდიულ პრაქტიკას შორის არსებული ნაპრალი გადაუჭრელ პრობლემად რჩება.⁹ არსებული მდგომარეობა ვერ პასუხობს ვერც ეროვნული კანონმდებლობით და ვერც ბოლონის პროცესის ფარგლებში განსაზღვრულ უმაღლესი განათლების მიზნებს.¹⁰ სამართლებრივ განათლებაში დომინირებული ტრადიციონალიზმი არ ტოვებს სივრცეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შემუშავებისა და შრომის ბაზარზე აქტუალური კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებისთვის.¹¹ სტატუს

⁷ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁸ საქართველო 2005 წლის მაისში, ბერგენის სამიტზე, ბოლონის პროცესს შეუერთდა, რითაც გამოხატა მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღო უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში. იხ., პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, ერევანი, 2015; <<https://www.ehea.info/page-georgia>> [21.06.2024]

⁹ იხ., გეგენავა დ., სამართალი, როგორც არის, სამართალი, როგორც უნდა იყოს: სიბნელე კურიკულუმის ბოლოს, წიგნში: ლადო ჭანტურია 60, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2023, 458; სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 6; სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევა, დანართი N1.

¹⁰ იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, ერევანი, 2015.

¹¹ იხ., გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სა-

კვოს შენარჩუნების ხიბლი იურიდიულ განათლებას აბრკოლებს აუცილებელი ცვლილებებისაგან.¹²

სამართლებრივი განათლების პრობლემები და მის შედეგად იურიდიულ პრაქტიკაში შექმნილი გამოწვევები აქტუალობას არ კარგავს, ამის მიუხედავად, არც პროფესიასა და არც აკადემიურ სივრცეში განსახორციელებელ ცვლილებებზე ფართო დისკუსია არ დაწყებულა. ამავდროულად, განსახილველ საკითხზე ძალიან მწირი იურიდიული ლიტერატურა მოიპოვება, საფუძვლიანი კვლევა კი, ფაქტობრივად, არ გამოქვეყნებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კვლევა სამართლებრივ განათლებაში არსებული პრობლემების საფუძვლების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების შემუშავებისთვის.

ნაშრომის მიზანია ქართულ იურიდიულ განათლებასთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება, კანონმდებლობით გათვალისწინებული სწავლის მინიმალური შედეგების შესაბამისობისა და საკმარისობის დადგენა პრაქტიკული იურიდიული საქმიანობის განხორციელებისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან; ასევე სამართლის პროგრამების გარე შეფასების მოქმედ მოდელში არსებული შესაძლო ხარვეზების განსაზღვრა და აკრედიტაციის ოპტიმალური მოდელის შემოთავაზება. ნაშრომის ფარგლებში გამიზნულია, დადგინდეს პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვებისთვის განსაზღვრული წინაპირობების რელევანტურობა და დასაბუთებულობა, ამ წინაპირობების საჭიროების გამომწვევი მიზეზები. შედეგად, შეთავაზებული იქნება პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვების ოპტიმალური მოდელი.

კვლევაში გამოყენებული იქნება დესკრიფციული, ანალიტიკური, შედარებითსამართლებრივი, ჰერმენევტიკული და დედუქციური

მართლის ჟურნალი“, N2, 2022, 8; Vollweiler D.M., Don't Panic: The Hitchhiker's Guide to Learning Outcomes: Eight Ways to Make Them More than (Mostly) Harmless, University of Dayton Law Review, Vol. 44, No. 1, 2018, 39.

¹² იხ., Holmes O. W. Jr., Learning and Science, North Carolina Law Review, Vol. 24, No. 2, 1946, 103.

კვლევის მეთოდები. მეთოდური კვლევის საფუძველზე შესწავლილი იქნება იურისტის კვალიფიკაციის მინიჭებასა და იურიდიულ პრაქტიკაზე დაშვებასთან დაკავშირებული ლიტერატურა, სამართლებრივი აქტები და სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა. შედარებითსამართლებრივი და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით, საქართველოსა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დადგინდება ქართული იურიდიული განათლების ძირითადი პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები; შეფასდება ქართული მოდელის თავსებადობა ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკასთან, ასევე მისი განვითარებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის პერსპექტივა. შედეგად, განისაზღვრება საქართველოში იურისტის კვალიფიკაციის დადასტურებისა და პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვების ოპტიმალური მოდელის სახელმძღვანელო პრინციპები.

კვლევაში გამოყენებული იქნება ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული ქართული უსდ-ების სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განმახორციელებელთა გამოკითხვის შედეგები. იმ 32 უსდ-დან, რომლებშიც ხორციელდება სამართლის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამები, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 31-მა დანესებულემ.¹³ კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება იურიდიული განათლების გამოწვევების იდენტიფიცირებისთვის, ასევე არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე აკადემიური სივრცის დამოკიდებულების შესწავლისთვის.

ნაშრომი შედგება ოთხი ნაწილისგან, რომელთაგან პირველი და მეოთხე, შესაბამისად, შესავალი და დასკვნაა. ძირითადი კვლევა მოცემულია მეორე-მესამე ნაწილებში. მეორე ნაწილში განხილულია იურისტის კვალიფიკაციის მინიჭებისა და დადასტურების სამართლებრივი ჩარჩო, კერძოდ, კანონმდებლობით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნების საკმარისობა იურიდიული

¹³ იხ., სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევა, დანართი N1.

პრაქტიკის განსახორციელებლად, სამართლის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება, აკრედიტაციის პროცესის მნიშვნელობა პროგრამის სწავლის შედეგების რელევანტურობის დადასტურებისათვის, პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მნიშვნელობა და როლი და, საბოლოოდ, სამართლის პროგრამებისთვის ორმაგი აკრედიტაციის მოდელის დანერგვის პერსპექტივა. მესამე ნაწილი ეთმობა პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვების მოქმედ მოდელს, კონკრეტულად, განხილულია საკვალიფიკაციო გამოცდებსა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები, იურისტთა გაერთიანების ორგანიზების მოქმედი მოდელის გამონვევები და ორგანიზების ალტერნატიული მოდელი. შედეგად, შემოთავაზებულია პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვების ალტერნატიული მოდელი.

II. იურიდიის კვალიფიკაციის მინიჭებისა და დადასტურების სამართლებრივი ჩარჩო

1. კვალიფიკაციის მისანიჭებლად განსაზღვრული სწავლის შედეგები

1.1. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის სწავლის შედეგები სამართლის საბაკალავრო პროგრამებისთვის

განათლების სფეროში არსებული ტენდენციებით სასწავლო კურსისა და პროგრამის დაგეგმვის „მასწავლებელზე ორიენტირებული“ მიდგომა „სტუდენტზე ორიენტირებულმა“ მიდგომამ ჩაანაცვლა, ეს უკანასკნელი ფოკუსირებულია სასწავლო კურსებისა და პროგრამის დაგეგმილ სწავლის შედეგებზე.¹⁴ სამართლის სხვადასხვა სისტემაში იურიდიული განათლებაც აქტიურად იყენებს შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას.¹⁵ დამკვიდრებული განმარტებით, პროგრამის სწავლის შედეგები არის დანესებულების განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდნენ და რისი გაკეთება უნდა შეძლონ სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა.¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამებისა და მისი ცალკეულ კომპონენტების გარდა, სწავლის შედეგები გამოიყენება ევროპული და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოებში კვალიფიკაციის დონის აღსაწერად.¹⁷

¹⁴ იხ., კენედი დ., სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა, პრაქტიკული სახელმძღვანელო, ლ. ბაქრაძის თარგმანი, ლ. ბაქრაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 9.

¹⁵ იხ., Sylvester C., Measuring Competence in Legal Education: A View from the Bridge, *Law Teacher*, Vol. 49, No. 2, 2015, 244.

¹⁶ Niedwiecki A., Law Schools and Learning Outcomes: Developing a Coherent, Cohesive, and Comprehensive Law School Curriculum, *Cleveland State Law Review*, Vol. 64, No. 3, 2016, 678; იხ. ციტირება: See Sharon K. Krackov & Henry Pohl, Building Expertise Using the Deliberate Practice Curriculum-Planning Model, 33 *MED. TCHR.* 570, 571 (2011) (explaining how developing a curriculum requires that the program establish the competencies it requires of its graduates).

¹⁷ კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა, ი. დარჩიას თარგმანი, თ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 5.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო შეესაბამება ბოლონის პროცესში შემუშავებულ „დუბლინის დესკრიპტორებს“, რომლებიც უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურისთვის განსაზღვრავს სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე დაფუძნებულ საერთო აღწერებს.¹⁸ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო დაყოფილია 8 დონედ, თითოეული მათგანი აერთიანებს დონის შესაბამის განზოგადებულ სწავლის შედეგებს.¹⁹ სამართლის საბაკალავრო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისთვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს, რამდენადაც ბაკალავრიატის პროგრამებს სწორედ მე-6 დონე მოიცავს.²⁰ თუმცა ჩარჩო ვერ განსაზღვრავს სამართლის პროგრამებისთვის სფეროსთან დაკავშირებულ შედეგებსა და კომპეტენციებს, რადგან აღნიშნული დოკუმენტი არ ითვალისწინებს სპეციფიკურ, დარგობრივ სწავლის შედეგებს და საერთო საფეხურის შესაბამისი ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამისთვის.²¹

1.1.1. სამართლის საბაკალავრო პროგრამების შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განზოგადებული სწავლის შედეგების მე-6 დონე, მათ შორის, მოიცავს ისეთ შედეგებს, როგორიცაა: სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული

¹⁸ იხ., უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების ბერგენის კონფერენციაზე მიღებული „კვალიფიკაციების სტრუქტურა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის“ („დუბლინის დესკრიპტორები“), 2005.

¹⁹ იხ., საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“, პირველი მუხლი.

²⁰ იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ1“ ქვეპუნქტი.

²¹ იხ., საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“, პირველი მუხლი.

და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის; კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება.²² შესაბამისად, ბაკალავრიატის პროგრამამ კურსდამთავრებულს უნდა ჩამოუყალიბოს პრაქტიკული უნარები, რომელთა დახმარებითაც ის წარმატებით შეძლებს პროფესიულ საქმიანობას.

სწავლის ზემოხსენებული შედეგები ეხება ნებისმიერი სფეროს საბაკალავრო პროგრამებს, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც კურსდამთავრებულს იურისტის კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს. აღნიშნული განპირობებულია იურისტის პროფესიის პრაქტიკული, გამოყენებითი ხასიათით.²³ სპეციფიკის გათვალისწინებით, იურიდიული განათლება პრაქტიკოსი იურისტის მომზადებას უნდა უზრუნველყოფდეს,²⁴ რომელიც შეძლებს რეალური და ხშირად არასტანდარტული სამართლებრივი შემთხვევების გადაწყვეტას.²⁵ სამართლებრივი განათლების საბოლოო მიზანი სწორედ პრაქტიკოსი იურისტის მომზადებაა,²⁶ შესაბამისად, სტუდენტებისათვის პრაქტიკული და პროფესიული უნარების გამომუშავებას სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებში განსაკუთრებული როლი აქვს.

²² იხ., იქვე, მე-6 დონე.

²³ იხ., Pound R., *Generation of Law Teaching*, *Michigan Law Review*, Vol. 38, No. 1, 1939, 26.

²⁴ გეგენავა დ., სამართალი, როგორც არის, სამართალი, როგორც უნდა იყოს: სიბნელე კურიკულუმის ბოლოს, წიგნში: ლადო ჭანტურია 60, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2023, 454-455.

²⁵ იხ., გეგენავა დ., რთული შემთხვევის სირთულე, წიგნში: დუორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021, i.

²⁶ იხ., Scalia A., *William and Mary Law School Commencement Address: Reflections on the Future of the Legal Academy*, *William & Mary Law Review*, Vol. 56, No. 6, 2015, 2019; გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N2, 2022, 8.

იურიდიული პროფესიის პრაქტიკულობიდან გამომდინარე, იმის გასაზომად, თუ რამდენად პასუხობს არსებული სამართლის საბაკალავრო პროგრამები ზემოხსენებულ მიზნებს, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროგრამის კურიკულუმში განერილი სწავლის შედეგების არსებულ სტანდარტებთან მიმართებით ფორმალური შეფასება, არამედ კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირის ანალიზი, რათა განისაზღვროს რამდენად საკმარისი და რელევანტურია პროგრამის სწავლის შედეგები შრომის ბაზრის მოთხოვნებისთვის.²⁷ დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი და შრომის ბაზრის ანალიზი ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს,²⁸ თუმცა იურიდიული განათლების შემთხვევაში მათი როლი იზრდება ზემოთდასახელებული მიზეზების გამო.

საქართველოში შრომის ბაზარი პრაქტიკული და პროფესიული უნარების მქონე იურისტების ნაკლებობას განიცდის.²⁹ როგორც დამსაქმებლები, ისე განათლების სფეროს წარმომადგენლები აღნიშნულის მიზეზად იურიდიულ განათლებაში, განსაკუთრებით ბაკალავრიატზე, პრაქტიკული კომპონენტების ნაკლებობას ასახელებენ.³⁰ აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნიდან გამომდინარე, უსდ-ები იკვლევენ შრომის ბაზარს,³¹ თუმცა ფაქტობრივი მდგომარეობა ადასტურებს, რომ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების დიდი ნაწილი სტუდენტებს პრაქტიკული იურიდიული

²⁷ იხ., უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ: მზადება გლობალიზაციის გამოწვევებისთვის, ლონდონის კომუნიკე, 2007 წლის 18 მაისი, 7-8; უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპული მინისტრების კონფერენციის კომუნიკე ლეუვენნი და ლოუვეინ-ლა-ნეუვე, ბელგია 2009 წლის 28-29 აპრილი, 4-5.

²⁸ იხ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“, სტანდარტი 1.1, 1.2.

²⁹ იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2021, 6.

³⁰ იხ., იქვე, 9.

³¹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“, სტანდარტი 1.1, 1.2.

საქმიანობისთვის სათანადოდ მაინც ვერ ამზადებს.³² აღნიშნულის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სამართლებრივ განათლებაში დამკვიდრებული ტრადიციონალიზმია, რაც აფერხებს კურიკულუმების თანამედროვე ტენდენციების მიხედვით შემუშავება-განვითარებას და შედეგად, ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისთვის.³³

1.1.2. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი სწავლის შედეგების ჩამოყალიბება სამართლის საბაკალავრო პროგრამებისთვის

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისი, შრომის ბაზრისთვის აქტუალური სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია სწორად იქნეს გააზრებული სწავლის შედეგების მნიშვნელობა, განსხვავება ამ უკანასკნელსა და პროგრამის მიზნებს შორის და ასევე, სწორად შეირჩეს სწავლის შედეგების განსაზღვრის მეთოდოლოგია.³⁴ მთავარი განსხვავება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის ის არის, რომ პროგრამის მიზანი არის განაცხადი სწავლების განზრახვის შესახებ,³⁵ მასში აღწერილია, თუ რომელი კომპეტენციების გამოიმუშავებას ისახავს მიზნად პროგრამა სტუდენტისათვის.³⁶ სწავლის შე-

³² იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2021, 6.

³³ იხ., გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, N2, 2022, 8; Vollweiler D. M., Don't Panic: The Hit-chhiker's Guide to Learning Outcomes: Eight Ways to Make Them More than (Mostly) Harmless, University of Dayton Law Review, Vol. 44, No. 1, 2018, 39.

³⁴ იხ., Niedwiecki A., Law Schools and Learning Outcomes: Developing a Coherent, Cohesive, and Comprehensive Law School Curriculum, Cleveland State Law Review, Vol. 64, No. 3, 2016, 675.

³⁵ კენედი დ., სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა, პრაქტიკული სახელმძღვანელო, ლ. ბაქრაძის თარგმანი, ლ. ბაქრაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 11.

³⁶ იხ., Niedwiecki A., Law Schools and Learning Outcomes: Developing a Coherent, Cohesive, and Comprehensive Law School Curriculum, Cleveland State Law Review, Vol. 64, No. 3, 2016, 675.

დეგები კი კონცენტრირებულია სტუდენტზე და გადმოსცემს, რის გაკეთებას შეძლებს იგი პროგრამის დასრულების შემდეგ.³⁷

სწავლის შედეგების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მეთოდია იმის გამოკვლევა, რაც უკვე ისწავლება, კურიკულუმის მიზნების განხილვა და იდენტიფიცირება, თუ რისი გაკეთება უნდა შეეძლოს იურისტს თანამედროვე პრაქტიკაში.³⁸ აქტუალური პროფესიული უნარების შესახებ ინფორმაციის მისაღებად უსდებს სხვადასხვა მექანიზმის გამოყენება შეუძლიათ, მათ შორის, იმ წყაროების ანალიზი, რომლებშიც დასახელებულია სამართლის პროგრამებში გასათვალისწინებელი საბაზო უნარები, იურისტების უახლესი გამოკითხვების გაცნობა, საკუთარი გამოკითხვების ჩატარება დაინტერესებულ მხარეებთან (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პრაქტიკოსი იურისტები, პარტნიორი უსდები და სხვ.).³⁹ ქართული იურიდიული განათლების შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა „სამართლის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“, რომელიც ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს.⁴⁰

სწავლის შედეგების ფორმირებისთვის შესაძლებელია როგორც „ქვემოდან ზევით“, ისე „ზემოდან ქვევით“ პრინციპის გამოყენება.⁴¹

³⁷ იხ., კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა, ი. დარჩიას თარგმანი, თ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 5.

³⁸ Niedwiecki A., Law Schools and Learning Outcomes: Developing a Coherent, Cohesive, and Comprehensive Law School Curriculum, *Cleveland State Law Review*, Vol. 64, No. 3, 2016, 678; იხ. ციტირება: See Sharon K. Krackov & Henry Pohl, *Building Expertise Using the Deliberate Practice Curriculum-Planning Model*, 33 *MED. TCHR.* 570, 571 (2011) (explaining how developing a curriculum requires that the program establish the competencies it requires of its graduates).

³⁹ იხ., იქვე, 683.

⁴⁰ იხ., სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“.

⁴¹ იხ., Witzleb N., Skead N., *A Bottom-up Approach to Developing LLB Course Outcomes and an Integrated Curriculum*, *Law Teacher*, Vol. 43, No. 1, 2009, 66.

ჰოლისტური მიდგომის („ზემოდან ქვევით“) გამოყენების შემთხვევაში შეისწავლება კურსდამთავრებულებისთვის აქტუალური კომპეტენციები, რის საფუძველზეც თავდაპირველად განისაზღვრება პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები.⁴² უფრო ვიწრო სწავლის შედეგები გათვალისწინებულია სასწავლო კურსებში, რომელთა ერთობლიობაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.⁴³ პროგრამის დაგეგმვის აღნიშნული მეთოდოლოგია კონცენტრირდება იმაზე, თუ რა უნდა ისწავლონ სტუდენტებმა პროგრამისა და თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში და არა იმაზე, თუ რის სწავლებას გეგმავენ კურსის განმახორციელებლები.⁴⁴ შედეგად, ჰოლისტური მიდგომის გამოყენება უზრუნველყოფს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები იყოს არა სასწავლო კურსებში განერილი შედეგების შეჯერებით მიღებული ხელოვნური ერთობლიობა, არამედ კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და მთლიანობაში, პროფესიის საჭიროებების საფუძველზე ჩამოყალიბებული დარგისთვის აქტუალური კომპეტენციები.

საპირისპირო, „ქვემოდან ზევით“ მიდგომის გამოყენების შემთხვევაში, პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება არსებული პროგრამისა და სასწავლო კურსების შედეგების შესწავლა-შეფასებით იწყება.⁴⁵ ამ მეთოდის გამოყენებით უსდ-ს შეუძლია გააანალიზოს, თუ რას ასწავლის სტუდენტებს რეალურად და კურიკულუმის სრულყოფისათვის მოახდინოს გასაუმჯობესებელი მხარეების იდე-

⁴² იხ., Bahls S.C., Adoption of Student Learning Outcomes: Lessons for Systemic Change in Legal Education, *Journal of Legal Education*, Vol. 67, No. 2, 2018, 381.

⁴³ იხ., Niedwiecki A., Law Schools and Learning Outcomes: Developing a Coherent, Cohesive, and Comprehensive Law School Curriculum, *Cleveland State Law Review*, Vol. 64, No. 3, 2016, 678; იხ. ციტირება: See Sharon K. Krackov & Henry Pohl, Building Expertise Using the Deliberate Practice Curriculum-Planning Model, 33 *MED. TCHR.* 570, 571 (2011) (explaining how developing a curriculum requires that the program establish the competencies it requires of its graduates).

⁴⁴ იხ., Vollweiler D.M., Don't Panic: The Hitchhiker's Guide to Learning Outcomes: Eight Ways to Make Them More than (Mostly) Harmless, *University of Dayton Law Review*, Vol. 44, No. 1, 2018, 27-28.

⁴⁵ Witzleb N., Skead N., A Bottom-up Approach to Developing LLB Course Outcomes and an Integrated Curriculum, *Law Teacher*, Vol. 43, No. 1, 2009, 66.

ნტიფიცირება.⁴⁶ შესაბამისად, კურიკულუმის რუკის გამოყენებას სწავლის შედეგების ფორმირებისას მნიშვნელოვანი როლი აქვს. ორივე განხილული მიდგომის გამოყენებას თავისი არგუმენტები აქვს. ამდენად, დაუსაბუთებელი იქნებოდა ცალსახად ერთ-ერთი პრინციპის არჩევა. გასათვალისწინებელი ფაქტორია, სწავლის შედეგები ფორმირდება ახალი თუ მოქმედი პროგრამისთვის. ახალი პროგრამის შემთხვევაში ჰოლისტური მიდგომის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რათა პროგრამა შეიქმნას დარგის მოთხოვნების შესაბამისად. მოქმედი პროგრამის შემთხვევაში, პერიოდული შეფასებისა და მოდიფიცირებისას, შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოს „ქვემოდან ზევით“ პრინციპის გამოყენებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის რუკის გამოყენება შესაძლებელია ახალი პროგრამის შემუშავების შემთხვევაშიც, თუ დანესებულებამო მოქმედებს მომიჯნავე პროგრამა, ან არსებული სხვა პროგრამის სასწავლო კურსების ნაწილი რელევანტურია ახალი პროგრამისთვის. საბოლოოდ, მიზანშეწონილია, პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში დანესებულებამ გაითვალისწინოს ორივე მიდგომა და სპეციფიკის შესაბამისად განსაზღვროს რომელ მათგანს მიანიჭებს უპირატესობას.

პროგრამის სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებასთან ერთად, სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობის უზრუნველყოფის ფუნდამენტური კომპონენტებია პროგრამის მიზნებისა და შედეგებისთვის რელევანტური სწავლებისა და შეფასების მეთოდების შერჩევა,⁴⁷ სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგების გაზომვა.⁴⁸ გაზომვადობის მიღწევისთვის შედეგი უნდა ჩამოყალიბდეს აქტიური ზმნებით.⁴⁹ დამკვიდრებული პრაქტიკით, საგანმანათ-

⁴⁶ Curtis D. M., Moss D. M., Curriculum Mapping: Bringing Evidence-Based Frameworks to Legal Education, *Nova Law Review*, Vol. 34, No. 2, 2010, 504.

⁴⁷ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“, IV.

⁴⁸ იხ., Bahls S.C., Adoption of Student Learning Outcomes: Lessons for Systemic Change in Legal Education, *Journal of Legal Education*, Vol. 67, No. 2, 2018, 381.

⁴⁹ იხ., Niedwiecki A., Law Schools and Learning Outcomes: Developing a Coher-

ლებლო პროგრამები იყენებენ ბლუმის ტაქსონომიით განსაზღვრულ ზმნებს.⁵⁰ სწავლის შედეგების გაზომვისთვის ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა შეფასებას.⁵¹ პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებისთვის სტუდენტების შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს მრავალფეროვანი, დარგის სპეციფიკის შესაბამისი შეფასების მეთოდები და შეფასება უნდა ხდებოდეს პერიოდულად.⁵² შეფასების მეთოდებმა უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის გადამოწმება, არამედ სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა, გამოიმუშაოს პრაქტიკისთვის საჭირო უნარები სასწავლო კურსის შესაბამისი პრაქტიკული დავალებების შესრულებით (მაგალითად, საპროცესო დოკუმენტების შედგენა, იმიტირებული პროცესი და სხვ.).⁵³ ამასთანავე, შეფასების შედეგებზე სტუდენტმა უნდა მიიღოს სათანადო უკუკავშირი.⁵⁴ ეფექტიანი უკუკავშირის მინოდებისთვის მნიშვნელოვანია განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად მოხდეს განმავითარებელი შეფასებაც,⁵⁵ რათა სტუდენტმა შეძლოს მიღებული შეფასების გამოყენება საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისა და თვითგანვითარებისთვის.⁵⁶

ent, Cohesive, and Comprehensive Law School Curriculum, *Cleveland State Law Review*, Vol. 64, No. 3, 2016, 679.

⁵⁰ იხ., Feliu V., Frazer H., *Outcomes Assessment and Legal Research Pedagogy, Legal Reference Services Quarterly*, Vol. 31, No. 2, 2012, 190.

⁵¹ იხ., Sylvester C., *Measuring Competence in Legal Education: A View from the Bridge, Law Teacher*, Vol. 49, No. 2, 2015, 246; იხ. ციტირება: Biggs and Tang, *supra* n. 7, p. 221.

⁵² იხ., იქვე, 250; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“, სტანდარტი 2.4.

⁵³ გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N2, 2022, 15.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ იხ., Feliu V., Frazer H., *Outcomes Assessment and Legal Research Pedagogy, Legal Reference Services Quarterly*, Vol. 31, No. 2, 2012, 187.

⁵⁶ იხ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“, სტანდარტი 2.4.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის სწავლის შედეგების მიღწევისათვის სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებმა უარი უნდა თქვან სტატუს კვოს ხელოვნურ შენარჩუნებაზე და სწავლის შედეგები მოარგონ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უსდ-ებმა კურიკულუმში მოცემული სწავლის შედეგები არ უნდა ჩამოაყალიბონ მხოლოდ ბლუმის ტაქსონომიისა და უკვე არსებული გამოცდილების საფუძველზე, თუმცა ხსენებულიც თავისთავად მნიშვნელოვანია. შედეგების განერამდე უნდა გაანალიზდეს სხვადასხვა წყარო, მათ შორის: საკანონმდებლო მოთხოვნები და სტანდარტები, დანესებულების გამოცდილება, შრომის ბაზრის მონაცემები, განათლების ბაზარი, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების შედეგები და ა.შ.

ახალი პროგრამის შემუშავებისას დანესებულებამ კვლევის შედეგების საფუძველზე თავდაპირველად უნდა განსაზღვროს მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მომზადებას იურიდიული პრაქტიკისთვის. შემდეგ ეტაპზე კი მიზანშეწონილია, გადაწყდეს რომელი სასწავლო კურსები სჭირდება პროგრამას სწავლის შედეგების მისაღწევად და კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმში მოცემული სწავლის შედეგების მიღწევა. უკვე მოქმედი პროგრამის შემთხვევაში ოპტიმალური მიდგომაა კურიკულუმის რუკისა და „ქვემოდან ზევით“ მეთოდის გამოყენება, რაც უსდ-ს საშუალებას მისცემს, არსებული პროგრამისა და სასწავლო კურსების ანალიზის საფუძველზე გააუმჯობესოს არსებული სწავლის შედეგები. საბოლოოდ, განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, უსდ-მ უნდა შეიმუშაოს სწავლებისა და შეფასების რელევანტური მეთოდები და აწარმოოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სისტემატური მონიტორინგი.

1.2. სამართლის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის მინიმალური შედეგები

რეგულირებად პროფესიებსა და შესაბამისად, რეგულირებად პროგრამებზე სახელმწიფოს განსაკუთრებული ზედამხედველობიდან გამომდინარე, როგორც საქართველოში, ისე სხვა სახელმწიფოებში, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებულია ამ პროგრამებისათვის დამატებითი სტანდარტები და მოთხოვნები.⁵⁷ საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის პროფესიის მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ევროპულ სახელმწიფოებში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრად რეგულირებადი პროფესია სწორედ სამართალია.⁵⁸ საქართველოში იურიდიული განათლების მარეგულირებელი ერთ-ერთი დოკუმენტი სამართლის დარგობრივი მახასიათებელია, რომელიც სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს და სხვა ძირითად მახასიათებლებს.⁵⁹

⁵⁷ იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 75-77 მუხლები; გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N2, 2022, 9; ჭანტურია ლ., იურიდიული პროფესიები სამართლებრივ სახელმწიფოებში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N1, 2003, 116; Webb J., *Regulating Lawyers in a Liberalized Legal Services Market: The Role of Education and Training*, *Stanford Law & Policy Review*, Vol. 24, No. 2, 2013, 535.

⁵⁸ იხ., Reich N., *Recent Trends in European Legal Education: The Place of the European Law Faculties Association*, *Penn State International Law Review*, Vol. 21, No. 1, 2002, 23.

⁵⁹ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი“, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, I.

სამართლის სხვადასხვა სისტემაში სამართლის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სწავლის მინიმალური შედეგები განსხვავებულ წყაროებშია მოცემული, მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოს, ისევე, როგორც საქართველოს, შემუშავებული აქვს სამართლის დარგობრივი მახასიათებელი,⁶⁰ აშშ-ში განსახილველი საკითხი გათვალისწინებულია „ამერიკის იურისტთა ასოციაციის“ აკრედიტაციის მოდელურ სტანდარტებსა და ცალკეული შტატების ასოციაციების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებში,⁶¹ გერმანიის შემთხვევაში კი ფედერალური და ლანდების საკანონმდებლო აქტების დონეზე არსებობს ჩანაწერი იმის შესახებ, თუ რა კომპეტენციებს უნდა ფლობდეს პრაქტიკოსი იურისტი⁶². ჩამოთვლილი ქვეყნების მაგალითი მნიშვნელოვანია ქართული იურიდიული განათლებისთვის, რადგან ყველაზე მაღალრეიტინგული სამართლის სკოლების რანჟირების სხვადასხვა სიაში მონიშნავენ პოზიციებს ძირითადად აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს უსდ-ების სამართლის სკოლები იკავებენ.⁶³ ევროპული ქვეყნების მაგალითი რელევანტუ-

⁶⁰ იხ., Subject Benchmark Statement, Law, The Quality Assurance Agency for Higher Education, United Kingdom, 2023.

⁶¹ იხ., Standards and Rules of Procedure for Approval of Law Schools, American Bar Association Section of Legal Education and Admissions to the Bar, 2023-2024, 302; Niedwiecki A., Law Schools and Learning Outcomes: Developing a Coherent, Cohesive, and Comprehensive Law School Curriculum, Cleveland State Law Review, Vol. 64, No. 3, 2016, 673-674; Davies G., Woo M., Navigating Troubled Seas: The Future of the Law School in the United Kingdom and the United States, Journal of International and Comparative Law, Vol. 5, No. 1, 2018, 44.

⁶² იხ., Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Hessen, 2004; Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG -) Landesrecht Saarland, 2015; Gesetz über die Ausbildung von Juristinnen und Juristen im Land Berlin (Berliner Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Berlin, 2003; German Judiciary Act (Deutsches Richtergesetz – DRiG), 1972.

⁶³ იხ., QS World University Rankings by Subject 2024: Law & Legal Studies <https://www.topuniversities.com/university-subject-rankings/law-legal-studies?tab=indicators&sort_by=rank&order_by=asc> [21.06.2024]; 2023 Global Ranking of Academic Subjects, Law, Shanghai Ranking <<https://www.shanghairanking.com/rankings/gras/2023/RS0503>> [21.06.2024]; World University Rankings 2023 by

რია უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცეში საქართველოს მონაწილეობიდან გამომდინარე.⁶⁴ ამავდროულად, გერმანიის პრაქტიკა საინტერესოა გერმანულ და ქართულ სამართალს შორის არსებული კავშირის გათვალისწინებითაც.⁶⁵

1.2.1. თეორიული სწავლება

1.2.1.1. დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა იმპლემენტაცია საგანმანათლებლო პროგრამებში

დარგობრივი მახასიათებლის მიზანია იმ აუცილებელი სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, რომლებიც მოეთხოვება იურისტის კვალიფიკაციის მქონე პირს,⁶⁶ ასევე პროგრამების კურსდამთავრებულთა მიერ პრაქტიკული საქმიანობის დაწყებისა და დასაქმების ხელშეწყობა.⁶⁷ შესაბამისად, დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები უნდა მოიცავდეს იურიდიული პროფესიის ყველა იმ მიმართულებას, რომელშიც შეიძლება (მინიმუმ) სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულმა პრაქტიკა დაიწყოს. სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განმახორციელებლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით დასტურდება, რომ მათი 77.8%-ის აზრით, სამართლის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული საბაკალავრო

Subject: Law, Times Higher Education <<https://www.timeshighereducation.com/world-university-rankings/2023/subject-ranking/law>> [21.06.2024];

⁶⁴ იხ., Full Members, European Higher Education Area (EHEA), <https://www.ehea.info/page-full_members> [21.06.2024]

⁶⁵ იხ., ჭანტურია ლ., ქართული სამართალი და განვითარების ალტერნატივები, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, თბილისი, 2016, 16-17; ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, 2005, 213-214.

⁶⁶ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი“, მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

⁶⁷ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, I.

საფეხურის სწავლის მინიმალური შედეგები კურსდამთავრებულთა მიერ პრაქტიკული იურიდიული საქმიანობის დასაწყებად საკმარისია.⁶⁸ მართლაც, დარგობრივი მახასიათებლის მთავარი გამოწვევა ხშირად არა სწავლის მინიმალური შედეგების საკმარისობა, არამედ უსდ-ების მიერ მათი არასათანადო გააზრება და იმპლემენტაციაა.⁶⁹

დარგისთვის აუცილებელი ზოგიერთი სწავლის შედეგი, დარგობრივ მახასიათებელში ასახვის მიუხედავად, პრობლემური ხდება დანესებულებების მიერ მათი მხოლოდ ფორმალური იმპლემენტაციის ან საკითხების აღრევის გამო.⁷⁰ აღნიშნულს ადასტურებს დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული საკონსტიტუციო სამართალწარმოების საკითხი,⁷¹ რომლის დანერგვაც უსდ-ების ნაწილისთვის გამოწვევად იქცა.⁷² დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, თუმცა დასახელებული შედეგები (მაგალითად, „აღწერს საკონსტიტუციო სამართალწარმოების თავისებურებებს“)⁷³ უსდ-ებს არ ავალდებულებს შესაბამისი შედეგისთვის შეიმუშაოს ცალკე სასწავლო კურსი. კომპეტენციები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა ინტეგრირებული იყოს სხვადასხვა კომპონენტში. მიუხედავად ამისა, დანესებულებებმა თითოეულ შემთხვევაში უნდა შეაფასონ

⁶⁸ იხ., სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევა, დანართი N1.

⁶⁹ იხ., გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N2, 2022, 12-13.

⁷⁰ იხ., იქვე.

⁷¹ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, III, 3.1.1.

⁷² მაგ., იხ., საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 იანვრის სხდომის ოქმი N53927; საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 თებერვლის სხდომის ოქმი N50839.

⁷³ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, III, 3.1.1.

და განსაზღვრონ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის მიღწევისთვის რომელი მეთოდი იქნება გამართლებული. ზოგიერთ შემთხვევაში, სწავლის შედეგის მისაღწევად, შეიძლება, აუცილებელი იყოს კონკრეტულ საკითხზე ორიენტირებული სასწავლო კურსის შემუშავება და დანერგვა. დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის საკმარისი არ არის სილაბუსების თემატიკაში კონკრეტული დასახელებების მითითება, ან, თუნდაც, ამ დასახელების სასწავლო კურსის დამატება პროგრამაში. მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსში მოცემული თემატიკა შინაარსობრივად უზრუნველყოფდეს მოთხოვნილი სწავლის შედეგების მიღწევას, რაც შეფასდება აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში.

იურისტის პროფესიის სპეციფიკა განაპირობებს სამართლებრივი განათლების საკანონმდებლო მოწესრიგებისა და სტანდარტიზაციის საჭიროებას. აღნიშნულის ფონზე, აუცილებელია დამატებით განიმარტოს პროგრამების ინდივიდუალიზმისა და აკადემიური თავისუფლებისთვის სივრცის დატოვების მნიშვნელობა. სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი სტანდარტები აწესრიგებს სამართლებრივ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა, იმავდროულად, უსდებს უტოვებს შესაძლებლობას, დამატებით გაითვალისწინონ სწავლის შედეგები მათი კულტურისა და მისიის შესაბამისად.⁷⁴ სტანდარტებს არ უნდა ჰქონდეს გამაერთიანებელი მიდგომა, დაწესებულებამ უნდა შეასრულოს ცენტრალური როლი შედეგების ფორმირებაში და ზოგადად, პროგრამის შემუშავებაში.⁷⁵

მიუხედავად იმისა, რომ არსებული სტანდარტები სამართლის საბაკალავრო პროგრამებს აძლევს ინდივიდუალიზმის შესაძლებლობას, პროგრამები ძირითად შემთხვევაში თითქმის იდენტურია.⁷⁶

⁷⁴ იხ., Niedwiecki A., Law Schools and Learning Outcomes: Developing a Coherent, Cohesive, and Comprehensive Law School Curriculum, Cleveland State Law Review, Vol. 64, No. 3, 2016, 674.

⁷⁵ იხ., Bahls S.C., Adoption of Student Learning Outcomes: Lessons for Systemic Change in Legal Education, Journal of Legal Education, Vol. 67, No. 2, 2018, 385.

⁷⁶ გეგენავა დ., სამართალი, როგორც არის, სამართალი, როგორც უნდა იყოს: სიბნელე კურიკულუმის ბოლოს, წიგნში: ლადო ჭანტურია 60, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2023, 454.

მათ შორის ნაკლებად არსებობს ის განმასხვავებლები, რომლებსაც უსდ-ების თავისებურებები და სპეციფიკა უნდა განაპირობებდეს. ამავდროულად, ხშირად პროგრამების განმასხვავებელი პერსონალიც ერთი და იგივეა.⁷⁷ შედეგად, აბიტურიენტთა და მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ სასურველი პროგრამის შერჩევისას გადამწყვეტი ხდება არა პროგრამის შინაარსი, არამედ სხვა, მეორეხარისხოვანი ფაქტორები. ამ პრობლემის გამოსასწორებლად მთავარი როლი უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა შეასრულონ. პროგრამის შემუშავებისას უსდ-ები არ უნდა ორიენტირდნენ მხოლოდ დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და უკვე არსებული პრაქტიკის გაზიარებაზე. მათ ასევე უნდა იხელმძღვანელონ ინსტიტუციის მისიით, ღირებულებებითა და სხვა ისეთი ფაქტორებით, რომლებიც ინდივიდუალური, ორიგინალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში დაეხმარებათ.

1.2.1.2. სასწავლო კურსების შინაარსი

ქართული საგანმანათლებლო პროგრამები ძირითადად ითვალისწინებენ დარგობრივი მახასიათებლისა და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს. პროგრამები, ერთი შეხედვით, მოიცავენ ყველა რელევანტურ თემატიკას, თუმცა მთავარი გამოწვევა შინაარსშია. უსდ-ები, დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, ასწავლიან ისეთ თეორიულ კურსებს, როგორცაა: „სამართალმცოდნეობა“, „სამართლის თეორია“, „სამართლის ფილოსოფია“, „ქართული სამართლის ისტორია“, „რომაული სამართალი“ და სხვ.⁷⁸ ჩამოთვლილი კურსები „პრაქტიკისთვის არარელევანტურობის“ გამო სტუდენტების უკმაყოფილებასა და ნაკლებ დაინტერესებას იწვევს. სინამდვილეში, პრობლემა ამ დისციპლინების არასწორ აღქმასა და ფორმალიზებაშია.⁷⁹

იურიდიული განათლების საბოლოო მიზანი სტუდენტების მიერ კანონების დასწავლაზე ბევრად უფრო მეტია.⁸⁰ პრაქტიკოსი იუ-

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ იხ., იქვე.

⁷⁹ იხ., იქვე, 454-455.

⁸⁰ Fuller L. L., On Teaching Law, Stanford Law Review, Vol. 3, No. 1, 1950, 36.

რისთვის მომზადება არ გულისხმობს ღირებულებებისგან დაცლილი სამართალშემფარდებლის შექმნას.⁸¹ იურიდიულმა განათლებამ სტუდენტებს უნდა შეასწავლოს სამართალი, როგორც სამართლიანობის მისაღწევად მნიშვნელოვანი, ადამიანზე ორიენტირებული სისტემა.⁸² იურიდიულმა განათლებამ, თეორიულ ცოდნასთან ერთად, სტუდენტებს უნდა შესძინოს თავისუფლად აზროვნების უნარი, სამართალში წამოჭრილი განსხვავებული შემთხვევების ღირებულებებით შეფასებისა და გადაწყვეტის უნარი.⁸³ ცხადია, კანონებისა და თეორიების ზედმინვენით სწავლა ამ შედეგს ვერ უზრუნველყოფს. რაც კანონიერია, ყოველთვის სამართლიანი არ არის.⁸⁴ სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი, სტუდენტებისთვის არა მხოლოდ კანონებისა და უფლებების, არამედ ღირებულებებისა და პასუხისმგებლობის სწავლება.⁸⁵ სწორედ ამაში ვლინდება სამართლის ფილოსოფიისა თუ სხვა, ერთი შეხედვით „არაპრაქტიკული“, კურსების პრაქტიკული მნიშვნელობა.

სამართლებრივი განათლების ფარგლებში თეორიის სწავლებას პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.⁸⁶ სამართალი არა განყენებული თეორიის სახით, არამედ მისი რეალურ სამართლებრივ შემთხვევებში გამოყენებისა და პრაქტიკული მნიშვნელობის პერსპექტივიდან უნდა ისწავლებოდეს.⁸⁷ მათ შორის, ისეთი სასწავლო დისციპლინებიც, როგორცაა, „რომაული სამართალი“

⁸¹ იხ., გეგენავა დ., სამართალი, როგორც არის, სამართალი, როგორც უნდა იყოს: სიბნელე კურიკულუმის ბოლოს, ნიგნში: ლადო ჭანტურია 60, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2023, 454-455.

⁸² გეგენავა დ., კამიუ, „უცხო“, სამართალი და მორალი გემოვნებით, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N 2, 2018, 77.

⁸³ იხ., Fuller L. L., On Teaching Law, Stanford Law Review, Vol. 3, No. 1, 1950, 37-40.

⁸⁴ Scalia A., Teaching about the Law, Quarterly, Vol. 8, No. 4, 1987, 9.

⁸⁵ იქვე, 10.

⁸⁶ იხ., Redding R.E., The Counterintuitive Costs and Benefits of Clinical Legal Education, Wisconsin Law Review Forward, 2016, 62-63.

⁸⁷ იხ., Fuller L. L., The Place and Uses of Jurisprudence in the Law School Curriculum, Journal of Legal Education, Vol. 1, No. 4, 1949, 505.

და „ქართული სამართლის ისტორია“ ან/და სამართლის ისტორიის მიმართულების სხვა კურსები. სამართლის ინსტიტუტების, სამართლებრივი ცნებების შემეცნების პროცესში მათი ისტორიის სწავლა სტუდენტებს ეხმარება შესასწავლ კონცეფციათა უკეთ გააზრებასა და მათ ღირებულებით აღქმაში.⁸⁸ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებისათვის თეორიული კურსების სწავლებას სწორედ ამ პერსპექტივიდან უნდა უზრუნველყოფდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათთვის თეორიული კურსები ყოველთვის შინაარსს მოკლებული და პრაქტიკისთვის გამოუსადეგარი იქნება. ამ კურსების სწავლება კი, თავის მხრივ, ვერ შეძლებს იმ შედეგების მიღწევას, რომლებსაც რეალურად ემსახურება მათი პროგრამებში არსებობა.

სამართლის საფუძვლების, სამართლის გაგებისთვის აუცილებელი ინსტიტუტებისა და ღირებულებების სწავლება ეთიკური, პროფესიონალი და სამართლებრივი ღირებულებების მქონე იურისტის მომზადების აუცილებელი კომპონენტია.⁸⁹ ამგვარი ცოდნის გარეშე იურისტი ვერ შეძლებს ლექცია-სემინარის ფარგლებში განხილულისგან განსხვავებული, იმ არასტანდარტული შემთხვევების სამართლიანად გადაწყვეტას, რომელიც იურიდიულ პრაქტიკაში მრავლად შეხვდება.⁹⁰ შესაბამისად, აუცილებელია, დარგობრივ მახასიათებელთან ფორმალურ შესაბამისობასთან ერთად უსდებმა ყურადღება გაამახვილონ სწავლის თითოეული შედეგის შინაარსზე, პრაქტიკულ და ღირებულებით მნიშვნელობაზე, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირზე.

⁸⁸ იხ. Pound R., What Is a Good Legal Education, American Bar Association Journal, Vol. 19, No. 11, 1933, 631.

⁸⁹ იხ., გეგენავა დ., სამართალი, როგორც არის, სამართალი, როგორც უნდა იყოს: სიბნელე კურიკულუმის ბოლოს, წიგნში: ლადო ჭანტურია 60, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2023, 455.

⁹⁰ იხ., გეგენავა დ., რთული შემთხვევის სირთულე, წიგნში: დუორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021, i.

1.2.2. პრაქტიკა

კლასიკური იურიდიული განათლება ორიენტირებული იყო სამართლებრივ თეორიებსა და დოქტრინაზე.⁹¹ თეორია აკადემიურ განათლებაში კვლავ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, თუმცა დროთა განმავლობაში სამართლის სწავლება ფოკუსირდა პრაქტიკოსი იურისტების მომზადებაზე.⁹² ამის მიუხედავად, საგანმანათლებლო პროგრამების თანამედროვე მოთხოვნებზე მორგება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში კვლავ გამოწვევად რჩება.⁹³ მართალია, სამართლის დარგობრივი მახასიათებელი პრაქტიკული კომპონენტის არსებობას საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში აუცილებლად მიიჩნევენ, თუმცა აქტიური პრაქტიკა (იურიდიული კლინიკა) სავალდებულო ფორმით მხოლოდ მაგისტრატურის საფეხურისთვისაა განსაზღვრული.⁹⁴ საბაკალავრო პროგრამების შემთხვევაში პრაქტიკა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით იყოს ინტეგრირებული სასწავლო კურსებში.⁹⁵ საქარ-

⁹¹ Bucker A., Woodruff W.A., *The Bologna Process and German Legal Education: Developing Professional Competence through Clinical Experiences*, *German Law Journal*, Vol. 9, No. 5, 2008, 585.

⁹² იხ., გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N2, 2022, 8.

⁹³ იხ., Sylvester C., *Measuring Competence in Legal Education: A View from the Bridge*, *Law Teacher*, Vol. 49, No. 2, 2015, 244; იხ. ციტირება: W.M. Sullivan, A. Colby, J.W. Wegner, L. Bond and L.S. Shulman, *Educating Lawyers, Preparation for the Profession of Law* (San Francisco, The Carnegie Foundation for the Advancement of Teaching, Jossey-Bass, 2007), 45; Niedwiecki A., *Law Schools and Learning Outcomes: Developing a Coherent, Cohesive, and Comprehensive Law School Curriculum*, *Cleveland State Law Review*, Vol. 64, No. 3, 2016, 669; Stuckey R. T., *Preparing Students to Practice Law: A Global Problem in Need of Global Solutions*, *South Texas Law Review*, Vol. 43, No. 2, 2002, 661.

⁹⁴ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, IV, 4.5.

⁹⁵ იქვე; იხ., საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 23 მარტის სხდომის ოქმი MES 7 23 0000334386.

თველოსგან განსხვავებით, პრაქტიკული კომპონენტის შესახებ დათქმა გათვალისწინებულია აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოსა და გერმანიის სტანდარტებში/კანონმდებლობაში.⁹⁶ საქართველოს შემთხვევაში საბაკალავრო პროგრამაში აქტიური პრაქტიკის არსებობა დამოკიდებულია უსდ-ის არჩევანზე. შედეგად, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არსებულ საბაკალავრო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტი ამგვარი ფორმით გათვალისწინებული არ არის.⁹⁷

სამართლის საბაკალავრო პროგრამა არის იურიდიულ პროფესიაში პრაქტიკის განხორციელებისა და დასაქმების საშუალება,⁹⁸ შესაბამისად, ის უნდა უზრუნველყოფდეს კურსდამთავრებულთათვის საქმიანობის განსახორციელებლად საკმარისი პრაქტიკული და პროფესიული უნარების გამომუშავებას.⁹⁹ აკადემიურმა განათლებამ სტუდენტს უნდა ასწავლოს არა მხოლოდ როგორ „იფიქროს იურისტის მსგავსად“,¹⁰⁰ არამედ – როგორ „იმოქმედოს იურისტის მსგავსად“¹⁰¹ და იყოს იურისტი.¹⁰² იურიდიული პროფესიისთვის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა არასათანადო მომზადება, გა-

⁹⁶ იხ., Standards and Rules of Procedure for Approval of Law Schools, American Bar Association Section of Legal Education and Admissions to the Bar, 2023-2024, 304; Subject Benchmark Statement, Law, The Quality Assurance Agency for Higher Education, United Kingdom, 2023; Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Hessen, 2004, § 9 (1), 3.

⁹⁷ იხ., ხანთაძე ნ., იურიდიული პრაქტიკის პროგრამები საქართველოში, შეფასება და რეკომენდაციები, თბილისი, 2019, 54.

⁹⁸ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, II.

⁹⁹ იქვე, IV, 4.5.

¹⁰⁰ იხ., Wegner J.W., The Value of Legal Education, Nottingham Law Journal, Vol. 24, 2015, 120; Pokorak J. J., Seidman I., Slater G. M., Stop Thinking and Start Doing: Three-Year Accelerator-to-Practice Program as a Market-Based Solution for Legal Education, Washington University Journal of Law & Policy, Vol. 43, No. 1, 2013, 61.

¹⁰¹ იხ., Bucker A., Woodruff W. A., The Bologna Process and German Legal Education: Developing Professional Competence through Clinical Experiences, German Law Journal, Vol. 9, No. 5, 2008, 585.

¹⁰² იხ., Munneke G. A., Managing a Law Practice: What You Need to Learn in Law School, Pace Law Review, Vol. 30, No. 4, 2010, 1209.

ნსაკუთრებით პრაქტიკული უნარების მხრივ, ადასტურებს, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამებში პრაქტიკის იმპლემენტაციის მოქმედი მოდელი არაეფექტიანია და სტუდენტებს საკმარისად ვერ გამოუმუშავებს დარგისთვის აქტუალურ უნარებს.¹⁰³

სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მათი 58.3% სამართლის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა პრაქტიკული და პროფესიული უნარებით დამსაქმებლების უკმაყოფილების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად საბაკალავრო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის ნაკლებობას/არარსებობას მიიჩნევს. 61.1% ფიქრობს, რომ ხსენებულის მიზეზი აკადემიური სივრცისა და დამსაქმებლების არასაკმარისი/არასათანადო თანამშრომლობაცაა, 13.9% ასევე მიუთითებს პროგრამებში დარგისთვის აუცილებელი კომპეტენციების გაუთვალისწინებლობაზე.¹⁰⁴ ამასთან, პრაქტიკულ საქმიანობაში კურსდამთავრებულთა გამოწვევების განმაპირობებელ ფაქტორად გამოკითხულთა 69.4% სათანადო გამოცდილების არარსებობას ასახელებს.¹⁰⁵ აკადემიური განათლების ფარგლებში გამოცდილების მიღება სწორედ პროგრამაში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. შესაბამისად, კვლევის შედეგად დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული პრაქტიკული კომპონენტი აკადემიური სივრცის წარმომადგენლებისთვისაც პრობლემური ფაქტორია.

1.2.2.1. იურიდიული კლინიკა

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებში იურიდიული კლინიკის გათვალისწინება არაერთ ქვეყანაშია აქტუალური,¹⁰⁶ განსა-

¹⁰³ იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2021, 6.

¹⁰⁴ იხ., სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევა, დანართი N1.

¹⁰⁵ იხ., იქვე.

¹⁰⁶ იხ., Jelinic Z., Koch A., Elucidation of the Concept of a Law Clinic as a Prerequisite for Developing the Standards for Law Clinics in Europe, Asian Journal of Legal Education, Vol. 7, No. 2, 2020, 138.

კუთრებით, აშშ-ში.¹⁰⁷ კლინიკური სწავლების დანერგვის მზარდი ტენდენცია არსებობს ევროპულ სახელმწიფოებშიც,¹⁰⁸ მათ შორის, კლინიკურ სწავლებას იყენებენ გერმანიის უსდ-ები.¹⁰⁹ გერმანიის კანონმდებლობა იურიდიულ პროფესიაში დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად აწესებს სავალდებულო ორწლიან პრაქტიკას, რომლის გავლაც შესაძლებელია ოთხწლიანი საუნივერსიტეტო განათლების დასრულებისა და პირველი სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდეგ.¹¹⁰ ამის მიუხედავად, კანონმდებლობა დამატებით ითვალისწინებს სწავლის პერიოდში სავალდებულო პრაქტიკას, რომელიც მინიმუმ 3 თვე უნდა გაგრძელდეს.¹¹¹

კლინიკური იურიდიული განათლება სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.¹¹² პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კომპონენტები უნდა გასდევდეს მთელს კურიკულუმს და თეორიასთან ერთად ჩაშენებული უნდა იყოს სხვადასხვა სასწავლო კურსში, მაგალითად, ხელშეკრულების შედგენის, სარჩელისა და შესაგებლის შედგენის, იმიტირებული სასამართლო პროცესის და სხვა, მსგავსი ფორმით.¹¹³ ამის პარალელურად, მნიშვნელოვანია, კურიკულუმში სავალდებულო კომპონენტის სახით მოიცავდეს კლინიკურ სწავლებასაც, რომელიც სტუდენტებისათვის რეალური იურიდიული პრაქტიკის გაცნობასა და განხორციელებას მის სხვადასხვა ორგა-

¹⁰⁷ იხ., იქვე.

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ იხ., იქვე, 132.

¹¹⁰ იხ., Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Hessen, 2004, §26, §29; Koriath S., Legal Education in Germany Today, Wisconsin International Law Journal, Vol. 24, No. 1, 2006, 97.

¹¹¹ Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Hessen, 2004, §9 (1) 3.

¹¹² Bucker A., Woodruff W.A., The Bologna Process and German Legal Education: Developing Professional Competence through Clinical Experiences, German Law Journal, Vol. 9, No. 5, 2008, 579.

¹¹³ იხ., Redding R.E., The Counterintuitive Costs and Benefits of Clinical Legal Education, Wisconsin Law Review Forward, 2016, 60.

ნიზაციაში გაგზავნით ან უსდ-ის ბაზაზე შექმნილი კლინიკით უზრუნველყოფს.¹¹⁴

იურიდიული კლინიკა არ არის სტუდენტის პრაქტიკოს იურისტად ქცევის გარანტია, თუმცა მისი საშუალებით სტუდენტი იძენს ისეთ უნარებსა და გამოცდილებას, რომელიც ვერ მიიღწევა თეორიული სასწავლო კურსების ფარგლებში.¹¹⁵ რეალურ საქმეებსა და კლიენტებთან მუშაობა, პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან ერთად, სტუდენტებს ეხმარება კლიენტისა და პროფესიისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებაში.¹¹⁶ როგორც წესი, სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ პრაქტიკული საქმიანობის დაწყება, სხვადასხვა ორგანიზაციაში სტაჟირების გზით იღებენ გარკვეულ გამოცდილებას.¹¹⁷ ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, განიმარტოს, რატომ არის მნიშვნელოვანი ფორმალური განათლების ფარგლებში დანერგილი იურიდიული პრაქტიკა. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სახით გათვალისწინებული კლინიკა ქმნის შესაძლებლობას, სტუდენტმა გაიაროს სტრუქტურირებული და წინასწარ დაგეგმილი პრაქტიკა პროფესიონალი მენტორის ხელმძღვანელობით, რომელიც პრაქტიკის პერიოდში შეაფასებს სტუდენტებს და მიანვდის სათანადო უკუკავშირს.¹¹⁸ მენტორის/ლექტორის მიერ სტუდენტისთვის განმავი-

¹¹⁴ იხ., მოსახლიშვილი ლ., სამართლის დარგობრივი მახასიათებელი, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2024, 95; Mamak K., Kowalska K.J., Milan E., Klimek P., Modrzewski A.F., The Past, Present and Future of Clinical Legal Education in Poland, *International Journal of Clinical Legal Education*, Vol. 25, No. 2, 2018, 116.

¹¹⁵ იხ., Redding R.E., The Counterintuitive Costs and Benefits of Clinical Legal Education, *Wisconsin Law Review Forward*, 2016, 67.

¹¹⁶ Mamak K., Kowalska K. J., Milan E., Klimek P., Modrzewski A. F., The Past, Present and Future of Clinical Legal Education in Poland, *International Journal of Clinical Legal Education*, Vol. 25, No. 2, 2018, 111.

¹¹⁷ იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 8.

¹¹⁸ იხ., Anon J.G., How Do We Assess in Clinical Legal Education: A "Reflection" about Reflective Learning, *International Journal of Clinical Legal Education*, Vol. 23, No. 1, 2016, 50.

თარებელი შეფასების მიზნობას კლინიკის ფარგლებში, ისევე, როგორც პროგრამის სხვა კომპონენტების შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.¹¹⁹ კლინიკაში მიღწეული შედეგების შეფასება აუცილებელია მისი ეფექტიანობის დასადგენად.¹²⁰ იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგების მონიტორინგი, აუცილებელია წინასწარ განერილი სწავლის გაზომვადი შედეგებისა და სათანადო შეფასების მეთოდების არსებობა, რაც შესაძლებელია ფორმალური განათლების ფარგლებში.¹²¹ შესაბამისად, რეკომენდებულია, საბაკალავრო საფეხურზე სავალდებულო იყოს სტუდენტებისათვის აქტიური პრაქტიკის (იურიდიული კლინიკის) კომპონენტის შეთავაზება. დადებითად უნდა შეფასდეს სამაგისტრო პროგრამებისთვის ამგვარი მოთხოვნის არსებობა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ იურიდიულ პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობა არ არის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი (გამონაკლისია მოსამართლის თანამდებობაზე არჩევა¹²²),¹²³ ამდენად, კურსდამთავრებულის პრაქტიკისთვის მზაობას ბაკალავრიატის საფეხურიც უნდა უზრუნველყოფდეს.

¹¹⁹ იხ., Vollweiler D.M., Don't Panic: The Hitchhiker's Guide to Learning Outcomes: Eight Ways to Make Them More than (Mostly) Harmless, *University of Dayton Law Review*, Vol. 44, No. 1, 2018, 42; Sylvester C., Measuring Competence in Legal Education: A View from the Bridge, *Law Teacher*, Vol. 49, No. 2, 2015, 286; იხ. ციტირება: John Biggs and Catherine Tang, *Teaching for Quality Learning at University* (4th ed., Maidenhead, Society for Research into Higher Education and Open University Press, 2011), p. 221.

¹²⁰ იხ., Efron Y., What Is Learned in Clinical Learning?, *Clinical Law Review*, Vol. 29, No. 2, 262.

¹²¹ იხ., Bahls S.C., Adoption of Student Learning Outcomes: Lessons for Systemic Change in Legal Education, *Journal of Legal Education*, Vol. 67, No. 2, 2018, 381; Niedwiecki A., Law Schools and Learning Outcomes: Developing a Coherent, Cohesive, and Comprehensive Law School Curriculum, *Cleveland State Law Review*, Vol. 64, No. 3, 2016, 679.

¹²² „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹²³ იხ., სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“, II.

პრაქტიკული კომპონენტის ეფექტიანობის მისაღწევად ერთ-ერთი გასათვალისწინებელი საკითხია კლინიკის კრედიტების რაოდენობა. დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, სამაგისტრო პროგრამებისთვის კლინიკის რეკომენდებული მოცულობაა 15-30 კრედიტი.¹²⁴ ერთი აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტთა დატვირთვის მაქსიმალური ზღვრის გათვალისწინებით,¹²⁵ უსდ-ების პრაქტიკაში სტუდენტების სემესტრული დატვირთვა, საშუალოდ, 30 კრედიტს შეადგენს. მიზანშეწონილია, კლინიკის მოცულობა საბაკალავრო საფეხურისთვისაც 15-30 კრედიტის ფარგლებში განისაზღვროს. პრაქტიკის საათების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს სტუდენტის მიერ რელევანტური გამოცდილების მიღებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია, სათანადოდ იყოს განაწილებული დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათები,¹²⁶ რათა კომპონენტის კრედიტები არ გაიზარდოს დამოუკიდებელი საათების ფორმალურად ზრდის ხარჯზე.

იურიდიული კლინიკის მთავარი უპირატესობა რეალურ პრაქტიკასთან შეხებაა,¹²⁷ შესაბამისად, მიზანშეწონილია, კლინიკის მოცულობის საკმარისი ნაწილი დაეთმოს საკონტაქტო საათებს. ასევე, რეკომენდებულია განისაზღვროს იურიდიული პრაქტიკის სტანდარტი და ძირითადი მახასიათებლები,¹²⁸ რომლებიც შემდეგ გამოყენებული იქნება პროგრამის გარე შეფასების ფარგლებში. პრაქტიკის მახასიათებლების განსაზღვრა დასაშვებია როგორც სამართლის

¹²⁴ იქვე, IV, 4.5.

¹²⁵ იხ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-21 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹²⁶ იხ., იქვე, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

¹²⁷ იხ., Jelinic Z., Koch A., Elucidation of the Concept of a Law Clinic as a Prerequisite for Developing the Standards for Law Clinics in Europe, *Asian Journal of Legal Education*, Vol. 7, No. 2, 2020, 128; Anon J.G., How Do We Assess in Clinical Legal Education: A “Reflection” about Reflective Learning, *International Journal of Clinical Legal Education*, Vol. 23, No. 1, 2016, 56.

¹²⁸ მაგ., იხ., Standards and Rules of Procedure for Approval of Law Schools, American Bar Association Section of Legal Education and Admissions to the Bar, 2023-2024, 304.

დარგობრივ მახასიათებელში, ისე ცალკე არსებული სტანდარტის სახით. სწავლის სხვა შედეგების მსგავსად, პრაქტიკის შემთხვევაშიც მიზანშეწონილია, მოწესრიგდეს ძირითადი საკითხები და განისაზღვროს სწავლის მინიმალური შედეგები, დეტალური ორგანიზების თავისუფლება კი უსდებს დარჩეთ.

სამართლის საბაკალავრო პროგრამებზე იურიდიული კლინიკის დანერგვა ქართული უსდების უდიდესი ნაწილისთვის გამოწვევა იქნება. ეფექტიანი კლინიკის შექმნა ადამიანურ, მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული.¹²⁹ დაწესებულების მიერ სტუდენტების სხვა ორგანიზაციებში პრაქტიკისთვის გაგზავნისას გასათვალისწინებელია სტუდენტთა მიღებისთვის ამ ორგანიზაციების მზაობა. პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სტუდენტების რაოდენობის შესახებ.¹³⁰ უსდ ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა სტუდენტისთვის საკმარისი ადგილი პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად.

სამართლის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა გამოცხადებული ადგილების რაოდენობის მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით,¹³¹ დაწესებულებების უმეტესობას შესაძლოა გაუჭირდეს იურიდიული კლინიკის შეთავაზება ყველა ჩარიცხული სტუდენტისთვის. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია როგორც დაწესებულებების მიერ მისაღებ სტუდენტთა ადგილების შემცირებით, ისე უსდ-ის ბაზაზე იურიდიული კლინიკების დაფუძნებით.

¹²⁹ იხ., Efron Y., What Is Learned in Clinical Learning?, *Clinical Law Review*, Vol. 29, No. 2, 262.

¹³⁰ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“, 2.2.

¹³¹ მაგ., იხ., ცნობარი აბიტურიენტებისათვის 2021, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, <<https://bit.ly/3xuJMJ5>> [21.06.2024] ცნობარი აბიტურიენტებისათვის 2022, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, <<https://bit.ly/3KSst7W>> [21.06.2024] ცნობარი აბიტურიენტებისათვის 2023, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, <<https://bit.ly/3z8PuRt>> [21.06.2024] ცნობარი აბიტურიენტებისათვის 2024, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, <<https://bit.ly/3Rzt7e0>> [21.06.2024]

საუნივერსიტეტო ბაზაზე დაფუძნებულ იურიდიულ კლინიკას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საზოგადოებისთვისაც, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მესამე მისიის იმპლემენტაციის თვალსაზრისითაც აქტუალურია.¹³² კლინიკის ფარგლებში განხორციელებული *pro bono* იურიდიული დახმარება აუმჯობესებს საზოგადოების ხელმისაწვდომობას სამართლიანობაზე და ამასთან, უზრუნველყოფს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას სამართლებრივ საკითხებზე¹³³.

1.2.2.2. სამართლებრივი წერა

იურისტისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარი სამართლებრივი წერაა.¹³⁴ დარგობრივი მახასიათებელი სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის მინიმალურ შედეგებს შორის ასახელებს სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტის (მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტების) შედგენის უნარს.¹³⁵ დარგობრივი მახასიათებელი სამართლებრივი წერის, როგორც განყენებული სასწავლო კურსის, არსებობას არ მოითხოვს. სამართლის საბაკალავრო

¹³² იხ., Compagnuccia L., Spigarelli F., *The Third Mission of the University: A Systematic Literature Review on Potentials and Constraints*, *Technological Forecasting & Social Change*, An International Journal, Vol. 161, 2020, 12-14.

¹³³ Jelinic Z., Koch A., *Elucidation of the Concept of a Law Clinic as a Prerequisite for Developing the Standards for Law Clinics in Europe*, *Asian Journal of Legal Education*, Vol. 7, No. 2, 2020, 131; McFaul H., *Does Clinical Legal Education Need Theory?*, *Asian Journal of Legal Education*, Vol. 7, No. 2, 2020, 155; *Subject Benchmark Statement, Law*, The Quality Assurance Agency for Higher Education, United Kingdom, 2023, 2.8.

¹³⁴ იხ., Niedwiecki A., *Law Schools and Learning Outcomes: Developing a Coherent, Cohesive, and Comprehensive Law School Curriculum*, *Cleveland State Law Review*, Vol. 64, No. 3, 2016, 673-674.

¹³⁵ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, III, 3.1.2.

პროგრამების ფარგლებში, უმეტეს შემთხვევაში, ასეთი კურსი არ არსებობს. დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნას პროგრამები აკმაყოფილებენ სხვადასხვა კომპონენტში სტუდენტებისათვის სამართლებრივი წერის ასპექტების შეთავაზებით. დამსაქმებლებთან განხორციელებული კვლევებით დგინდება, რომ პროგრამების კურსდამთავრებულებს შორის გამოკვეთილი პრობლემური უნარებიდან ერთ-ერთი სწორედ სამართლებრივი წერაა.¹³⁶

სამართლებრივი წერის სასწავლო კურსი სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას სისტემატიზებულად ისწავლონ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება. თავისი სპეციფიკით, აღნიშნული კურსი უნდა იყოს პრაქტიკული ხასიათის, ორიენტირებული სამუშაო პროცესზე, რომელიც მცირე ჯგუფებში წარიმართება.¹³⁷ თეორიული კურსების ფარგლებში სამართლებრივი წერის ასპექტების სწავლებასთან ერთად, ეს კომპონენტი შექმნის სამართლებრივი წერის უნარის სამუშაო პროცესში გაღრმავების შესაძლებლობას. შესაბამისად, რეკომენდებულია, დარგობრივ მახასიათებელში არსებული ჩანაწერის მოდიფიცირება იმგვარად, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამებისთვის მოთხოვნილი იყოს სამართლებრივი წერის კურსის სწავლება. აქვე აღსანიშნავია განსახილველი საკითხის მიმართება იურიდიული პრაქტიკის კომპონენტთან. დასახელებული ორი რეკომენდაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, პროგრამის სტრუქტურაში სამართლებრივი წერის კურსი ისწავლებოდეს ყველა რელევანტური თეორიული კურსის დაძლევის შემდეგ, იურიდიული კლინიკის/პრაქტიკის არჩევამდე. შემოთავაზებული სტრუქტურის საშუალებით სტუდენტები თეორიული კურსებიდან მიღებული ცოდნის გამოყენებით სამართლებრივი წერის კურსის ფარგლებში გაიღრმავებენ ხსენებულ უნარს, ხოლო კლინიკის გავლის ეტაპზე შესაძლებლობა ექნებათ შექმნილი უნარები გამოიყენონ რეალურ პრაქტიკაში.

¹³⁶ იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2021, 6; ხანთაძე ნ., იურიდიული პრაქტიკის პროგრამები საქართველოში, შეფასება და რეკომენდაციები, თბილისი, 2019, 60-61.

¹³⁷ იხ., Todd A. G., *Writing Lessons from Abroad: A Comparative Perspective on the Teaching of Legal Writing*, Washburn Law Journal, Vol. 53, No. 2, 2014, 309.

იურისტის პროფესიის პრაქტიკული ხასიათიდან გამომდინარე, სამართლებრივი განათლების ფარგლებში სტუდენტებისათვის პრაქტიკული და პროფესიული უნარების გამომუშავება განსაკუთრებით საყურადღებოა. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები საკმარისად ვერ უზრუნველყოფენ სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. არსებული გამოწვევის გადასაწყვეტად ერთ-ერთი ფუნდამენტური ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამებში არსებულ პრაქტიკულ კომპონენტს უნდა შეეხოს. პრაქტიკული საქმიანობის დაწყებისთვის მოსამზადებლად მიზანშეწონილია, უსდ-ებისთვის სავალდებულო იყოს აქტიური პრაქტიკის კომპონენტის (იურიდიული კლინიკის) დანერგვა ბაკალავრიატის საფეხურზეც (იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული განათლებისა და პროფესიაში დაშვების მოქმედი მოდელი შენარჩუნდება). მთავარია, რომ საგანმანათლებლო პროგრამამ, რომლის დასრულებაც პროფესიაში დაშვებისთვის საკმარისი წინაპირობაა, კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს დარგისთვის აქტუალური პრაქტიკული უნარები, რომელთა შორისაც საყურადღებო და მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებელია სამართლებრივი წერა. ამ უნარების გამომუშავებისთვის კი სხვადასხვა სასწავლო კურსში პრაქტიკის ინტეგრირებასთან ერთად რეკომენდებულია სტუდენტებისთვის იურიდიული კლინიკისა და სამართლებრივი წერის სავალდებულო კურსების სახით შეთავაზება.

2. იურიდიული განათლების მოდელი და სტრუქტურა

2.1. იურიდიული განათლების მოდელი

უმაღლესი განათლების მოქმედი სისტემის მიხედვით, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს არანაკლებ 240 კრედიტს,¹³⁸ ხოლო მაგისტრატურის პროგრამა

¹³⁸ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

- არანაკლებ 120-ს.¹³⁹ აღნიშნული შეესაბამება ბოლონიის პროცესის ფარგლებში დანერგილ უმაღლესი განათლების სამსაფეხურიან სისტემას¹⁴⁰ და დუბლინის დესკრიპტორებით გათვალისწინებულ კვალიფიკაციათა სტრუქტურას.¹⁴¹ ზემოხსენებული სტრუქტურა, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, საერთოა ყველა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამისთვის.¹⁴² კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, როგორც წესი, ბაკალავრიატის პროგრამები 4 წელი გრძელდება, მაგისტრატურის – 2 წელი.¹⁴³ მნიშვნელოვანია, შეფასდეს, იურიდიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებზე ამგვარი მოდელის გავრცელება.

ფორმალურად, პრაქტიკული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად სამართლის ბაკალავრის ხარისხი საკმარისია,¹⁴⁴ გამონაკლისი მხოლოდ მოსამართლის თანამდებობაა¹⁴⁵. კვლევის

¹³⁹ იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁴⁰ იხ., უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე – მიზნების მიღწევა, უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპული მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, ბერგენი, 2005 წლის 19-20 მაისი.

¹⁴¹ იხ., უმაღლესი განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპული მინისტრების ბერგენის კონფერენციაზე მიღებული „კვალიფიკაციების სტრუქტურა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის“ („დუბლინის დესკრიპტორები“), 2005.

¹⁴² იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე-473-ე მუხლები.

¹⁴³ ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა მოიცავს 60 კრედიტს. დასაშვებია დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს (დაუშვებელია აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 კრედიტს) ან იყოს მასზე ნაკლები, თუმცა 60 კრედიტი აკადემიური წლის სრული დატვირთვის ერთგვარი სტანდარტია. პროგრამების ხანგრძლივობას სწორედ ზემოაღნიშნულითა და ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამებისთვის გათვალისწინებული კრედიტების მინიმალური რაოდენობითაა განპირობებული. იხ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-21 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები.

¹⁴⁴ იხ., სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“, II.

¹⁴⁵ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ფარგლებში გამოკითხული სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განმახორციელებელთა 58.3% მიიჩნევს, რომ ბაკალავრის ხარისხი პრაქტიკული იურიდიული საქმიანობის დასაწყებად საკმარისია; 33.3%-ის აზრით საკმარისი არ არის; გამოკითხულთა ნაწილი ასევე ასახელებს, რომ აღნიშნული დამოკიდებულება შესასრულებელ ფუნქციაზე; ბაკალავრის ხარისხი საკმარისია დაბალ პოზიციაზე საქმიანობის დასაწყებად.¹⁴⁶ თუმცა დამსაქმებლებისა და თავად კურსდამთავრებულების მოსაზრებების გათვალისწინებით, კურსდამთავრებულებს პრაქტიკის დაწყებისთვის ბაკალავრის ხარისხი ხშირად არ ჰყოფნით.¹⁴⁷

პროფესიაში დაშვებისთვის ბაკალავრის ხარისხის საკმარისობის შესაფასებლად რელევანტურია როგორც აკადემიური სივრცის, ისე დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებების კვლევა, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულებისგან მიღებულ უკუკავშირს უნდა მიენიჭოს. სწორედ მათზე ახდენს უშუალო გავლენას სამართლის საბაკალავრო პროგრამებით მიღწეული შედეგები. დამსაქმებლების შეფასებით, ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები პრაქტიკის დაწყებისთვის საკმარის უნარებს არ ფლობენ.¹⁴⁸ თავის მხრივ, თავად სტუდენტები და კურსდამთავრებულებიც მიიჩნევენ, რომ შრომის ბაზრისთვის მზად არ არიან.¹⁴⁹

პრობლემურია ასევე უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურების გამოიჯვნა – მეორდება თემატიკა, კურსების დასახელება და შინაარსი, ლიტერატურა.¹⁵⁰ მიზეზად განიხილება როგორც დარგობრივ მახასიათებელში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის გამიჯვნის სიცხადის ნაკლებობა, ასევე საქართველოში იურიდიული პროფესიისთვის დადგენილი მოთხოვნები (ბაკალავრიატის

¹⁴⁶ იხ., სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევა, დანართი N1.

¹⁴⁷ იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 6.

¹⁴⁸ იქვე.

¹⁴⁹ იქვე.

¹⁵⁰ ჩოკორაია კ., სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, თბილისი, 2021, 11.

კურსდამთავრებული დაიშვება პროფესიის თითქმის ყველა მიმართულებაში).¹⁵¹ ამდენად, იურიდიულ განათლებასა და პროფესიაში არსებული გამოწვევები მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და ხშირად ერთი მეორეს განაპირობებს.

ქართული იურიდიული განათლება ვერ უზრუნველყოფს მისი მთავარი მიზნის მიღწევას – პრაქტიკოსი იურისტის მომზადებას.¹⁵² სამართლებრივი განათლების კრიზისის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ საჭიროა ფუნდამენტური ცვლილებები. მათ შორის, დასახელებული გამოწვევების სპეციფიკიდან გამომდინარე (ბაკალავრის ხარისხის არასაკმარისობა პროფესიაში დაშვებისთვის, კურსდამთავრებულთა არასათანადო მომზადება შრომის ბაზრისთვის, უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურების გამიჯვნის პრობლემურობა და სხვ.), იკვეთება იურიდიული განათლების ქართული მოდელის გადახედვის საჭიროება.

ალტერნატიული მოდელის შემუშავებისთვის მიზანშეწონილია უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცეში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოსა და ბოლონიის პროცესის მონაწილე სახელმწიფოების პრაქტიკის გათვალისწინება. ევროპული ქვეყნების პრაქტიკის გაზიარება აქტუალურია როგორც საქართველოს უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის წევრობიდან, ისე ქართული სამართლის ევროპეიზაციის კურსიდან გამომდინარე.¹⁵³ ქართული იურიდიული განათლებისა და პროფესიის განვითარებისთვის მიზანშეწონილია იმ განვითარებულ სახელმწიფოთა პრაქტიკის გაზიარება, რომელთა სისტემასა და ღირებულებებთანაც ყველაზე მჭიდრო კავშირი აქვს.¹⁵⁴ ამასთან, ქვეყნის ევროინტეგრაციისკენ სწრაფვისა

¹⁵¹ იქვე.

¹⁵² იხ., Scalia A., William and Mary Law School Commencement Address: Reflections on the Future of the Legal Academy, *William & Mary Law Review*, Vol. 56, No. 6, 2015, 2019; გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N2, 2022, 8.

¹⁵³ იხ., ჭანტურია ლ., ქართული სამართალი და განვითარების ალტერნატივები, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, თბილისი, 2016, 13.

¹⁵⁴ იხ., იქვე, 22.

და ევროპის კავშირის წევრობის სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით, წევრ სახელმწიფოთა შორის პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების მიზნით, მიზანშეწონილია ქართული იურიდიული განათლებისა და პროფესიაში დაშვების მოდელის დაახლოება ევროპული სახელმწიფოების კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან.¹⁵⁵

ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მიზანი მარტივად გასაგები და შესაძარებელი აკადემიური ხარისხების შემოღება და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის არქიტექტურის ჰარმონიზაციაა.¹⁵⁶ ამ მიზნის მისაღწევად ევროპულმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს ძველ, ქაოსურ აკადემიურ ხარისხებზე და უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა დანერგეს.¹⁵⁷ ბოლონიის დეკლარაციის მიღების შემდეგ იტალიურმა იურიდიულმა განათლებამ არაერთი ცვლილება განიცადა.¹⁵⁸ მოქმედი მოდელი ითვალისწინებს 5 წლიან ინტეგრირებულ პროგრამას (ე.წ. “ciclo unico”¹⁵⁹), რომელიც სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით სრულდება,¹⁶⁰ ასევე 3 წლიან მოკლევადიან პროგრამას.¹⁶¹ 5 წლიანი

¹⁵⁵ იხ., Directive 2005/36/EC of the European Parliament and of the Council on the Recognition of Professional Qualifications [2005] OJ L255/22, Articles 12-13.

¹⁵⁶ იხ., ბოლონიის დეკლარაცია, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, ევროპის განათლების მინისტრების ერთობლივი დეკლარაცია, ბოლონია, 1999 წლის 19 ივნისი; სორბონის დეკლარაცია, ევროპის უმაღლესი განათლების სისტემის არქიტექტურის ჰარმონიზაცია, სორბონა, პარიზი, 1998 წლის 25 მაისი; ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენცია, ლისაბონი, 1997.

¹⁵⁷ იხ., Reich N., Recent Trends in European Legal Education: The Place of the European Law Faculties Association, Penn State International Law Review, Vol. 21, No. 1, 2002, 29.

¹⁵⁸ იხ., Antonioli L., Legal Education in Italy and the Bologna Process, European Journal of Legal Education, Vol. 3, No. 2, 2006, 143-144.

¹⁵⁹ იხ., Laurea Magistrale a Ciclo Unico (Single Cycle Degree/Combined Bachelor and Master- 300/360 ECTS) in Law, <<https://www.unibo.it/en/study/first-and-single-cycle-degree/programme/2024/5903>> [21.06.2024]

¹⁶⁰ იხ., Antonioli L., Legal Education in Italy and the Bologna Process, European Journal of Legal Education, Vol. 3, No. 2, 2006, 143.

¹⁶¹ იხ., Barsotti V., Varano V., Legal Education in Italy, Opinio Juris in Comparatione, Vol. 1, No. 3, 2010, 3, <<https://www.opiniojurisincomparatione.org/wp-content/uploads/2021/03/31-101-1-PB.pdf>> [21.06.2024]

ინტეგრირებული პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ მაგისტრის ხარისხი (“*Laurea Magistrale*”), ხოლო 3 წლიანი პროგრამა ბაკალავრიატის საფეხურს შეესაბამება და მის კურსდამთავრებულებს კვალიფიკაცია ენიჭებათ „იურიდიული მომსახურების მეცნიერებებში” (“*Scienze dei Servizi Giuridici*”).¹⁶² მოცემულ ორ კვალიფიკაციას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს – რეგულირებად იურიდიულ პრაქტიკაზე (იგულისხმება იურისტთა ასოციაციის წევრობა, ადვოკატის, მოსამართლის, ნოტარიუსისა და სხვა მაღალი თანამდებობების დაკავება) დაშვების წინაპირობა მაგისტრის ხარისხია, მოკლევადიანი პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო შემოიფარგლება პარალელალის, მოსამართლის თანაშემწის, შრომითი ურთიერთობის კონსულტანტისა და სხვა მსგავსი პოზიციებით.¹⁶³

საფრანგეთში დანერგილი სტრუქტურა 3 წლიან ბაკალავრიატსა და 2 წლიან მაგისტრატურას ითვალისწინებს.¹⁶⁴ პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვებისთვის ბოლო დრომდე მოითხოვებოდა მაგისტრატურის პირველი წლის დასრულება და შემდეგ ორსაფეხურიანი მომზადების გავლა.¹⁶⁵ უკანასკნელი ცვლილებებით, რომელიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან, პროფესიაში დაშვებისთვის აუცილებელი იქნება სამაგისტრო პროგრამის ორივე წლის დასრულება.¹⁶⁶ შესაბამისად, სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გამიჯვნის მიუხედავად, საფრანგეთში ბაკალავრის ხარისხი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების საკმარისი წი-

¹⁶² იხ., იქვე; *Universita di Pavia, Scienze dei Servizi Giuridici* <<https://shorturl.at/jBMVY>> [21.06.2024]

¹⁶³ იხ., Antonioli L., *Legal Education in Italy and the Bologna Process*, *European Journal of Legal Education*, Vol. 3, No. 2, 2006, 143-144.

¹⁶⁴ იხ., Nollent A., Ching J., *Legal Education for the Professions in Two Jurisdictions: Comparison, Consolidation or Fragmentation*, *Law Teacher*, Vol. 45, No. 3, 2011, 311.

¹⁶⁵ იქვე, 312.

¹⁶⁶ იხ., *Toutes les conditions d'accès à la profession*, *Le Conseil National des Barreaux*, <<https://www.cnb.avocat.fr/fr/toutes-les-conditions-dacces-la-profession>> [21.06.2024]

ნაპირობა არ არის.¹⁶⁷ პრაქტიკისთვის განსაზღვრულ გამოცდასა და მომზადების პროგრამაზე დასაშვებად სტუდენტმა, მოქმედი რეგულაციის მიხედვით, ჯამში 4 წელი უნდა ისწავლოს, რაც საბაკალავრო პროგრამის დასრულებასა და სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის 1 წელს მოიცავს¹⁶⁸. ხოლო 2025 წლის იანვრიდან აუცილებელი იქნება 3 წლიანი საბაკალავრო და 2 წლიანი სამაგისტრო პროგრამების დასრულება.¹⁶⁹

ბოლონის პროცესთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული რეფორმების ფარგლებში ნორვეგიამ 5 წლიანი ინტეგრირებული პროგრამა დაწერა.¹⁷⁰ ინტეგრირებული პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს მაგისტრის ხარისხი ენიჭება.¹⁷¹ ბოლონის პროცესის მონაწილე სახელმწიფოების პრაქტიკის გათვალისწინებით, ევროპულ ქვეყნებში იურიდიულ პრაქტიკაზე დაშვებისთვის ძირითადად სამართლის მაგისტრის კვალიფიკაცია მოითხოვება.¹⁷² კიდევ ერთი აღსანიშნავი ტენდენცია 3 წლიანი საბაკალავრო პროგრამებისთვის უპირატესობის მინიჭებაა, რაც ემსახურება პროგრამის ხანგრძლივობის შემცირებითა და ეფექტიანობის გაზრდით კვალიფიკაციის მიღების შემდეგ დასაქმების რეალური პერსპექტივის შექმნას.¹⁷³

¹⁶⁷ იხ., იქვე.

¹⁶⁸ იხ., Nollent A., Ching J., Legal Education for the Professions in Two Jurisdictions: Comparison, Consolidation or Fragmentation, Law Teacher, Vol. 45, No. 3, 2011, 312.

¹⁶⁹ იხ., Toutes les conditions d'accès à la profession, Le Conseil National des Barreaux, <<https://www.cnb.avocat.fr/fr/toutes-les-conditions-dacces-la-profession>> [21.06.2024]

¹⁷⁰ Braekhus H., Husabo O., The Impact of the Sorbonne-Bologna Declaration on Legal Education in Norway, European Journal of Legal Education, Vol. 1, No. 1, 2004, 47.

¹⁷¹ იქვე.

¹⁷² Pineiro L. C., Legal Education in Spain: Challenges and Risks in Devising Access to the Legal Professions, International Journal of the Legal Profession, Vol. 19, No. 2-3, 2012, 345.

¹⁷³ Vanistendael F., BA + MA = (3+2 = 5+0 = 4+1) x60 ECTS > (3+1) x 60 ECTS, Slovenian Law Review, Vol. 2, No. 2, 2005, 183.

ქართულ უმაღლესი განათლების სივრცეში განხორციელებული უახლესი ცვლილებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბაკალავრიატის საფეხურის პროგრამების 3 წლამდე (არანაკლებ 180 კრედიტი) შემცირება საქართველოშიც აქტუალური ხდება.¹⁷⁴ ამ ეტაპზე ცვლილება შეეხო „სწავლის სფეროების კლასიფიკაციით“ განსაზღვრული ხელოვნებისა და ბიზნესი და ადმინისტრირების ვინრო სფეროებში კლასიფიცირებულ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებს.¹⁷⁵ ცვლილება დანესებულებებს არ ზღუდავს მხოლოდ 3 წლიანი საბაკალავრო პროგრამების განხორციელებით, მათ ექნებათ შესაძლებლობა აირჩიონ რა ხანგრძლივობის პროგრამებს შეიმუშავენ განსაზღვრულ მიმართულებებში. განიხილება ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა სხვა სფეროებშიც.¹⁷⁶ შესაბამისად, მნიშვნელოვანია შეფასდეს ცვლილების სამართლის საბაკალავრო პროგრამებზე გავრცელების შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა.

3 წლიანი ბაკალავრიატის არსებობა, მათ შორის, იურიდიულ განათლებაში, საერთაშორისო პრაქტიკის ნაწილია.¹⁷⁷ ამის მიუხედავად,

¹⁷⁴ იხ., საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 თებერვლის №72/ნ ბრძანება „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბრის №206/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

¹⁷⁵ იხ., საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბრის №206/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁷⁶ იხ., „ბაკალავრიატის 3-წლიანი და სამაგისტრო 1 წლიანი პროგრამები ძალაში 2025 წლიდან შევა“, <<https://edu.aris.ge/news/bakalavriatis-3-wliani-da-samagistro-1-wliani-programebi-dzalashi-2025-wliand-sheva-naec-is-xelmdzgvanelis-komentari.html>> [21.06.2024]

¹⁷⁷ Vanistendael F., BA + MA = (3+2 = 5+0 = 4+1) x60 ECTS > (3+1) x 60 ECTS, Slovenian Law Review, Vol. 2, No. 2, 2005, 183.

აუცილებელია იურიდიული პროფესიის რეგულირების გათვალისწინება. რეგულირებადი პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, განათლების ამა თუ იმ მოდელისა და სტრუქტურის მიზანშეწონილობა უშუალოდ დაკავშირებულია კურსდამთავრებულთა მიერ პრაქტიკულ საქმიანობაზე დაშვებასთან. არსებული 4 წლიანი სამართლის საბაკალავრო პროგრამები კურსდამთავრებულებს პრაქტიკისთვის სათანადოდ ვერ ამზადებს.¹⁷⁸ თეორიულად შესაძლებელია ერთდროულად პროგრამების ხანგრძლივობის შემცირებითა და ეფექტიანობის გაზრდით იმავე შედეგების მიღწევა, რასაც მოქმედი საბაკალავრო პროგრამები 4 წელში უზრუნველყოფს. თუმცა მთავარი გასათვალისწინებელი ფაქტორი ისაა, რომ არსებულის მსგავსი შედეგების მიღწევა სასურველი არ არის. მოქმედი საბაკალავრო პროგრამები და მთლიანობაში, იურიდიული განათლების მოდელი პრაქტიკოსი იურისტის სათანადოდ მომზადებას ვერ უზრუნველყოფს. შესაბამისად, ცვლილებები მიმართული უნდა იყოს ამ მდგომარეობის გაუმჯობესების და არა სტატუს კვოს შენარჩუნებისკენ.

პროგრამების ხანგრძლივობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია რეკომენდაცია ბაკალავრიატის საფეხურზე აქტიური პრაქტიკის კომპონენტის (იურიდიული კლინიკის) დამატებისა და მისი მოცულობის შესახებ. იურიდიული განათლების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ცვლილებების განხორციელებას პროგრამის 3 წლამდე შემცირება კიდევ უფრო გაართულებს. თუ პრაქტიკული იურიდიული საქმიანობის განხორციელების წინაპირობა მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი იქნება, სამწლიანი პროგრამით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწავლის ყველა რელევანტური შედეგის მიღწევა, რათა კურსდამთავრებულებმა შეძლონ პრაქტიკის წარმატებით განხორციელება. ამ შედეგების მოცულობისა და შინაარსის გათვალისწინებით, ხსენებული მიზნის მიღწევა 3 წელში, სულ მცირე, რთული იქნება.

იმ ევროპულ სახელმწიფოებში, რომლებშიც სამწლიანი სამართლის საბაკალავრო პროგრამები ხორციელდება, კურსდამთავ-

¹⁷⁸ სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 36-40.

რებულთა პროფესიაში დაშვებისთვის ძირითადად მაგისტრის ხარისხის მოპოვებაა საჭირო,¹⁷⁹ ზოგიერთ შემთხვევაში კი დამატებითი თეორიული ან/და პრაქტიკული სწავლებაც მოითხოვება.¹⁸⁰ როგორც ნესი, ასეთი სწავლება ორ წელიწადს გრძელდება.¹⁸¹ საყურადღებოა ასევე გერმანიის მაგალითი, სადაც პრაქტიკაზე დაშვებისთვის ოთხწლიან საბაკალავრო პროგრამებთან ერთად გათვალისწინებულია ორწლიანი პრაქტიკული მომზადება და ორი სახელმწიფო გამოცდის ჩაბარება.¹⁸² პროგრამების მოცულობის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფოს/პროფესიული ასოციაციის მიერ პრაქტიკაზე დაშვების სხვა წინაპირობების გამკაცრება.¹⁸³ ასეთი მიდგომა, თავის მხრივ, შეამცირებს აკადემიური იურიდიული განათლების როლს იურიდიულ პროფესიაში.

სამწლიანი საბაკალავრო პროგრამების დანერგვა ზემოთ განხილული გამოწვევების გარეშე შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ იურიდიულ პროფესიაში დაშვებისთვის სავალდებულო იქნება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვება. ეს მოდელი ემსგავსება ფრანგულს, სადაც გამიჯნულია სამწლიანი ბაკალავრიატი და ორწლიანი მაგისტრატურა, ხოლო პროფესიაში დაშვებისთვის განსაზღვრულ ტესტირებასა და მომზადებაზე სტუდენტები დაიშვებიან მაგისტრატურის პროგრამის დასრულების შემ-

¹⁷⁹ მაგ., საფრანგეთში. იხ., Nollent A., Ching J., *Legal Education for the Professions in Two Jurisdictions: Comparison, Consolidation or Fragmentation*, *Law Teacher*, Vol. 45, No. 3, 2011, 311-312.

¹⁸⁰ იხ., Merryman J.H., Perez-Perdomo R., *The Civil Law Tradition: An Introduction to the Legal Systems of Europe and Latin America*, 4th Ed., Stanford University Press, 2018, 106; Reich N., *Recent Trends in European Legal Education: The Place of the European Law Faculties Association*, *Penn State International Law Review*, Vol. 21. No. 1, 2002, 32.

¹⁸¹ Reich N., *Recent Trends in European Legal Education: The Place of the European Law Faculties Association*, *Penn State International Law Review*, Vol. 21. No. 1, 2002, 32.

¹⁸² Koriath S., *Legal Education in Germany Today*, *Wisconsin International Law Journal*, Vol. 24, No. 1, 2006, 85.

¹⁸³ Vanistendael F., *BA + MA = (3+2 = 5+0 = 4+1) x60 ECTS > (3+1) x 60 ECTS*, *Slovenian Law Review*, Vol. 2, No. 2, 2005, 186.

დეგ.¹⁸⁴ თუმცა, ამავდროულად, შესაძლებელია ორი საფეხურის გამიჯვნის ნაცვლად 5 წლიანი ინტეგრირებული პროგრამის დანერგვა. ინტეგრირება მიზანშეწონილია, რამდენადაც განხილულ შემთხვევაში პირველი საფეხურის დასრულება თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ისეთი მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევას, როგორც პროფესიაში დაშვებაა. აღნიშნულს ადასტურებს არაერთ ევროპულ სახელმწიფოში 5 წლიანი ინტეგრირებული პროგრამის არსებობა, რომლის დასრულების შემდეგაც კურსდამთავრებულს მაგისტრის ხარისხი ენიჭება.¹⁸⁵

ხუთწლიანი ინტეგრირებული პროგრამები ქართული უმაღლესი განათლების სივრცისთვის უცხო არ არის. კანონმდებლობა ითვალისწინებს დიპლომირებული მედიკოსის/დიპლომირებული სტომატოლოგის, მასწავლებლის მომზადებისა და ვეტერინარიის ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებს, რომლებიც სრულდება მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მინიჭებით.¹⁸⁶ შესაბამისად, დარგის მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაძლებელია ინტეგრირებული პროგრამის კანონმდებლობით დანერგვა. მაგალითად, მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ინტეგრირების მიზნად საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში დასახელებული იყო მასწავლებლის მომზადების სისტემის გაუმჯობესება.¹⁸⁷

¹⁸⁴ იხ., Nollent A., Ching J., *Legal Education for the Professions in Two Jurisdictions: Comparison, Consolidation or Fragmentation*, *Law Teacher*, Vol. 45, No. 3, 2011, 311-312; *Toutes les conditions d'accès à la profession*, *Le Conseil National des Barreaux*, <<https://www.cnb.avocat.fr/fr/toutes-les-conditions-d-accès-la-profession>> [21.06.2024]

¹⁸⁵ იხ., Antonioli L., *Legal Education in Italy and the Bologna Process*, *European Journal of Legal Education*, Vol. 3, No. 2, 2006, 143; Barsotti V., Varano V., *Legal Education in Italy*, *Opinio Juris in Comparatione*, Vol. 1, No. 3, 2010, 3; Braekhus H., Husabo O., *The Impact of the Sorbonne-Bologna Declaration on Legal Education in Norway*, *European Journal of Legal Education*, Vol. 1, No. 1, 2004, 47.

¹⁸⁶ იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 462-ე, 463-ე და 471-ე მუხლები.

¹⁸⁷ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს 2015 წლის 27 ნოემბრის კანონი №4582-ის გამარტებითი ბარათი, ა.ბ).

საყურადღებო გარემოებაა, რომ ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ინტეგრირებული პროგრამა ამავდროულად რეგულირებადია.¹⁸⁸ ასეთი მონესრიგება ლოგიკურია – კანონმდებლობა კონკრეტულ რეგულირებად პროფესიებში დაშვებისთვის, მათი მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აწესებს უფრო მკაცრ მოთხოვნებს და მაგისტრის აკადემიურ ხარისხს მოითხოვს. ამგვარი მიდგომის არსებობა მით უფრო მიზანშეწონილია იურიდიული განათლების შემთხვევაში, პრაქტიკოსი იურისტის მომზადების გაუმჯობესებისათვის. ცვლილება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს იურიდიულ პრაქტიკაზე დაშვების ერთიანი სტანდარტის შემუშავებას, რამდენადაც ნებისმიერი მიმართულების პრაქტიკისთვის საჭირო იქნება სამართლის მაგისტრის კვალიფიკაციის მოპოვება.

სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ მათი უმეტესობა – 36.1% – არსებულ მოდელს, ოთხნობიან ბაკალავრიატსა და ორნობიან მაგისტრატურას ემხრობა; 22.2% უპირატესობას ანიჭებს ხუთნობიან ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამას; 19.4% – ოთხნობიან ბაკალავრიატსა და ერთნობიან მაგისტრატურას; 5.6%-ის აზრით, ოპტიმალური მოდელი სამნობიანი ბაკალავრიატი და ორნობიანი მაგისტრატურაა.¹⁸⁹ ასეთი შედეგები ლოგიკური და მოსალოდნელია, რადგან აკადემიური სივრცისთვის, განსაკუთრებით, ხანგრძლივი ისტორიის მქონე დაწესებულებებისთვის, ცვლილებების მიღება და განხორციელება რთულია.¹⁹⁰ უსდ-ების პოზიციის სავარაუდო მიზეზი შესაძლოა იყოს საკითხის დაწესებულების გადმოსახედიდან შეფასება. უსდ-ებისთვის არსებული მოდელი ერთგვარად წარმატებულია, ისინი აქტიურად და მზარდად იღებენ სტუდენტებს, პერსონალი ინარჩუნებს პოზიციებს, მთლიანობაში დაწესებულება

¹⁸⁸ იხ., „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 462-ე, 463-ე, 471-ე მუხლები და 75-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁸⁹ იხ., სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევა, დანართი N1.

¹⁹⁰ Chemerinsky E., Reimagining Law Schools, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1462.

კი – სტატუს კვოს.¹⁹¹ იურიდიული განათლების არსებული მოდელის კრიზისი ყველაზე ცხადად კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისთვის იგრძნობა, რაც შესაბამისი კვლევებითაც დასტურდება.¹⁹² იურიდიული განათლება და იურისტის პროფესია ურთიერთდაკავშირებულია,¹⁹³ აქედან გამომდინარე, აკადემიურმა სივრცემ უნდა გაითვალისწინოს პროფესიული პრაქტიკიდან მიღებული უკუკავშირი, მით უმეტეს სამართალში, რომელიც გამოყენებითი დარგია და, შესაბამისად, პრაქტიკაზე უნდა იყოს ორიენტირებული¹⁹⁴.

არსებული მოდელის ცვლილების საჭიროებას ადასტურებს, მათ შორის: ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა არასათანადო მზაობა შრომის ბაზრისთვის;¹⁹⁵ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გამიჯვნის პრობლემურობა და გადაფარვა;¹⁹⁶ მაგისტრატურის საფეხურისადმი შრომის ბაზარზე არსებული ფორმალური დამოკიდებულება და კანდიდატთა შერჩევისას მხოლოდ დამატებით უპირატესობად განხილვა.¹⁹⁷ გამონკვევა ასევე აქტიური პრაქტიკის კომპონენტის მხოლოდ მაგისტრატურის პროგრამებისთვის მოთხოვნა,¹⁹⁸ როდესაც პროფესიის ძირითად მიმართულებებზე დაშვებისთვის ბაკალავრის ხარისხია საკმარისი¹⁹⁹.

¹⁹¹ იქვე.

¹⁹² იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021.

¹⁹³ Daly M.C., *The Structure of Legal Education and the Legal Profession, Multi-disciplinary Practice, Competition, and Globalization*, *Journal of Legal Education*, Vol. 52, No. 4, 2002, 481.

¹⁹⁴ იხ., Pound R., *Generation of Law Teaching*, *Michigan Law Review*, Vol. 38, No. 1, 1939, 26.

¹⁹⁵ სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 36-40.

¹⁹⁶ ჩოკორაია კ., სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, თბილისი, 2021, 11.

¹⁹⁷ სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 43.

¹⁹⁸ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, IV, 4.5.

¹⁹⁹ იხ., იქვე, II.

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის ინტეგრირება შესაძლებელს გახდის ხსენებული პრობლემების გადაჭრას. ცხადია, ეს მიღწევადი იქნება შესაბამისი ხარისხის პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების შემთხვევაში. თავისთავად ვერცერთი მოდელი ვერ უპასუხებს არსებულ ყველა გამოწვევას, თუმცა 5 წლიანი ინტეგრირებული პროგრამა განხილული მოდელებიდან ყველაზე მეტ შესაძლებლობას ქმნის იურიდიული განათლების გაუმჯობესებისთვის და შესაბამისად, საქართველოში იურიდიული განათლების ოპტიმალური მოდელია.

რეკომენდებულია, კანონმდებლობამ გაითვალისწინოს ხუთწლიანი სამართლის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა, როგორც იურიდიული განათლების მოდელი. ამასთან, ცვლილება უნდა შეეხოს „სწავლის სფეროების კლასიფიკატორსაც“, კერძოდ, უნდა შეიცვალოს სამართლის დეტალურ სფეროში სწავლის სფეროების არსებული კლასიფიცირება და სამართლის დეტალურ სფეროში შემავალი სწავლის სფეროს კვალიფიკაციის დასახელების ფორმულირება. ასევე აუცილებელი იქნება: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 მუხლში კვალიფიკაციის მე-7 დონისთვის სამართლის მაგისტრის კვალიფიკაციის დამდასტურებელი დიპლომის მითითება; სამართლის დარგობრივი მახასიათებლის ინტეგრირებული პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად ჩამოყალიბება. იურიდიული განათლების ახალი მოდელი თავისთავად განაპირობებს პრაქტიკულ საქმიანობაზე დაშვების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების მოდიფიცირებასაც.

ხუთწლიან ინტეგრირებულ პროგრამასთან ერთად, იურიდიული განათლების გაუმჯობესების მიზნისთვის კიდევ ერთი მისაღები ალტერნატიული მოდელი სამწლიანი ბაკალავრიატი და ორწლიანი მაგისტრატურაა. ამ მოდელის დანერგვა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ პირობით, თუ პროფესიაში დაშვებისთვის მოთხოვნილი იქნება მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ასეთ შემთხვევაში 3+2 მოდელი შედეგობრივად სამართლის ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტ-

ტრო პროგრამას დაუახლოვდება. განსახილველი მოდელის დანერგვის შესაძლებლობის მიუხედავად, უპირატესობა მაინც ინტეგრირებულ პროგრამას უნდა მიენიჭოს, რადგან ამ შემთხვევაში იურიდიული განათლების სტრუქტურა ერთიანია, აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურები ხელოვნურად გამიჯნული არ არის მისი საჭიროების არარსებობის პირობებში. ამასთან, აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობით დამკვიდრებულ, ინტეგრირებული და რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების კორელაციის პრაქტიკას.

2.2. ინტეგრირებული პროგრამის სტრუქტურა

სამართლის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამისთვის კანონმდებლობით დადგენილი სწავლის მინიმალური შედეგების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ ინტეგრირებული პროგრამა სწავლის შედეგებით უთანაბრდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს.²⁰⁰ მე-7 დონესთან გათანაბრება განპირობებულია კრედიტების მოცულობითა (მაგალითად, დიპლომირებული მედიკოსის/დიპლომირებული სტომატოლოგის, მასწავლებლის მომზადებისა და ვეტერინარიის ინტეგრირებული პროგრამები 300 კრედიტს მოიცავს)²⁰¹ და პროგრამის დასრულების შედეგად მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.²⁰² პროგრამის სწავლის შედეგები როგორც დარგობრივ მახასიათებელში, ისე ინდივიდუალურად, უსდების მიერ, უნდა ჩამოყალიბდეს ამ დონის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა სავალდებულოდ მოიცავდეს აქტიურ პრაქტიკას – კლინიკურ სწავლებას, რაც მოქმედ

²⁰⁰ იხ., საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“, პირველი მუხლი, მე-7 დონე.

²⁰¹ იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 462-ე, 463-ე და 471-ე მუხლები.

²⁰² იხ., საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“, პირველი მუხლი, მე-7 დონე.

მოდელში მაგისტრატურის საფეხურისთვისაა გათვალისწინებული²⁰³. იურიდიული კლინიკის კომპონენტისა და რეალურ პრაქტიკასთან შეხების გარეშე ინტეგრირებული პროგრამის სწავლის შედეგები ვერ დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.²⁰⁴ ხუთწლიანი პროგრამის შემთხვევაში ასევე რელევანტურია წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გაცემული სხვა რეკომენდაციებიც.

3+2 პრინციპიდან გამომდინარე, ინტეგრირებული პროგრამის პირველი სამი წელი შინაარსობრივად ბაკალავრიატის სწავლის შედეგებთან იქნება დაკავშირებული, ხოლო შემდეგი ორი – მაგისტრატურასთან.²⁰⁵ ხუთი წლის განმავლობაში კურსები თემატურად დალაგებული უნდა იყოს ზოგადიდან კერძოსკენ და ფარავდეს პრაქტიკული საქმიანობისთვის აქტუალურ ყველა კომპეტენციას. ამასთან, სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა აირჩიოს სპეციალიზაციის მოდული, როგორც მოქმედი სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაშია უზრუნველყოფილი.²⁰⁶ საყურადღებოა ასევე სამაგისტრო ნაშრომის ადგილი ხუთწლიან პროგრამაში და სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების პერსპექტივა. კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას ან ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელთა საფუძველზედაც ის შეძლებს სა-

²⁰³ იხ., სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, IV, 4.5.

²⁰⁴ იხ., Chemerinsky E., Reimagining Law Schools, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1468; Barrows J. W., On Becoming a Lawyer, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1512; Tacha D. R., Training the Whole Lawyer, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1702.

²⁰⁵ იხ., Vanistendael F., BA + MA = (3+2 = 5+0 = 4+1) x60 ECTS > (3+1) x 60 ECTS, *Slovenian Law Review*, Vol. 2, No. 2, 2005, 185-186.

²⁰⁶ იხ., მოსახლიშვილი ლ., სამართლის დარგობრივი მახასიათებელი, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2024, 35.

მაგისტრო ნაშრომის ან/და პროექტის წარდგენას, მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით.²⁰⁷

საკანონმდებლო მოთხოვნიდან გამომდინარე, მაგისტრატურის პროგრამაში კვლევითი კომპონენტი შესაძლოა არსებობდეს როგორც სამაგისტრო ნაშრომის, ასევე სამაგისტრო პროექტის სახით. ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად გასათვალისწინებელია იურისტის პროფესიის პრაქტიკული ხასიათი. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი პრაქტიკოსი იურისტის მომზადებაა.²⁰⁸ სამაგისტრო ნაშრომი სამეცნიერო-კვლევითი ხასიათისაა, შესაბამისად, აქტუალური და საინტერესო ვერ იქნება იმ სტუდენტებისთვის, რომელთა მიზანიც მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაა. ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, როდესაც გამიჯნული არ არის მაგისტრატურის საფეხური და პროგრამის წარმატებით დასრულება პრაქტიკული საქმიანობის დაწყების წინაპირობაა, არ არის მიზანშეწონილი პრაქტიკული იურიდიული საქმიანობის განხორციელების ყველა მსურველს მოეთხოვებოდეს სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შესრულება.

მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი უნარების კომპონენტის ინტეგრირებას.²⁰⁹ დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, პრაქტიკაში უსდების ნაწილი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში სამეცნიერო-კვლევით უნარებთან დაკავშირე-

²⁰⁷ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

²⁰⁸ იხ., Lande J., *Reforming Legal Education to Prepare Law Students Optimally for Real-World Practice*, *Journal of Dispute Resolution*, Vol. 2013, No. 1, 2013, 1; Condlin R. J., *Practice Ready Graduates: A Millennialist Fantasy*, *Touro Law Review*, Vol. 31, No. 1, 2014, 75.

²⁰⁹ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 ნოემბრის (MES 4 22 0001465694) ბრძანებით დამტკიცებული „მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“, II, 2.4.

ბულ მოთხოვნას აკმაყოფილებს კომპონენტის სხვადასხვა სასწავლო კურსში ინტეგრირებით ან/და შესაბამისი სასწავლო კურსების დამატებით.²¹⁰ ზოგიერთ შემთხვევაში კი უსდ-ებს პროგრამაში გათვალისწინებული აქვთ კვლევითი პროექტი, რომელსაც სტუდენტები ყველა სავალდებულო სასწავლო კურსის გავლის შემდეგ ასრულებენ.²¹¹ პროგრამების კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ სწავლა გააგრძელონ უმაღლესი განათლების მე-3 საფეხურზე, დოქტორანტურაში.²¹² დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში ამგვარი მიდგომის არსებობას დარგის სპეციფიკა განაპირობებს. მედიცინის მაგალითი ადასტურებს, რომ სფეროს მოთხოვნების გათვალისწინებით შესაძლებელია სამართლის ინტეგრირებული პროგრამაც განხორციელდეს სამაგისტრო ნაშრომის გარეშე. განხილული მაგალითის მსგავსად, პროგრამა შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკულ პროექტს ან სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ინტეგრირებული იყოს სხვადასხვა სასწავლო კურსში. ასეთი ფორმით უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტებისთვის კვლევითი უნარების გამომუშავება და ამავდროულად, პრაქტიკული იურიდიული საქმიანობის ყველა მსურველს არ ექნება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ვალდებულება.

²¹⁰ მაგ., იხ., ევროპის უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, <<https://bit.ly/3KRhbR5>> [21.06.2024] აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, <[https://cdn.atsu.edu.ge/files/faculty%20programs/medicine/EN/MD%20\(eng\).pdf](https://cdn.atsu.edu.ge/files/faculty%20programs/medicine/EN/MD%20(eng).pdf)> [21.06.2024]

²¹¹ მაგ., იხ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, <<https://bit.ly/3RCUcgC>> [21.06.2024] შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამა, <https://ibs.edu.ge/wp-content/uploads/2024/02/Web_-_MD-Program-Final-Geo.pdf> [21.06.2024]

²¹² იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი.

3. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

3.1. დარგის მოთხოვნებთან სწავლის შედეგების შესაბამისობის დადასტურება

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციის პროცესს ზოგადი წესის მიხედვით ექვემდებარებიან.²¹³ ამავდროულად, სამართალს, როგორც რეგულირებად პროგრამას,²¹⁴ გარკვეული თავისებურებებიც ახასიათებს – მისი აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრისას გაითვალისწინება დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი სპეციალური მოთხოვნები²¹⁵. შესაბამისად, პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს როგორც აკრედიტაციის სტანდარტებს²¹⁶, რომლებიც საერთოა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისთვის, ისე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. რეგულირებადი პროგრამების მიმართ გარე შეფასების პოლიტიკა ყოველთვის უფრო მკაცრია – 2022 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდეც კი, როდესაც დაიშვებოდა არააკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ე.წ. „ავტორიზებულ რეჟიმში“, რეგულირებადი და დოქტორანტურის საფეხურის პროგრამების განხორციელებისთვის აკრედიტაციის გავლა მაინც სავალდებულო იყო²¹⁷.

²¹³ იხ., იქვე, 63-ე მუხლი.

²¹⁴ იხ., იქვე, 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

²¹⁵ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, მე-18 მუხლი.

²¹⁶ იხ., „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

²¹⁷ იხ., გორგოძე მ., ეკლესია-სახელმწიფოს თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში, წიგნში: ლადო ჭანტურია 60, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2023, 308.

პროგრამის აკრედიტაცია სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმია,²¹⁸ რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის გზით ხელს უწყობს განათლების ხარისხის ასამაღლებლად დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრებასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებას.²¹⁹ აკრედიტაცია ერთგვარი გარანტია იმისა, რომ სამართლის პროგრამები, სულ მცირე, აკმაყოფილებს სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდების მინიმალურ სტანდარტს და კურსდამთავრებულებს იურიდიული პრაქტიკის დასაწყებად ადეკვატურად ამზადებს.²²⁰ აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან ერთად, პროცესის ფარგლებში ფასდება პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა კვალიფიკაციის დონესთან, დეტალური სფეროს აღმწერთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან, პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროს მოთხოვნებთან, სწავლის სფეროს სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.²²¹

კურსდამთავრებულების მიერ პრაქტიკული საქმიანობის წარმატებით განხორციელებას პროგრამის სწავლის შედეგები მნიშვნე-

²¹⁸ იხ., Conison J., *The Architecture of Accreditation*, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1518; გრძელიძე ი., ბუჩაშვილი გ., ქარჩავა მ., უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: მიდგომები, გამოწვევები და შესაძლებლობები, თბილისი, 2019, 21.

²¹⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

²²⁰ იხ., Chemerinsky E., *Reimagining Law Schools*, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1470; Smith, S. R., *Accreditation Revisited: ABA Reexamination of Approved Law Schools*, *Wayne Law Review*, Vol. 27, No. 1, 1980, 98.

²²¹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“, 1.2.

ლოვნად განაპირობებს.²²² აშშ-ის კანონმდებლობა აკრედიტაციის ორგანოებისთვის ქმნის იმ საკითხების ზოგად ჩარჩოს, რომელთა შეფასებასაც სტანდარტები აუცილებლად უნდა მოიცავდეს.²²³ კანონმდებლობით განსაზღვრული ერთ-ერთი მოთხოვნაა სააგენტოების მიერ სტუდენტთა მიღწევების შეფასება, მათ შორის, დაწესებულების მისიისა და პროგრამის გათვალისწინებით: კურსის დასრულება, სახელმწიფო ლიცენზირების გამოცდის შედეგები, დასაქმების მაჩვენებელი.²²⁴ მოთხოვნის შესაბამისად, აკრედიტაციის ორგანოები იყენებენ შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას.²²⁵ ABA-ის აკრედიტაციის სტანდარტებიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ორიენტირდა სწავლის შედეგებსა და მათ შეფასებაზე.²²⁶ მაგალითად, ამერიკული სტანდარტი სამართლის სკოლის ეფექტიანობის გაზომვის ერთ-ერთ ინდიკატორად იყენებს შტატის იურისტთა ასოციაციის გამოცდის შედეგებს, კერძოდ, კალენდარული წლის განმავლობაში გამოცდაზე გასულმა სკოლის კურსდამთავრებულთა სულ მცირე 75%-მა უნდა გადალახოს გამოცდა სწავლის დასრულებიდან ორი წლის განმავლობაში.²²⁷

აკრედიტაციის ქართული მოდელი უფრო მეტად კონცენტრირდება პროგრამის ხარისხსა და არსებულ მოთხოვნებთან სწავლის შედეგების შესაბამისობის ფორმალურ მხარეზე.²²⁸ ყველა ის კრიტე-

²²² იხ., Finley A., *How College Contributes to Workforce Success: Employer Views on What Matters Most*, Association of American Colleges and Universities, 2021, 5.

²²³ იხ., Code of Federal Regulations, US, Department of Education, 1999, § 602.16 (a) (1) (i).

²²⁴ იქვე.

²²⁵ იხ., Bahls S. C., *Adoption of Student Learning Outcomes: Lessons for Systemic Change in Legal Education*, *Journal of Legal Education*, Vol. 67, No. 2, 2018, 383.

²²⁶ იხ., Wegner J. W., *The Value of Legal Education*, *Nottingham Law Journal*, 24, 2015, 122.

²²⁷ *Standards and Rules of Procedure for Approval of Law Schools*, American Bar Association Section of Legal Education and Admissions to the Bar, 2023-2024, 316.

²²⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“.

რიუმი, რომელიც აკრედიტაციის პროცესში ფასდება, თავისთავად მნიშვნელოვანია, თუმცა ხშირად ვერ უზრუნველყოფს პროგრამის რეალური შედეგების – კურსდამთავრებულთა მიერ პრაქტიკულ საქმიანობაში ნაჩვენები შედეგების გაზომვასა და შეფასებას, რასაც ადასტურებს აკრედიტაციის ფარგლებში კურსდამთავრებულთა პრაქტიკულ გამოწვევებზე აქცენტის არარსებობა, იმ პირობებში, როდესაც დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვებში ეს საკითხი ცხადად იკვეთება.²²⁹ პრობლემის ერთ-ერთი საფუძველი აკრედიტაციის მოქმედი სტანდარტებია. სტანდარტებში განერილი კრიტერიუმები სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მიერ პრაქტიკაში მიღწეული შედეგების პროგრამის შეფასების ინდიკატორად გამოყენებას. ექსპერტების უფლებამოსილება, თავის მხრივ, ამ კრიტერიუმებითაა შემოსაზღვრული.

მნიშვნელოვანია, რომ დანესებულებამ და შემდეგ გარე შემფასებლებმა შეაფასონ შედეგების მიღწევა არა თითოეული ან ცალკეული სტუდენტის შემთხვევაში, არამედ მთლიანობაში.²³⁰ ასეთი მიდგომა მიზანშეწონილია პროგრამის ერთიანი და სრულფასოვანი აღქმისთვის. პროგრამისა და შედეგების ხარისხი ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა ერთი მეორეს ყოველთვის არ განაპირობებს.²³¹ აკრედიტაციის მიზანი, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასთან ერთად, არის სტუდენტების, უსდ-ების წარმომადგენლების, კურსდამთავრებულთა პოტენციური კლიენტების ინტერესთა დაცვა და მთლიანობაში, საზოგადოებისა და იურიდიული პროფესიის დაცვა არაკომპეტენტური, არაეთიკური პრაქტიკოსებისგან.²³² ამ მიზნების

²²⁹ იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 6.

²³⁰ იხ., Bahls S.C., Adoption of Student Learning Outcomes: Lessons for Systemic Change in Legal Education, *Journal of Legal Education*, Vol. 67, No. 2, 2018, 384.

²³¹ იხ., Conison J., The Architecture of Accreditation, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1527.

²³² Cass R.A., The How and Why of Law School Accreditation, *Journal of Legal Education*, Vol. 45, No. 3, 1995, 419-420; Smith, S. R., Accreditation Revisited: ABA Reexamination of Approved Law Schools, *Wayne Law Review*, Vol. 27, No. 1, 1980, 96-97.

მისაღწევად, მიზანშეწონილია, აკრედიტაციის პროცესი იძლეოდეს დარგის სპეციფიკის შესაბამისი გარე შეფასების განხორციელების შესაძლებლობას, რაც, იურისტის პროფესიის თავისებურებების გათვალისწინებით, ფორმალიზებულ პროგრამის სწავლის შედეგებთან ერთად კურსდამთავრებულთა პრაქტიკული მიღწევებისთვის მეტი მნიშვნელობის მინიჭებაში უნდა გამოიხატოს. თავის მხრივ, პრაქტიკულ შედეგებზე ორიენტირების გაძლიერებისათვის პროგრამების აკრედიტაციის პროცესში იურიდიულ პროფესიასთან მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო.

3.2. პროფესიის წარმომადგენელთა მონაწილეობა სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციაში

საქართველოში პროგრამების აკრედიტაციის პროცედურა და შემფასებელი ორგანო ყველა დარგის პროგრამისთვის საერთოა.²³³ ამასთან, რეგულირებადი პროგრამებისთვის გარკვეული სპეციალური პირობები და განმასხვავებლებია დაწესებული, მათ შორის: აკრედიტაციის პროცესში დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინება,²³⁴ აკრედიტაციის საბჭოს საქმიანობაში მონვეული წევრების (დარგის სპეციალისტების) მონაწილეობა²³⁵. რაც შეეხება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს, მის შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები – სხვა დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მონვეული პერსონალი, საერთაშორისო ექსპერტი, სტუდენტი, ასევე შესაძლებელია დამსაქმებლები, ხოლო რეგულირებადი პროგრამის შემთხვევაში ასევე გათვალისწინებულია შესაბამისი

²³³ იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები.

²³⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ მე-18 მუხლი.

²³⁵ იქვე, 273-ე მუხლის 11-ლი პუნქტი.

მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლებისა და სხვა შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების მონაწილეობა.²³⁶

სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევის შედეგების მიხედვით, მათი 52.8% მიიჩნევს, რომ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს განსხვავებული პირობები; 27.8%-ის აზრით, აკრედიტაცია უნდა ხორციელდებოდეს ზოგადი წესით; 11.1% ემხრობა ორმაგი აკრედიტაციის მოდელს (ზოგადი წესითა (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) და დარგობრივი ორგანიზაციის მიერ); კვლევის მონაწილეები ასევე აღნიშნავენ: აკრედიტაცია უნდა განახორციელოს დარგობრივმა ორგანიზაციამ; ზოგადი წესი დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე დარგის ექსპერტების მიერ შემოწმებას მოიცავს, რაც თავისთავად სპეციალურია და სხვა, დამატებითი შემოწმების შემოღება არ იქნება მიზანშეწონილი; აკრედიტაცია უნდა განახორციელოს დარგობრივმა საბჭომ, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება როგორც სხვადასხვა მიმართულების პრაქტიკოსი იურისტის, ისე აკადემიური სივრცის წარმომადგენელთა ჩართულობა.²³⁷

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართლის პროგრამების აკრედიტაციისთვის გარკვეული სპეციალური პირობები უკვე არსებობს. აუცილებელია შეფასდეს, რამდენად უზრუნველყოფს ეს პირობები იურისტის პროფესიის თავისებურებების გათვალისწინებასა და სამართლის პროგრამების გარე შეფასების ეფექტიანობას. ამ კუთხით საყურადღებოა, დამატებით რა პირობებს ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა სხვა რეგულირებადი პროგრამებისთვის. მაგალითად, აკრედიტაციის საბჭოს მონვეული წევრების კანდიდატურათა შერჩევისას სამინისტრო ხელმძღვანელობს აკრედიტაციის საბჭოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით „სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის“ (WFME) მიერ დადგენილი

²³⁶ იქვე, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²³⁷ იხ., სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევა, დანართი N1.

მოთხოვნებითა და კრიტიკიუმებით.²³⁸ საერთაშორისო მარეგულირებელი ჰყავს საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამებსაც – ქართული უსდ-ების პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს „საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის“ (IMO) მოთხოვნებს.²³⁹ საზღვაო და სამედიცინო განათლების სფეროში არსებული ეს მიდგომა მნიშვნელოვანია პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისთვის. იურიდიულ განათლებაში მსგავსი მოწესრიგება ვერ იარსებებს, რადგან მედიცინისგან განსხვავებით, სამართლის პროგრამების შინაარსს ძირითადად ეროვნული კანონმდებლობა და კონტექსტი განაპირობებს.

საინტერესოა საზღვაო პროგრამების აკრედიტაციის თავისებურებებიც. საზღვაო-სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციასა და მათი პროგრამების აკრედიტაციას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ მონაწილეობით.²⁴⁰ სააგენტოს წარმომადგენელი ასევე მონაწილეობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოებში, როდესაც განიხილება მეზღვაურთა წვრთნის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხი.²⁴¹ ცენტრის მიერ წარმოებულ ავტორიზაციისა

²³⁸ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-61 პუნქტი; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-22 პუნქტი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 273-ე მუხლის 12-ლი პუნქტი.

²³⁹ „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁴⁰ იქვე, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

²⁴¹ „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი; იხ., საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 ივნისის სხდომის ოქმი MES 4 21 0000514088; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის სხდომის ოქმი N11.

და აკრედიტაციის პროცესებში ჩართვასთან ერთად, სააგენტო უზრუნველყოფს საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების აღიარებასა და პერიოდულ მონიტორინგს.²⁴² სააგენტოს მიერ დამოუკიდებლად განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შემონმების შედეგებზე რეაგირებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების (ავტორიზაციის ან/და აკრედიტაციის გაუქმების შესახებ და ა.შ.) გამოყენების მიზნით.²⁴³

საზღვაო-სასწავლო დაწესებულებები და მათი საგანმანათლებლო პროგრამები, ფაქტობრივად, ორმაგ გარე შეფასებას ექვემდებარებიან. საზღვაო პროგრამების ასეთი მონესრიგება შესაძლებელს ხდის, პროფესიულმა მარეგულირებელმა ორგანომ უშუალო მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებში. სააგენტოს მიერ დაწესებულებებისა და პროგრამების აღიარება, ასევე მათი პერიოდული მონიტორინგი, ქმნის იმის გარანტიას, რომ პროგრამები აკმაყოფილებს დარგის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მიერ პრაქტიკული საქმიანობის დაწყებისთვის საკმარისი და აქტუალური კომპეტენციების გამომუშავებას. დარგის წარმომადგენლები სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაშიც მო-

²⁴² საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №411 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი: საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესი“, მე-2 მუხლის მეორე პუნქტი, მე-6 მუხლი; „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

²⁴³ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №411 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი: საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესი“, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი.

ნაწილებზე.²⁴⁴ იურიდიულ პროფესიაში ერთიანი მარეგულირებელი ორგანო არ არსებობს, ცალკეული პროფესიული ასოციაციისთვის (მაგალითად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა) საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მსგავსი უფლების მინიჭება მართებული არ იქნება. ადვოკატთა ასოციაცია, ნოტარიუსთა პალატა და სხვ. დარგის კონკრეტულ მიმართულებებს წარმოადგენენ, შესაბამისად, მათ მიერ გარე შეფასების განხორციელება მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუმცა არა სრულად პროფესიის სახელით წარმომადგენლობის ეკვივალენტური.

პროგრამების განმახორციელებელთა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მათი 61.1% სამართლის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა პრაქტიკული და პროფესიული უნარებით დამსაქმებელთა უკმაყოფილების მიზეზად აკადემიური სივრცისა და დამსაქმებლების არასათანადო ან/და არასაკმარის თანამშრომლობას მიიჩნევს.²⁴⁵ დაინტერესებულ მხარეთა, მათ შორის, დამსაქმებელთა და დარგის წარმომადგენელთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მოდიფიცირების პროცესებში მოითხოვს როგორც ეროვნული,²⁴⁶ ისე უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის სტანდარტები და პრინციპები.²⁴⁷ მათი წარმომადგენლობა ასევე გათვალისწინებულია გარე შეფასების პროცესში.²⁴⁸ ამ მექანიზმების არსებობის მიუხედავად,

²⁴⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დანერგულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 273-ე მუხლის 11 პუნქტი.

²⁴⁵ იხ., სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევა, დანართი N1.

²⁴⁶ იხ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“, 1.2, 1.3, 1.4, 5.1, 5.3.

²⁴⁷ იხ., ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში, უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია, 2005, 1.2.

²⁴⁸ იხ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამები ძირითადად პროფესიის მოთხოვნებს ვერ პასუხობს და შრომის ბაზარზე არასაკმარისი კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულებს აგზავნის.²⁴⁹ არსებული მდგომარეობა მოწმობს, რომ დარგის თავისებურებები იურიდიულ განათლებაში პროფესიის წარმომადგენლების უფრო აქტიურ ჩართულობას მოითხოვს.

სამართალი პრაქტიკული პროფესიაა, იურიდიული განათლება კი სტუდენტების ამ პრაქტიკისთვის მომზადებას ემსახურება.²⁵⁰ იურიდიული განათლება და იურიდიული პროფესია თავისთავად მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული.²⁵¹ ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა როგორც პროგრამების შემუშავება-განვითარების, ისე მათი გარე შეფასების ეტაპზე, დიდწილად განაპირობებს კურსდამთავრებულთა პრაქტიკულ გამონეგევებს. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცის წარმომადგენლებისთვის, არამედ პრაქტიკოსი იურისტებისთვის, ზოგადად პროფესიისა და საზოგადოებისთვის.²⁵² იურიდიული პროფესიისთვის მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად კვალიფიციური იურისტები შეუერთდებიან პრაქტიკას.²⁵³ სწორედ ამიტომ არაერთ ქვეყანაში იურიდიული

დანეხებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი; *Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG)*, 2015, 2.4.

²⁴⁹ იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 36-40; ხანთაძე ნ., იურიდიული პრაქტიკის პროგრამები საქართველოში, შეფასება და რეკომენდაციები, თბილისი, 2019, 54-55.

²⁵⁰ იხ., გეგენავა დ., სამართალი, როგორც არის, სამართალი, როგორც უნდა იყოს: სიბნელე კურიკულუმის ბოლოს, წიგნში: ლადო ჭანტურია 60, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2023, 454-455.

²⁵¹ Daly M. C., *The Structure of Legal Education and the Legal Profession, Multi-disciplinary Practice, Competition, and Globalization*, *Journal of Legal Education*, Vol. 52, No. 4, 2002, 481.

²⁵² Conison J., *The Architecture of Accreditation*, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1518.

²⁵³ იხ., Smith, S. R., *Accreditation Revisited: ABA Reexamination of Approved Law Schools*, *Wayne Law Review*, Vol. 27, No. 1, 1980, 96.

პროფესია სამართლის პროგრამების გარე შეფასებაში წამყვან როლს ასრულებს.²⁵⁴

ქართული იურიდიული განათლების გამოწვევების ეფექტიანად გადაჭრის ერთ-ერთი საშუალება დარგის წარმომადგენლების აკადემიურ სივრცესთან დაახლოებაა. ამის უზრუნველსაყოფად იურიდიულ პროფესიას სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების პროცესზე არსებითი გავლენის მოხდენა უნდა შეეძლოს. აკრედიტაციის მოქმედი სტანდარტებითა და პროცედურით გათვალისწინებული დამსაქმებელთა და პროფესიის წარმომადგენელთა ჩართულობა სამართლის პროგრამების შემთხვევაში ეფექტიანი არ არის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ქართული უმაღლესი განათლების სივრცის სპეციფიკისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდეს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების განსხვავებული მონესრიგება, რომელიც უპასუხებს დარგის მოთხოვნებსა და იურიდიულ განათლებაში არსებულ გამოწვევებს.

3.3. ორმაგი აკრედიტაციის მოდელი – სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია დარგობრივი ორგანიზაციის მიერ

სამართლის სკოლების აკრედიტაციის მოდელებიდან ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აშშ-ში მოქმედი მოდელია. ზოგადად, აშშ-ში პროგრამული და ინსტიტუციური აკრედიტაციის²⁵⁵ პროცესები დეცენტრალიზებულია, აკრედიტაციას ახორციელებს სხვადასხვა სა-

²⁵⁴ Areen J., *Accreditation Reconsidered*, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1485.

²⁵⁵ ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი მთელი უსდ-ს გარე შეფასებას გულისხმობს და იგივე პროცედურაა, რასაც ქართული კანონმდებლობის მიხედვით უსდ-ის ავტორიზაცია ითვალისწინებს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ავტორიზაციის ცნების დამკვიდრებამდე ინსტიტუციური გარე შეფასება სწორედ ზემოთაღნიშნული ტერმინით იყო ცნობილი. იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 2009 წლის 18 დეკემბრის რედაქციის 68-ე მუხლი.

აგენტო, მათ შორის, ეროვნული, რეგიონული, რელიგიური ნიშნით დაფუძნებული (faith-based) და პროფესიული აკრედიტაციის ორგანოები.²⁵⁶ ცხადია, სახელმწიფო აკრედიტაციის სააგენტოებს სრულ თავისუფლებას არ უტოვებს, ფედერალურ დონეზე განათლების დეპარტამენტს შემუშავებული აქვს გარე შემფასებელთა სტანდარტი, რომელთან შესაბამისობაც აკრედიტაციის ორგანოებმა პერიოდული შეფასებებით უნდა დაადასტურონ.²⁵⁷ აშშ-ში სამართლის სკოლების აკრედიტაციას ზედამხედველობას „ამერიკის იურისტთა ასოციაცია“ (ABA) უწევს.²⁵⁸ აკრედიტაციის პროცესის მოდელურ სტანდარტებს ABA შემუშავებს, თუმცა ამ სტანდარტებს შტატებისთვის სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.²⁵⁹ იურიდიულ პროფესიაში დაშვება შტატების დონეზე წესრიგდება, შესაბამისად, სამართლის სკოლებისთვის დამატებით, დეტალურ მოთხოვნებსაც ადგილობრივი ასოციაციები განსაზღვრავენ.²⁶⁰

ABA-ის მთავარი მიზანი ასოციაციაში მისაღები აპლიკანტების განათლების გაუმჯობესების გზით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იურიდიული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაა.²⁶¹ „ამერიკის იურისტთა ასოციაციის“ აკრედიტაციის შედეგად, აკრედიტე-

²⁵⁶ იხ., Areen J., Accreditation Reconsidered, Iowa Law Review, Vol. 96, No. 5, 2011, 1479; Finkin M. W., Federal Reliance on Voluntary Accreditation: The Power to Recognize as the Power to Regulate, Journal of Law & Education, Vol. 2, No. 3, 1973, 342.

²⁵⁷ იხ., Cardozo M. H., Accreditation in Legal Education, Chicago-Kent Law Review, Vol. 49, No. 1, 1972, 8; Conison J., The Architecture of Accreditation, Iowa Law Review, Vol. 96, No. 5, 2011, 1519. იხ. ციტირება: 34 C.F.R. § 602.21 (2010).

²⁵⁸ იხ., Walsh R. K., The ABA's Standards for the Accreditation of Law Schools, Journal of Legal Education, Vol. 51, No. 3, 2001, 427; Timmer A., Berry J., The ABA's Excellent and Inevitable Journey to Incorporating Professionalism in Law School Accreditation Standards, Professional Lawyer, Vol. 20, No. 1, 2010, 1.

²⁵⁹ იხ., Lutz R. E., An Essay concerning the Changing International Legal Profession, Southwestern Journal of International Law, Vol. 18, No. 1, 2011, 218.

²⁶⁰ იხ., იქვე; Davies G., Woo M., Navigating Troubled Seas: The Future of the Law School in the United Kingdom and the United States, Journal of International and Comparative Law, Vol. 5, No. 1, 2018, 44.

²⁶¹ Smith S. R., Accreditation Revisited: ABA Reexamination of Approved Law Schools, Wayne Law Review, Vol. 27, No. 1, 1980, 96.

ბული სამართლის სკოლების კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ შეუერთდნენ ნებისმიერი შტატის ასოციაციას დამატებითი წინაპირობების (მაგალითად, ასოციაციის გამოცდის ჩაბარების) დაკმაყოფილების შემდეგ.²⁶² აკრედიტაციაზე ასევე დამოკიდებული სტუდენტების მიერ სხვადასხვა ფედერალური დაფინანსების მიღება.²⁶³ სტანდარტები კურსდამთავრებულთა პრაქტიკისთვის მომზადებას განმარტავს, როგორც მათ მზაობას იურიდიულ პროფესიაში ეფექტიანი, ეთიკური და პასუხისმგებლობიანი მონაწილეობისთვის.²⁶⁴ აკრედიტაციის ამერიკული მოდელი იურიდიული პროფესიის იურიდიულ განათლებაში ჩართულობის საუკეთესო მაგალითია. პროფესიული ასოციაცია უშუალო ზედამხედველობას უწევს სამართლის სკოლებს, შესაბამისად, კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული განათლების გარკვეული ასპექტებით უკმაყოფილების შემთხვევაში, მათ შესაძლებლობა აქვთ, თავად მოახდინონ რეაგირება, მაგალითად, აკრედიტაციის სტანდარტების მოდიფიცირებით.

აშშ-ის მსგავსად, კანადაშიც სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებს აფასებს და აღიარებს დარგობრივი ორგანიზაცია.²⁶⁵ იურიდიული პროფესია კანადაში პროვინციებისა და ტერიტორიების იურისტთა საზოგადოებების მიერ ადგილობრივად რეგულირდება.²⁶⁶ კანადის იურისტთა საზოგადოებების ფედერაციაში გაერთიანებული რეგიონული საზოგადოებები 2010 წელს შეთანხმდნენ

²⁶² Conison J., *The Architecture of Accreditation*, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1519; Cardozo M. H., *Accreditation in Legal Education*, *Chicago-Kent Law Review*, Vol. 49, No. 1, 1972, 6.

²⁶³ Conison J., *The Architecture of Accreditation*, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1519.

²⁶⁴ *Standards and Rules of Procedure for Approval of Law Schools*, American Bar Association Section of Legal Education and Admissions to the Bar, 2023-2024, 301 (a).

²⁶⁵ იბ., *Approving Canadian Law School Programs*, <<https://flsc.ca/what-we-do/canadian-law-school-programs/>> [21.06.2024]

²⁶⁶ იბ., Roussy A., *Lawyer Regulation in Canada: Towards Greater Uniformity*, *International Lawyer*, Vol. 50, No. 3, 2017, 409-410; Boersma J., *The Accreditation of Religious Law Schools in Canada and the United States*, *Brigham Young University Law Review*, Vol. 2016, No. 4, 2016, 1094.

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა ასოციაციებში მიღების ერთიან მოთხოვნებზე, ამ შეთანხმების ფარგლებშივე დაარსდა „კანადის საერთო სამართლის პროგრამების აღიარების კომიტეტი“.²⁶⁷ ცვლილების ერთ-ერთი მიზანი იურიდიული განათლებისა და პროფესიაში დაშვების ერთიანი სტანდარტის შემოღება იყო.²⁶⁸

კანადასა და აშშ-ში დარგობრივი აკრედიტაციის არსებობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იურიდიული პროფესიის ორგანიზებაა. საქართველოსგან განსხვავებით,²⁶⁹ განსახილველ სახელმწიფოებში პროფესიის წარმომადგენელთა ერთიანი ორგანიზაციები – „ამერიკის იურისტთა ასოციაცია“ და „კანადის იურისტთა საზოგადოებების ფედერაცია“ არსებობს. ABA აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებით დასაქმებულ პრაქტიკოს იურისტებს, მოსამართლეებს, სამართლის სკოლის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს და ა.შ.²⁷⁰ დარგობრივი აკრედიტაციისთვის გაერთიანებული პროფესიული ასოციაციის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ცალკეული გაერთიანების (მაგალითად, ადვოკატთა, ნოტარიუსთა და სხვ.) აკრედიტაცია ვერ შეძლებს იმავე ფუნქციის შესრულებას, რადგან პროფესიის მხოლოდ ერთ მიმართულებას წარმოადგენს. თავის მხრივ, ერთზე მეტი დარგობრივი ასოციაციის მიერ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ასეთი მიდგომა აკადემიურ სივრცეს არაპროპორციულ სირთულეებს შეუქმნდა. ამასთან, რამდენიმე დარგობრივი სტანდარტის არსებობა და სამართლის პროგრამების მათზე მორგება ქაოსურ და არაორგანიზებულ აკრედიტაციის პროცესს გამოიწვევდა.

²⁶⁷ Boersma J., *The Accreditation of Religious Law Schools in Canada and the United States*, *Brigham Young University Law Review*, Vol. 2016, No. 4, 2016, 1095.

²⁶⁸ იხ., Roussy A., *Lawyer Regulation in Canada: Towards Greater Uniformity*, *International Lawyer*, Vol. 50, No. 3, 2017, 416-417.

²⁶⁹ იხ., „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 21-ე მუხლები; „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

²⁷⁰ იხ., ABA Membership, <<https://www.americanbar.org/membership/>> [21.06.2024]

„ამერიკის იურისტთა ასოციაციის“ აკრედიტაციის სტანდარტების მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანო იურიდიული განათლებისა და ასოციაციაში მიღების სექციის საბჭოა.²⁷¹ საბჭო ხმის უფლების მქონე 21 წევრისგან შედგება, რომელთაგან არაუმეტეს 10 უნდა იყოს სამართლის სკოლის დეკანი ან აკადემიური პერსონალი, სხვა წევრები არიან: მოსამართლეები, პრაქტიკოსი ადვოკატები, სამართლის პროგრამის ერთი სტუდენტი და სულ მცირე 3 საჯარო წევრი.²⁷² თავმჯდომარის პოზიცია მონაცვლეობს მოსამართლეს, აკადემიის წარმომადგენელსა და პრაქტიკოს იურისტს შორის.²⁷³ სამართლის სკოლების აკრედიტაციის სტანდარტების შემუშავება-მოდულიზაციაში უზრუნველყოფილია როგორც აკადემიური სივრცის, ისე სხვადასხვა მიმართულებით დასაქმებული პრაქტიკოსი იურისტებისა და სტუდენტების ჩართულობა. ცხადია, ასეთი მიდგომა მეტ შესაძლებლობას ქმნის აკადემიური სივრცისა და პროფესიის თანამშრომლობისათვის, ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ საბჭოს საქმიანობაში სტუდენტიც მონაწილეობს.

აკადემიისა და დარგის მიერ ერთობლივად შემუშავებული სტანდარტები მეტად ქმნის იმის გარანტიას, რომ გათვალისწინებული იქნება როგორც შრომის ბაზარზე არსებული პრაქტიკული საჭიროებები, ისე აკადემიური სივრცისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები. აშშ-ის მოდელი უზრუნველყოფს იურიდიული განათლებისა და იურიდიული პროფესიის დაკავშირებასა და დარგის თავისებურებებზე მაქსიმალურად მორგებული პირობების შექმნას, განსხვავებით ქართული მოდელისაგან, რომელშიც ყველა პროგრამისთვის საერთო აკრედიტაციის სტანდარტები მოქმედებს და სამართლის პროგრამების აკრედიტაციის სპეციფიკურობა მხოლოდ დარგობრივი მახასი-

²⁷¹ იხ., Currier B. A., Assuring Quality in Legal Education: The Accreditation Process of the American Bar Association, South Texas Law Review, Vol. 43, No. 2, 2002, 338.

²⁷² The Law School Accreditation Process, The Role of the Section, <https://www.americanbar.org/groups/legal_education/accreditation/schools-seeking-aba-approval/> [21.06.2024]

²⁷³ იქვე.

ათებლით განსაზღვრული სწავლის მინიმალური შედეგებით ხელმძღვანელობაში ვლინდება.

აკრედიტაციის პროცესში კიდევ ერთი ცენტრალური ორგანო აკრედიტაციის კომიტეტია, რომელიც არ მონაწილეობს პოლიტიკის შექმნის პროცესებში.²⁷⁴ კომიტეტის ფუნქცია სტანდარტების აღსრულებაა, რასაც სამართლის სკოლების პერიოდული გარე შეფასებით ახორციელებს.²⁷⁵ კომიტეტის 19 წევრს შორის არიან: სამართლის სკოლების დეკანები, საგანმანათლებლო სივრცის სხვა წარმომადგენლები, პრაქტიკოსი იურისტები, ფედერალური და შტატების მოსამართლეები, იურისტთა ასოციაციების გამომცდელები და საჯარო წევრები.²⁷⁶ სამართლის კონკრეტულ პროგრამებს აფასებს ჯგუფი, რომელშიც, როგორც წესი, შედიან სამართლის ფაკულტეტების წარმომადგენლები, ფაკულტეტის კლინიკური ან/და სამართლებრივი წერის ლექტორი, ბიბლიოთეკის წარმომადგენელი, პრაქტიკოსი იურისტი ან მოსამართლე, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი ან სხვა ადმინისტრაციული პოზიციის (არა სამართლის სკოლის) წარმომადგენელი.²⁷⁷ აკადემიური სივრცისა და დარგის წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია ABA-ის აკრედიტაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროცესში – სტანდარტების შემუშავებაში, მათ აღსრულებაზე ზედამხედველობასა და უშუალოდ სამართლის სკოლების შეფასების განხორციელებაში. შესაბამისად, ყველა ეტაპზე ხორციელდება იურიდიული პროფესიისა და აკადემიური სივრცის თანამშრომლობა და სამართლის სკოლების ერთობლივი პერსპექტივიდან შეფასება.

საქართველოს შემთხვევაშიც გარე შემფასებელთა ჯგუფის (ექსპერტთა ჯგუფის) შემადგენლობაში შედიან უსდ-ებისა და დარგის წარმომადგენლები – სხვა დანესებულებათა ადმინისტრაციული/

²⁷⁴ Conison J., *The Architecture of Accreditation*, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1521.

²⁷⁵ იქვე.

²⁷⁶ Bosse D. F., *ABA Accreditation: A Symbol of Quality*, *The Bar Examiner*, Vol. 82, No. 2, 2013, 29.

²⁷⁷ იქვე, 31.

აკადემიური/სამეცნიერო/მონვეული პერსონალი, საერთაშორისო ექსპერტი, სტუდენტი, შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ დამსაქმებლები, სამართლის, როგორც რეგულირებადი პროგრამის, შემთხვევაში ასევე გათვალისწინებულია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლების მონაწილეობა.²⁷⁸ ამდენად, დარგისა და აკადემიური სივრცის მონაწილეობა ქართულ მოდელშიც უზრუნველყოფილია. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „ამერიკის იურისტთა ასოციაციის“ მხრიდან აკრედიტაციის პროცესი ხორციელდება პრაქტიკოსებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წევრების მიერ შემუშავებული სტანდარტებით, რომლებიც საერთო, სამართლის პროგრამებზე მორგებულ მიდგომას ქმნიან. ცხადია, ეს არ გულისხმობს გამაერთიანებელ მიდგომას.²⁷⁹ სამართლის სკოლებს აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად რჩებათ აკადემიური თავისუფლებისა და ინდივიდუალიზმის შენარჩუნების შესაძლებლობა, რაც იურიდიული განათლების განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.²⁸⁰

საქართველოში აკრედიტაციის პროცესში ჩართული დარგის ექსპერტები ერთ კონკრეტულ ასოციაციას ან დარგობრივ ორგანიზაციას არ წარმოადგენენ. მათი პროფესიული გამოცდილება, როგორც პრაქტიკული, ისე აკადემიური, გარე შეფასების პროცესისთვის მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, დარგის ექსპერტები ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობენ ინდივიდუალური გამოცდილებიდან და, შესაბამისად, მათი შეფასება ვერ იქნება იურიდიული პროფესიის შეხედულებებისა და მიზნების სრულფასოვნად გამომხატველი.

²⁷⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁷⁹ იხ., Areen J., Accreditation Reconsidered, Iowa Law Review, Vol. 96, No. 5, 2011, 1483.

²⁸⁰ იხ., Currier B. A., Assuring Quality in Legal Education: The Accreditation Process of the American Bar Association, South Texas Law Review, Vol. 43, No. 2, 2002, 338.

სამართლის დარგობრივი მახასიათებელი შემუშავებულია დარგობრივი საბჭოს, დარგობრივი სამუშაო ჯგუფისა და საჯარო განხილვის პროცესში მონაწილე პირების მიერ,²⁸¹ რაც, გარკვეულწილად, უზრუნველყოფს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სწავლის მინიმალური შედეგების ჩამოყალიბების პროცესში პროფესიის წარმომადგენელთა ერთიანი ხედვის ასახვას. ამის მიუხედავად, გამოწვევაა დარგობრივი მახასიათებლის განმარტების ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება.²⁸² ამერიკულის მსგავსი მოდელის დანერგვით შესაძლებელი იქნება ხსენებული პრობლემის გადაჭრა – დარგობრივი მახასიათებლისა და სხვა მოთხოვნების განმარტებისა და პროგრამების გარე შეფასების ერთიანი სტანდარტის დამკვიდრება.

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი ორგანიზაციის მიერ აღიარების/აკრედიტაციის დამკვიდრება ქართული იურიდიული განათლების გამომწვევებზე საპასუხოდ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. აშშ-ის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ დარგობრივი ორგანიზაციის გარე შეფასების პროცესის უპირატესობა იურიდიული პროფესიის მიერ იურიდიულ განათლებაზე მეტი პასუხისმგებლობის აღება და აკადემიურ სივრცეში უფრო აქტიური ჩართულობაა. ამასთან, განსახილველი მოდელი ქმნის ერთიანი მიდგომის დამკვიდრებისა და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებზე მორგებული სტანდარტების არსებობის შესაძლებლობას. დარგობრივი აკრედიტაციის დანერგვა დადებითად აისახება სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა პრაქტიკულ გამომწვევებსა და კურსდამთავრებულთა კომპეტენციით დამსაქმებელთა უკმაყოფილებაზე. კერ-

²⁸¹ იხ., სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმალლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

²⁸² იხ., ჩოკორაია კ., სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, თბილისი, 2021, 15.

ძოდ, პროფესიის წარმომადგენელთა (როგორც პრაქტიკიდან, ისე აკადემიური სივრციდან) მიერ შემუშავებული მოთხოვნებით გარე შეფასების ფარგლებში შესაძლებელი იქნება სამართლის პროგრამებისთვის განსაზღვრული სტანდარტების მაქსიმალურად მორგება დარგის მოთხოვნებზე. დარგობრივი აკრედიტაცია უზრუნველყოფს იურიდიული განათლებისთვის ერთიანი, პროფესიაზე მორგებული სტანდარტების შემუშავებას, რაც, საბოლოოდ, სამართლებრივი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

საქართველოში სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დარგობრივი აკრედიტაციის დანერგვის პერსპექტივის შესაფასებლად გასათვალისწინებელია ქართული კონტექსტი და საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების არსებული მოდელი. საქართველოში აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესები ცენტრალიზებულია. გარე შეფასების პროცესებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს.²⁸³ აშშ-ის განხილული მაგალითის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების დეცენტრალიზებული მოდელი ამარტივებს დარგობრივი ორგანიზაციის, როგორც აკრედიტაციის სააგენტოს, არსებობას.²⁸⁴ საქართველოში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფუნქციონირებს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის განმახორციელებელი მხოლოდ ერთი ორგანო – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

დარგობრივი აკრედიტაციის დანერგვის კიდეც ერთი ძირითადი გამოწვევა ერთიანი პროფესიული ასოციაციის არარსებობაა. ცალკეული დარგობრივი ორგანიზაციების მიერ (მაგალითად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა)

²⁸³ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 561-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 63-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

²⁸⁴ იხ., Areen J., Accreditation Reconsidered, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011, 1479; Finkin M. W., Federal Reliance on Voluntary Accreditation: The Power to Recognize as the Power to Regulate, *Journal of Law & Education*, Vol. 2, No. 3, 1973, 342.

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია ვერ განხორციელდება, რადგან ასეთ შემთხვევაში პროფესიის ერთი მიმართულების მიერ შეფასდება საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კურსდამთავრებულს პროფესიის ნებისმიერი მიმართულებით პრაქტიკის დაწყებისთვის საკმარის კომპეტენციას უნდა აძლევდეს. თავის მხრივ, არაეფექტიანია დარგის წარმომადგენელთა ან/და არსებულ ორგანიზაციათა გაერთიანება მხოლოდ აკრედიტაციის მიზნებისთვის, რადგან ეს იქნება ფორმალურ ერთიანობაზე დაფუძნებული ორგანო, რაც ვერ უზრუნველყოფს ზემოთ განხილული დარგობრივი აკრედიტაციის მიზნების მიღწევას.

„ამერიკის იურისტთა ასოციაციის“ მსგავსი ერთიანი იურისტთა ასოციაციის შექმნა საქართველოში მიზანშეწონილია არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასებისთვის, არამედ პროფესიაში დაშვების ერთიანი სტანდარტის შექმნისა და იურიდიული პროფესიის უფრო ეფექტიანი თვითრეგულირებისთვის. პროფესიის „დანაწევრებაზე“ უარის თქმა და დარგის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელთა გაერთიანება მნიშვნელოვანია პრაქტიკოსი იურისტების მრავალმხრივი ცოდნისა და გამოცდილების მიღების, ასევე მათ მიერ მიმართულებების მარტივი ცვლილებისათვის.²⁸⁵ იურიდიული განათლებისა და პროფესიის რეგულირებაში ამგვარი ცვლილებები პოზიტიურ გავლენას იქონიებს სამართლებრივი განათლებისა და, შედეგად, იურიდიული სერვისების ხარისხზე.²⁸⁶ რაც შეეხება უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ამისათვის მიზანშეწონილია შემოთავაზებული იურისტთა ასოციაციის ფარგლებში გამოიყოს სპეციალური დეპარტამენტი ან/და სექცია შესაბამისი ქვესტრუქტურული ერთეულებით.

²⁸⁵ იხ., Merryman J. H., Perez-Perdomo R., *The Civil Law Tradition: An Introduction to the Legal Systems of Europe and Latin America*, 4th Edition, Stanford University Press, 2018, 106.

²⁸⁶ იხ., Webb J., *Regulating Lawyers in a Liberalized Legal Services Market: The Role of Education and Training*, *Stanford Law & Policy Review*, Vol. 24, No. 2, 2013, 543.

ერთიანი პროფესიული ასოციაციის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ვარიანტი, რა ფორმითაც შესაძლებელია სამართლის პროგრამები დარგობრივად შეფასდეს, საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამების მსგავსი მოწესრიგება.²⁸⁷ თუმცა ამ შეფასებას აკრედიტაციის ფორმატი არ გააჩნია. აქვე საყურადღებოა, რომ სააგენტოსგან განსხვავებით, რომელსაც საერთაშორისო მარეგულირებელი (IMO) ჰყავს,²⁸⁸ სამართლის პროგრამების დარგობრივი აკრედიტაციის განმახორციელებელი ორგანოსთვის ასეთი დარგობრივი საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ იარსებებს. შესაბამისად, არსებობს ის რისკი, რომ პროფესიული ასოციაციის მიერ შემუშავებული სტანდარტები/ნესები და განხორციელებული პროცედურები მათ ინტერესებზე იქნება მორგებული და ფართო, საზოგადოებრივ ინტერესებს არ გაითვალისწინებს.²⁸⁹ მეორე მხრივ, თუ დარგობრივი აკრედიტაცია დაექვემდებარება ან უშუალოდ დაუკავშირდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, მოსალოდნელია, რომ ეს პროცესი უფრო მეტად გარე შეფასების ცენტრალიზებული სისტემის ნაწილი გახდება. ამ შემთხვევაში პროფესიული ორგანოს აკრედიტაციამ შესაძლოა ხარისხის უზრუნველყოფის არსებული გარე მექანიზმების ერთგვარი დუბლირების ფო-

²⁸⁷ იხ., საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №411 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი: საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესი“, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი; „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

²⁸⁸ იხ., „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლი.

²⁸⁹ Anand A. I., *Governance Gone Wrong: Examining Self-Regulation of the Legal Profession, Legal Ethics*, Vol. 21, No. 2, 2018, 99; იხ. ციტირება: Frank Stephen, *Lawyers, Markets and Regulation* (Cheltenham: Edward Elgar Publishing, 2013) at 54. See also Gillian Hadfield, 'Legal Barriers to Innovation: The Growing Economic Cost of Professional Control Over Corporate Legal Markets' (2008) 60:6 *Stanford L Rev* 1689 on the economic cost of self-regulation on innovation in the American legal market.

რმა მიიღოს. შედეგად, ვერ მიიღწევა დარგობრივი აკრედიტაციის დანერგვის მიზნები და ეს მექანიზმი მხოლოდ უსდ-ების დამატებითი ტვირთის სახით იარსებებს.

საქართველოში გარე შეფასების დეცენტრალიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის სხვადასხვა სააგენტოს მიერ განხორციელების დაშვების შემთხვევაში, ოპტიმალური მოდელი დარგობრივი ორგანიზაციის, როგორც აკრედიტაციის ორგანოს, არსებობა იქნებოდა. თავის მხრივ, დარგობრივი აკრედიტაციის ორგანოს ეფექტიანობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიღწევის შესაძლებლობას ბოლონიის პროცესი და უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცე ქმნის. ბოლონიის პროცესის ფარგლებში „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის“ (ENQA) დაფუძნება მიზნად ისახავდა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, წესების, სახელმძღვანელო პრინციპებისა და პროცედურების შემუშავებას და მათ საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების შეფასებას.²⁹⁰ ENQA-ის წევრობის უფლება აქვთ ბოლონიის პროცესის მონაწილე სახელმწიფოების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს.²⁹¹ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ENQA-სთან 2013 წლიდან თანამშრომლობს, კერძოდ, 2013 წლიდან 2019 წლამდე ცენტრს აფილირებული ორგანიზაციის სტატუსი ჰქონდა, ხოლო 2019 წლიდან დღემდე უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის წევრის სტატუსით სარგებლობს.²⁹²

²⁹⁰ იხ., De Groof J., Some Legal Aspects relating to the Internationalisation of Higher Education Quality Assurance, *International Journal for Education Law and Policy*, Vol. 3, No. 1, 2007, 7; Hodgson J., Bologna - How Far Have We Got, *Law Teacher*, Vol. 38, No. 3, 2004, 347.

²⁹¹ იხ., Terry L. S., The Bologna Process and Its Impact in Europe: It's so Much More than Degree Changes, *Vanderbilt Journal of Transnational Law*, Vol. 41, No. 1, 2008, 141-142.

²⁹² იხ., განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ENQA-ს შეფასება, <<https://eqe.ge/ka/page/static/829/enqa-s-shefaseba>> [21.06.2024] ENQA, Member and Affiliate Database, <<https://www.enqa.eu/membership-database/>> [21.06.2024]

ENQA-ის შეფასების ფარგლებში აკრედიტაციის სააგენტო მონ-
მდება უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ხა-
რისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო
პრინციპებთან (ESG 2015) შესაბამისობაზე.²⁹³ ამდენად, ENQA-ის
წევრობის შემთხვევაში დარგობრივი ორგანოს მიერ განხორცი-
ელებული გარე შეფასების ქმედითობისა და უმაღლესი განათლე-
ბის ერთიანი ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის პრინ-
ციპებთან მისი შესაბამისობის მეტი გარანტია შეიქმნება. ასევე
ჩამოყალიბდება დამატებითი მექანიზმი ევროპული უმაღლესი
განათლების სივრცეში აღიარებისა და მობილობისთვის, წევრი სა-
ხელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებისთვის.²⁹⁴ რო-
გორც ზოგადი წესით, ისე დარგობრივი აკრედიტაციის განხორციე-
ლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა დაინტერესებული
მხარის ჩართულობას. მნიშვნელოვანია, პრაქტიკოს იურისტებთან
ერთად პროცესში მონაწილეობა მიიღონ აკადემიური სივრცის წარ-
მომადგენლებმა და სტუდენტებმა.²⁹⁵ დაინტერესებული მხარეების
ჩართულობას ითვალისწინებს ESG-ის მოთხოვნებიც,²⁹⁶ შესაბამი-
სად, ENQA-ის წევრობა ამ უკანასკნელის გარანტიასაც ქმნის.

გარე შეფასების ქართული მოდელის ცვლილება ხანგრძლივი და
ამ ეტაპისთვის არარეალისტური პერსპექტივაა. შესაბამისად, მიზა-
ნშენონილია დარგობრივი შეფასების იმგვარი მექანიზმის შემუშა-
ვება, რომლის დანერგვაც არსებულ მოდელში იქნება შესაძლებელი.
კერძოდ, იმისათვის, რომ დარგობრივმა ორგანიზაციამ უზრუნვე-
ლყოს ყველა რელევანტური საკითხის შეფასება და, ამავდროულად,

²⁹³ იხ., Rules of Procedure, European Association for Quality Assurance in Higher Education, 10 March 2021, Article 5 (1), Article 6 (2).

²⁹⁴ იხ., უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, პარიზი, 2018 წლის 24-25 მაისი.

²⁹⁵ იხ., Cardozo M. H., Accreditation in Legal Education, Chicago-Kent Law Review, Vol. 49, No. 1, 1972, 7; Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG), 2015, 2.4.

²⁹⁶ იხ., Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG), 2015, 2.4.

გამოირიცხოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფუნქციების დუბლირება, მიზანშეწონილია, ასოციაციის მიერ შეფასდეს მხოლოდ დარგობრივი საკითხები. შეფასება უნდა შეეხოს პროგრამებს, სილაბუსებსა და განმახორციელებელ პერსონალს. პროცესის ფარგლებში უნდა დადასტურდეს პერსონალის კვალიფიკაცია. ასევე შემოწმდეს პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი; პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები (მათი რელევანტურობა და საკმარისობა სწავლის სფეროსთვის); სწავლების მეთოდები; სტუდენტების შეფასება; იურისტთა სერტიფიცირების შედეგები; დასაქმების მაჩვენებელი და დარგისთვის აქტუალური სხვა საკითხები. ცენტრის აკრედიტაციის არსებობის გათვალისწინებით, არ იქნება მიზანშეწონილი განმეორებით ისეთი საკითხების შეფასება, როგორცაა: სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები, მატერიალური რესურსი, ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა, სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.²⁹⁷ სამართლის პროგრამების დარგობრივ შეფასებასთან ერთად, სასურველია, თუ იურისტთა/ადვოკატთა ასოციაცია ჩართული იქნება ცენტრის აკრედიტაციის პროცესში, საზღვაო პროგრამების შემთხვევაში სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ მონაწილეობის მსგავსად.²⁹⁸ ეს უკანასკნელი შესაძლოა განხილული იყოს ზემოთ შემოთავაზებული დარგობრივი შეფასების მექანიზმის ალტერნატივადაც.

დარგობრივი აკრედიტაციის ორგანიზებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ უნდა დაინტერესდეს აკადემიური სივრცე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციასთან ერთად დარგობრივი

²⁹⁷ იხ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“.

²⁹⁸ იხ., საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №411 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი: საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესი“, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

აკრედიტაციის მოპოვებით. მოქმედი კანონმდებლობით, პროგრამის განხორციელების წინაპირობა ცენტრის მიერ ორგანიზებული აკრედიტაციის მიღებაა,²⁹⁹ შესაბამისად, უსდ-ები სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას გარე შეფასების მხოლოდ ამ ფორმის დაკმაყოფილებითაც შეძლებენ. ორმაგი აკრედიტაციის მოდელი, ცხადია, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროგრამების ხარისხს, თუმცა, სავარაუდოა, რომ დაწესებულებების ნაწილი უპირატესობას სიმარტივეს მიანიჭებს. შესაბამისად, ორმაგი აკრედიტაციის მოდელის დანერგვისთვის, მიზანშეწონილია, იურისტთა ასოციაციის გამოცდაზე და შესაბამისად, პრაქტიკულ საქმიანობაზე დაშვების უფლება მხოლოდ დარგობრივი აკრედიტაციის მქონე სამართლის პროგრამების კურსდამთავრებულებს შეეძლოს.

ქართული უმაღლესი განათლების სივრცისა და გარე შეფასების არსებული მოდელის გათვალისწინებით, საქართველოში სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მიზანშეწონილია ორმაგი აკრედიტაციის მოდელის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და დარგობრივი ორგანიზაციის აკრედიტაციის – დანერგვა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში მხოლოდ დარგობრივი საკითხების შეფასების პირობით. ამისათვის მნიშვნელოვანია, შეიქმნას ერთიანი პროფესიული ორგანო – იურისტთა ასოციაცია, რომლის შესაბამისი დეპარტამენტი განახორციელებს ზედამხედველობას იურიდიული განათლებისა და პროფესიაში დაშვების საკითხებზე. ასევე რეკომენდებულია, დარგობრივი აკრედიტაციის შემთხვევაშიც უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკოსი იურისტებისა და აკადემიურის სივრცის წარმომადგენლების ჩართულობა და თანამშრომლობა. ამ მექანიზმის დასამკვიდრებლად მიზანშეწონილია, სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი აკრედიტაცია განისაზღვროს კურსდამთავრებულთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე და შესაბამისად, პროფესიაში დაშვების წინაპირობად.

²⁹⁹ იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

III. პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვება

საქართველოში იურიდიული პროფესია და შესაბამისად, იურიდიული განათლებაც, რეგულირებადია.³⁰⁰ იურისტის პროფესიის რეგულირებას სამართლის ყველა სისტემა ითვალისწინებს.³⁰¹ მათ შორის, ეს საკითხი მკაცრადაა მონესრიგებული ევროპულ სახელმწიფოთა ძირითად ნაწილში.³⁰² პროფესიის რეგულირების საჭიროება მისი მაღალი მნიშვნელობითა და საზოგადოებაზე არსებული გავლენითაა განპირობებული.³⁰³ სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო აქტებსა და დოქტრინაში იურიდიული პროფესიის რეგულირების მიზნებად დასახელებულია: საჯარო ინტერესების დაცვა; სამართლის უზენაესობის პრინციპის დაცვა და ხელშეწყობა; სამართლიანობაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; მომხმარებელთა ინტერესების დაცვა; პროფესიული პრინციპების, პროფესიის წარმომადგენელთა ინტერესებისა და დამოუკიდებლობის დაცვა; იურისტთა კომპეტენცთურობის, ეთიკურობისა და პროფესიონალიზმის უზრუნველყოფა და ა.შ.³⁰⁴ რეგულირება შესაძლოა ხდებოდეს სახელ-

³⁰⁰ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ2“ და „ჰ3“ ქვეპუნქტები, 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

³⁰¹ Webb J., *Regulating Lawyers in a Liberalized Legal Services Market: The Role of Education and Training*, *Stanford Law & Policy Review*, Vol. 24, No. 2, 2013, 535.

³⁰² იბ., Reich N., *Recent Trends in European Legal Education: The Place of the European Law Faculties Association*, *Penn State International Law Review*, Vol. 21, No. 1, 2002, 23.

³⁰³ იბ., Heineman B. W. Jr., Lee W. F., Wilkins D. B., *Lawyers as Professionals and as Citizens: Key Roles and Responsibilities in the 21st Century*, *Harvard Law School Center on the Legal Profession*, 2014, 17-18; Gordon R. W., *Lawyers, the Legal Profession & Access to Justice in the United States: A Brief History*, *Daedalus*, Vol. 148 No. 1, 2019, 177-178.

³⁰⁴ იბ., Terry L. S., Mark S., Gordon T., *Adopting Regulatory Objectives for the Legal Profession*, *Fordham Law Review*, Vol. 80, No. 6, 2012, 2704-2711; *Legal Services Act of the UK*, 2007, Part 1, Section 1; Dodek A., Alderson E., *Risk Regulation for the Legal Profession*, *Alberta Law Review*, Vol. 55, No. 3, 2018, 625; Semple N., Pearce R. G., Knake R. N., *A Taxonomy of Lawyer Regulation*:

მნიფოს, სასამართლო სისტემის ან/და პროფესიული ასოციაციების მიერ.³⁰⁵ სახელმნიფოს მიერ რეგულირების ფორმაა შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რომელიც აწესრიგებს იურიდიული განათლების, პროფესიაში დაშვებისა და დარგისთვის რელევანტურ სხვა საკითხებს.³⁰⁶ პროფესიის თვითრეგულირების ფორმა და ორგანიზება სახელმნიფოს სპეციფიკაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ფედერალური მონყობის სახელმნიფოებში (მაგ., აშშ, კანადა, გერმანია, ავსტრალია) პროფესიულ სტანდარტს განსაზღვრავს ადგილობრივი სასამართლო ან/და შტატების/ტერიტორიული ერთეულების დონეზე შექმნილი ასოციაციები, რომლებიც საერთო, ფედერალურ ასოციაციაში ერთიანდებიან.³⁰⁷ ამ ტიპის სახელმნიფოებში დარგის

How Contrasting Theories of Regulation Explain the Divergent Regulatory Regimes in Australia, England and Wales, and North America, *Legal Ethics*, Vol. 16, No. 2, 2013, 260; Chambliss E., *Evidence-Based Lawyer Regulation*, *Washington University Law Review*, Vol. 97, No. 2, 2019, 298-302; Goldsmith J., *The Core Values of the Legal Profession for Lawyers Today and Tomorrow*, *Northwestern Journal of International Law & Business*, Vol. 28, No. 3, 2008, 447; Boon A., *The Legal Professions' New Handbooks: Narratives, Standards and Values*, *Legal Ethics*, Vol. 19, No. 2, 2016, 215; Arup C., *Legal Services and Professional Regulation Internationally? Australia Abroad*, *Federal Law Review*, Vol. 37, No. 3, 2009, 430.

³⁰⁵ Reich N., *Recent Trends in European Legal Education: The Place of the European Law Faculties Association*, *Penn State International Law Review*, Vol. 21, No. 1, 2002, 23.

³⁰⁶ მაგ., იხ., *The Federal Lawyers' Act (Bundesrechtsanwaltsordnung- BRAO) of the Federal Republic of Germany, 1959*; *Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Hessen, 2004*; *Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Saarland, 2015*; *Gesetz über die Ausbildung von Juristinnen und Juristen im Land Berlin (Berliner Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Berlin, 2003*; *Legal Services Act of the UK, 2007*.

³⁰⁷ იხ., *The Federal Lawyers' Act (Bundesrechtsanwaltsordnung- BRAO) of the Federal Republic of Germany, 1959*, § 175; Bartlett F., *Student Misconduct and Admission to Legal Practice - New Judicial Approaches*, *Monash University Law Review*, Vol. 34, No. 2, 2008, 312; Davies G., Woo M., *Navigating Troubled Seas: The Future of the Law School in the United Kingdom and the United States*, *Journal of International and Comparative Law*, Vol. 5, No. 1, 2018, 57;

რეგულირებაში პროფესიის ადგილობრივი წარმომადგენლების როლი დომინირებს.³⁰⁸ უნიტარული/რეგიონული სახელმწიფოების ნაწილშიც (მაგალითად, საფრანგეთი, იტალია) არსებობს ქალაქების/პროვინციების იურისტთა ასოციაციები, რომლებიც სახელმწიფო დონეზე მოქმედ ასოციაციაში ერთიანდებიან,³⁰⁹ თუმცა აქ პროფესიული სტანდარტები, როგორც წესი, ეროვნულ დონეზე განისაზღვრება.³¹⁰

პროფესიაში დაშვებისთვის გასაველი პირველი ეტაპი იურისტის კვალიფიკაციის მიღებაა.³¹¹ შესაბამისად, პროფესიის რეგულირება იურიდიული განათლებიდან იწყება. კვალიფიკაციის დადასტურებასთან ერთად, რეგულირების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი იურისტთა სერტიფიცირება/ლიცენზირებაა.³¹² საკვალიფიკაციო გამოცდა მიიჩნევა იმის გარანტიად, რომ პრაქტიკულ საქმიანობაზე არაკვალიფიციური აპლიკანტები არ დაიშვებიან.³¹³ თუმცა, ცხადია, ამ მიზნის მიღწევა დამოკიდებულია საკვალიფიკაციო გამოცდის ეფექტიანობაზე, რაც უშუალოდაა დაკავშირებული გამოცდის ორგანიზებასა და შინაარსთან.

Roussy A., *Lawyer Regulation in Canada: Towards Greater Uniformity*, *International Lawyer*, Vol. 50, No. 3, 2017, 409-410.

³⁰⁸ მაგ., აშშ-ში. იხ., Lutz R. E., *An Essay concerning the Changing International Legal Profession*, *Southwestern Journal of International Law*, Vol. 18, No. 1, 2011, 218; Watson J. K. *Protecting the Public through the Legal Licensing System*, *Florida Coastal Law Journal*, Vol. 1, No. 2, 2000, 549.

³⁰⁹ იხ., *Conseil National des Barreaux*, *French Bar Associations*, <<https://www.cnb.avocat.fr/en/annuaire-barreaux>> [21.06.2024] *I compiti del Consiglio Nazionale Forense*, <<https://www.consiglionazionaleforense.it/web/cnf/compiti>> [21.06.2024]

³¹⁰ მაგ., იტალია. იხ., *Nuova disciplina dell'ordinamento della professione forense*, *LEGGE 31 dicembre 2012*, n. 247, Art. 46.6.

³¹¹ იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ2“ და „ჰ3“ ქვეპუნქტები, 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; Watson J. K. *Protecting the Public through the Legal Licensing System*, *Florida Coastal Law Journal*, Vol. 1, No. 2, 2000, 549.

³¹² იხ., „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ2“ ქვეპუნქტი.

³¹³ იხ., Smith S.R., *Accreditation Revisited: ABA Reexamination of Approved Law Schools*, *Wayne Law Review*, Vol. 27, No. 1, 1980, 96.

1. საკვალიფიკაციო გამოცდა

1.1. საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება და პროფესიაში დაშვების სტანდარტი

პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვების ქართული მოდელი ერთიან, იურისტთა ზოგად საკვალიფიკაციო გამოცდას არ იცნობს. სხვადასხვა სერტიფიცირება ტარდება ადვოკატობის, პროკურორობის, მოსამართლეობისა და ნოტარიუსობის მსურველთათვის.³¹⁴ ამავდროულად, გარკვეული ურთიერთკავშირი ამ გამოცდებს შორისაც არსებობს, კერძოდ, პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის ან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.³¹⁵ ხოლო ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროფესიული ნაწილისგან გათავისუფლების საფუძველია მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება საერთო ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით.³¹⁶ საინტერესოა ნოტარიუსთათვის არსებული გამონაკლისი – პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი სამოქალაქო, საერთაშორისო კერძო სამართლის ან სამოქალაქო საპროცესო სამართლის სპეციალობაში, თავისუფლდება საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან.³¹⁷ ამგვარი გამონაკლისის არსებობა რაციონალურია, თუმცა, ამავდროულად, გაურკვეველია, რატომ ითვალისწინებს კანონმდებლობა მსგავს მონესრიგებას მხოლოდ ნოტარიუსთათვის და არა პროფესიის სხვა მიმართულებებისთვისაც. ამდენად, ქართული მოდელი ერთგვარად

³¹⁴ იხ., „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი; „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი; „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

³¹⁵ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

³¹⁶ „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი.

³¹⁷ იქვე, 11 მუხლის მე-2 პუნქტი.

„ანანევრებს“ პრაქტიკულ საქმიანობაზე დაშვების სტანდარტს. ეს მიდგომა არ შემოიფარგლება მხოლოდ საკვალიფიკაციო გამოცდებით – მოსამართლის თანამდებობისთვის მოთხოვნილია სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი,³¹⁸ მაშინ, როდესაც ყველა სხვა შემთხვევაში საკმარისად მიიჩნევა ბაკალავრის ხარისხი³¹⁹.

პროფესიის სხვადასხვა მიმართულებაზე დაშვების გამიჯვნა პრაქტიკოსთა შორის იურისტის პროფესიის, როგორც მთლიანობის, აღქმას ართულებს. დარგის ერთ მიმართულებაში დასაქმებულები ქმნიან საკუთარ ასოციაციას, იძენენ სხვა მიმართულების წარმომადგენელთაგან განსხვავებულ გამოცდილებას და ა.შ.³²⁰ ასეთი მიდგომა უფრო მეტად კონტინენტური ევროპის სამართლისთვისაა დამახასიათებელი,³²¹ თუმცა არა ყველა შემთხვევაში. მაგალითად, გერმანიაში მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის სპეციალური საკვალიფიკაციო გამოცდა არ არის გათვალისწინებული, მათ მოეთხოვებათ ზოგადი წესით პირველი და მეორე სახელმწიფო გამოცდის ჩაბარება.³²² საერთო სამართლის ქვეყნებიდან აღსანიშნავია აშშ, სადაც შტატის იურისტთა ასოციაციის გამოცდის ჩაბარება ნებისმიერი მიმართულების პრაქტიკული იურიდიული საქმიანობის განხორციელების წინაპირობაა.³²³

³¹⁸ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

³¹⁹ იხ., „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი; „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

³²⁰ Merryman J. H., Perez-Perdomo R., *The Civil Law Tradition: An Introduction to the Legal Systems of Europe and Latin America*, 4th Ed., Stanford University Press, 2018, 105.

³²¹ იხ., იქვე, 104.

³²² იხ., German Judiciary Act (Deutsches Richtergesetz – DRiG), 1972, 5 (1), §122 (1); Riedel J., Training and Recruitment Judges in Germany, *International Journal for Court Administration*, Vol. 5, No. 2, 2013, 43.

³²³ იხ., Bar Admissions Basic Overview, <https://www.americanbar.org/groups/legal_education/resources/bar_admissions/basic_overview/> [21.06.2024]

პროფესიაში დაშვების ერთიანი სტანდარტის ჩამოყალიბებას უჭერენ მხარს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრებიც.³²⁴ სტანდარტის შემუშავებისთვის, თავის მხრივ, შეუცვლელი როლი აქვს როგორც იურიდიულ განათლების, ისე იურისტთა სერტიფიცირების ორგანიზებას. სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მათი 63.9% მიზანშეწონილად მიიჩნევს პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვებისთვის საერთო საკვალიფიკაციო გამოცდის არსებობასა და ერთიანი იურისტთა ასოციაციის შექმნას.³²⁵ დაშვების წინაპირობების ერთიან სტანდარტში მოქცევა გაამარტივებს სხვადასხვა მიმართულებით დასაქმებული იურისტების მიერ მიმართულების შეცვლასა და პროფესიის ფარგლებში მოხილობას. ამავდროულად, საერთო გამოცდა უზრუნველყოფს პროფესიაზე დაშვებული პირების კვალიფიციურობის ერთიანი კრიტერიუმებით განსაზღვრას.

ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის დანერგვა შესაძლებელს გახდის იურისტთა ასოციაციის ჩამოყალიბებას. პროფესიის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელთა საერთო ორგანიზაციის არსებობა გაამარტივებს იურიდიული პროფესიის თვითრეგულირების ორგანიზებასა და ეფექტიანობას. ასოციაციის ჩამოყალიბება მიზანშეწონილია, მათ შორის, იურიდიული განათლების რეგულირების მიზნებისთვის. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება დარგის წარმომადგენელთა ერთობლივი ხედვით სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სწავლის მინიმალური შედეგების განსაზღვრა.³²⁶ მართალია, არსებული დარგობრივი მახასიათებე-

³²⁴ იხ., ჩოკორაია კ., სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, თბილისი, 2021, 16.

³²⁵ იხ., სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევა, დანართი N1.

³²⁶ მაგ., აშშ-ში სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მოდელურ სტანდარტებსა და მინიმალურ მოთხოვნებს აწესებს ამერიკის იურისტთა ასოციაცია. კონკრეტული მოთხოვნები შტატების დონეზე განისაზღვრება. იხ., Currier B. A., Assuring Quality in Legal Education: The Accreditation Process of the American Bar Association, *South Texas Law Review*, Vol. 43, No. 2, 2002, 338; Davies G., Woo M., Navigating Troubled Seas: The Future of the Law School

ლიც ასახავს მათ ხედვას,³²⁷ თუმცა ასოციაციის ჩართულობით უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა მიმართულებით დასაქმებული იურისტების მოსაზრებების გათვალისწინება და დარგის საერთო პოზიციის ჩამოყალიბება. გამარტივდება პრაქტიკაში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამის მოთხოვნებში ასახვა.

იურისტთა ასოციაციის შექმნის ალტერნატივად (რომლის პირობებშიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ცალკე ორგანიზაციად აღარ იარსებებს) დასაშვებია მოქმედი ადვოკატთა ასოციაციის იმგვარი ორგანიზება, რომ იგი აერთიანებდეს იურიდიული პროფესიის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებს. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია პროფესიაში დაშვების ერთიანი სტანდარტის შემუშავებით, საერთო საკვალიფიკაციო გამოცდის დაწესებითა და პროფესიის წევრობის ყველა მსურველისთვის ამ ასოციაციაში სავალდებულო გაერთიანების მოთხოვნის დაწესებით.

საგანმანათლებლო პროგრამების მინიმალური სტანდარტის განსაზღვრასთან ერთად, რეკომენდებულია დარგობრივი ორგანიზაციის მიერ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება და აღიარება. გარე შეფასების განმახორციელებელი შესაძლოა იყოს როგორც იურისტთა ასოციაცია, ისე ადვოკატთა ასოციაცია (იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატთა ასოციაციის წევრობა პროფესიის ყველა წარმომადგენელს მოეთხოვება). სამართლის პროგრამებისთვის ორმაგი აკრედიტაციის მოდელის დამკვიდრება მნიშვნელოვანია იურიდიულ პროფესიასა და იურიდიულ განათლებას შორის არსებული განცალკევების აღმოსაფხვრელად. დარგობრივი ორგანოს აკრედიტაცია იქნება იმის გარანტი, რომ: აკადემიური სივრცე თანამშრომლობს დარგის წარმომადგენლებ-

in the United Kingdom and the United States, *Journal of International and Comparative Law*, Vol. 5, No. 1, 2018, 44.

³²⁷ იხ., სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 6 ივნისის N476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმალესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი“, მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

თან; უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასება დარგის ერთიანი ხედვისა და სტანდარტების შესაბამისად; პროფესიას აქვს შესაძლებლობა, უშუალო ზედამხედველობა გაუწიოს იურიდიულ განათლებას და ამგვარად, გააკონტროლოს პროფესიაში მისაღები იურისტების კომპეტენტურობა.

პროფესიაში დაშვების ერთიანი სტანდარტის შემუშავება – საერთო საკვალიფიკაციო გამოცდის დანერგვა და იურისტთა ასოციაციის ჩამოყალიბება – იურიდიულ განათლებასა და პროფესიაში არსებული გამოწვევების გადაჭრის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია. შემოთავაზებული მოდელი პროფესიაში მიღების ერთიანი სტანდარტის დამკვიდრებით, იურისტთა ერთიანი ასოციაციის შექმნითა და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასებაში უშუალო მონაწილეობით გააუმჯობესებს შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობასა და კურსდამთავრებულთა პრაქტიკულ გამოწვევებს. დარგისა და აკადემიური სივრცის ამ ფორმით დაკავშირებისთვის, მათ შორის, დარგობრივი აკრედიტაციის დანერგვისთვის, ერთიანი ასოციაციის არსებობას გადამწყვეტი როლი აქვს.

1.2. საკვალიფიკაციო გამოცდის ფორმატი და შინაარსი

საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანი აპლიკანტთა მინიმალური კომპეტენციის დადასტურებაა.³²⁸ იმისათვის, რომ ეს მიზანი რეალურად მიღწევადი იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოცდის ფორმატია. საქართველოში ადვოკატთა და პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდები მხოლოდ ტესტურ მეთოდს მოიცავს.³²⁹ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის შემთხვევაში

³²⁸ იხ., Robertson C. B., How Should We License Lawyers?, Fordham Law Review, Vol. 89, No. 4, 2021, 1306; Gregory R. L., Florida's Bar Exam: Ensuring Racial Disparity, Not Competence, Georgetown Journal of Legal Ethics, Vol. 18, No. 3, 2005, 780; Bratman B., Improving the Performance of the Performance Test: The Key to Meaningful Bar Exam Reform, UMKC Law Review, Vol. 83, No. 3, 2015, 609.

³²⁹ იხ., „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5-მე-7 პუნქტები; „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

გათვალისწინებულია როგორც ტესტური, ასევე წერიტი გამოცდა.³³⁰ ტესტური საკითხებით მხოლოდ თეორიული ცოდნის, დამახსოვრებული ინფორმაციის შეფასებაა შესაძლებელი,³³¹ მათ შორის, ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც კითხვები სიტუაციური ამოცანების სახით არის მოცემული. ამავდროულად, გაუგებარია, რა პრინციპით არის გამიჯნული ხსენებული გამოცდები და რატომ არ განისაზღვრა წერიტი გამოცდა ადვოკატებისა და პროკურორებისთვისაც.

იურისტის კომპეტენტურობა და პრაქტიკული საქმიანობის დაწყებისთვის მისი მზაობის შეფასება ამ უკანასკნელის მეხსიერებასა და თეორიულ ცოდნაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. პრაქტიკული უნარები, რომლებიც ამდენად მნიშვნელოვანია იურისტისთვის, საკვალიფიკაციო გამოცდის ეტაპზეც უნდა მონმდებოდეს, რაც ვერ მოხერხდება სავარაუდო პასუხებიდან ერთ-ერთის არჩევის ფორმატში.³³² აშშ-ში იურისტთა საკვალიფიკაციო გამოცდა ტესტურ კითხვებთან ერთად ითვალისწინებს სამართლებრივ პრობლემებზე დასაბუთებული პასუხის გაცემას, რომლის ფარგლებშიც მონმდება აპლიკანტის თეორიული ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკულ შემთხვევაზე მორგების უნარი.³³³ ამის მიუხედავადაც კი, შტატების გამოცდა ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი იურისტთა პრაქტიკული და პროფესიული უნარების შეფასებისთვის არაეფექტიანი ფორმატის გამოყენების გამო.³³⁴

³³⁰ იხ., საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 მარტის №131 ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

³³¹ იხ., Bell E. F., Do Bar Examinations Serve a Useful Purpose, American Bar Association Journal, Vol. 57, No. 12, 1971, 1216.

³³² იხ., Curtis D. M., They're Digging in the Wrong Place: How Learning Outcomes Can Improve Bar Exams and Ensure Practice Ready Attorneys, Elon Law Review, Vol. 10, No. 1, 2018, 251.

³³³ Stuckey R. T., Best Practices for Legal Education: A Vision and a Road Map, University of South Carolina, 2007, 8.

³³⁴ იხ., იქვე; Chemerinsky E., Reimagining Law Schools, Iowa Law Review, Vol. 96, No. 5, 2011, 1464; Curtis D. M., They're Digging in the Wrong Place: How Learning Outcomes Can Improve Bar Exams and Ensure Practice Ready Attorneys, Elon Law Review, Vol. 10, No. 1, 2018, 251.

პრაქტიკული უნარების შეფასებაზეა ორიენტირებული გერმანიაში არსებული გამოცდებიც. იურისტთა პირველი და მეორე სახელმწიფო გამოცდის შინაარსი განისაზღვრება ლანდების მიერ, თუმცა ყველა შემთხვევაში მოიცავს წერილობით და ზეპირ კომპონენტს.³³⁵ წერილობითი ნაწილი ძირითადად კაზუსებისა და სამართლებრივი პრობლემებისგან შედგება.³³⁶ ცხადია, გამოცდის ფარგლებში ვერ იქნება უზრუნველყოფილი აპლიკანტის პრაქტიკული უნარების სრულფასოვანი შეფასება, თუმცა ასეთი ფორმატი ყველაზე მეტად უახლოვდება საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანს. შეუძლებელია იურისტთა სერტიფიცირებამ შექმნას პრაქტიკოსი იურისტების კომპეტენტურობისა და საჯარო ინტერესების დაცვის გარანტია, თუ მათი შეფასება მხოლოდ ტესტურ დავალებებში გამოვლენილ თეორიულ ცოდნასა და მეხსიერებაზე იქნება დამოკიდებული.

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულების პრაქტიკულ გამონვევებს ძირითადად იურიდიულ განათლებას უკავშირებენ,³³⁷ თუმცა ამ პრობლემის გადაწყვეტის პროცესში პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაზე დაშვების წინაპირობებსაც მნიშვნელოვანი როლი აქვს. საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული და სხვა აქტუალური უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპონენტების გაზრდასთან ერთად, მიზანშეწონილია, აპლიკანტის მიერ აღნიშნული უნარების ფლობა მოწმდებოდეს პროფესიაში დაშვების ეტაპზეც.³³⁸ პროფესიული ასოციაცია უნდა მონაწილეობდეს საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სწავლის მინიმალური შედეგების დადგენაში და შემდეგ საკვალიფიკაციო

³³⁵ იხ., Luschin Ch., A Germany Ivy: The Bucerius Law School, *Southwestern Journal of International Law*, Vol. 19, No. 1, 2012, 11-14; Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Saarland, 2015, § 26 (1).

³³⁶ Riedel J., Training and Recruitment Judges in Germany, *International Journal for Court Administration*, Vol. 5, No. 2, 2013, 44.

³³⁷ იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 9.

³³⁸ იხ., Curtis D. M., They're Digging in the Wrong Place: How Learning Outcomes Can Improve Bar Exams and Ensure Practice Ready Attorneys, *Elon Law Review*, Vol. 10, No. 1, 2018, 273.

გამოცდაზე აპლიკანტთა კომპეტენციას ამ შედეგების მიხედვით აფასებდეს. ამავდროულად, ამგვარად ორგანიზებული საკვალიფიკაციო გამოცდის შემთხვევაში შესაძლებელი და ქმედითი იქნება დარგობრივი ორგანიზაციის მიერ პროგრამების გარე შეფასებისას (დარგობრივი აკრედიტაციის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მაჩვენებლის გამოყენება.

იურისტთა სერტიფიცირების (ერთიანი გამოცდის) დანერგვის შემთხვევაში საგამოცდო თემატიკა უნდა ფარავდეს სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობის დაწყებისთვის აქტუალურ საკითხებს. პროგრამებისთვის განსაზღვრული სწავლის მინიმალური შედეგები ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ მოამზადოს იურისტი პროფესიული საქმიანობის დაწყებისთვის.³³⁹ შესაბამისად, მიზანშეწონილი და ლოგიკურია, საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკაც სწორედ სწავლის მინიმალური შედეგების საფუძველზე შემუშავდეს. ასეთ შემთხვევაში უფრო მკაფიო გახდება ლოგიკური კავშირი იურიდიულ განათლებასა და პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობებს შორის, რაც დაეხმარება იურიდიული განათლებისა და პროფესიის ურთიერთკავშირისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებას.

რეკომენდებულია, იურისტთა სერტიფიცირება მოხდეს ერთიანად და განისაზღვროს პროფესიის ყველა მიმართულებაზე დაშვების წინაპირობად. ასევე მიზანშეწონილია, საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა დაკავშირებული იყოს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაწესებულ სწავლის მინიმალურ შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს იურიდიული განათლებისა და პროფესიის ერთიან სტანდარტში მოქცევას და შექმნის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში გამოყენების შესაძლებლობას. რეკომენდებულია, გამოცდის ფორმატი უფრო მეტად ორიენტირდეს აპლიკანტთა

³³⁹ იხ., სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, I.

პრაქტიკული და პროფესიული უნარების შეფასებაზე, რისთვისაც ტესტურ მეთოდთან ერთად უნდა გამოიყენებოდეს კაზუსები, სამართლებრივი პრობლემის ანალიზი და სხვა ისეთი დავალებები, სადაც აპლიკანტი შეძლებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის დემონსტრირებას.

2. პროფესიაში დაშვების დამატებითი წინაპირობები

ადვოკატის ლიცენზიის მოსაპოვებლად საკვალიფიკაციო გამოცდის შემდეგ ეტაპზე გათვალისწინებულია კანდიდატის მიერ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის გავლა, რომელიც ერთნაირია და მოიცავს თეორიულ ნაწილსა და სტაჟირებას.³⁴⁰ მოსამართლეობის კანდიდატთა შემთხვევაში კანონმდებლობა განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსის გავლის ვალდებულებას,³⁴¹ რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებს თეორიულ ნაწილს, სტაჟირებასა და სემინარულ მუშაობას.³⁴² პროკურატურისა და ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ზემოთ განხილული ორი შემთხვევისგან განსხვავებით, არ მოითხოვება თეორიული კურსის გავლა, კანდიდატებისთვის დაწესებულია მხოლოდ სავალდებულო პრაქტიკა.³⁴³ ამდენად, პროფესიაში დაშვების ქართულ მოდელში სხვადასხვა მიმართულებისთვის განსხვავებული მიდგომაა გამოყენებული.

³⁴⁰ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

³⁴¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

³⁴² სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 2023 წლის 31 მაისის №01/4-23 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება“, მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

³⁴³ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის პირველი პუნქტი; „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

2.1. თეორიული სწავლება

ადვოკატთა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიულ ნაწილს 3 თვე ეთმობა.³⁴⁴ კურსი მოიცავს შემდეგ სავალდებულო მოდულებს: სამართლებრივი წერა; ადვოკატის პროფესიული ეთიკა; კლიენტთან კომუნიკაცია, პირველი ინტერვიუ, ჰონორარზე შეთანხმება; საადვოკატო საქმიანობის/ბიუროს ორგანიზება; სასამართლო პროცესის წარმართვის უნარ-ჩვევები; ორატორული ხელოვნება და პრეზენტაციის უნარები; ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტები; დავის ალტერნატიული მოგვარების მექანიზმები (სამოქალაქო სამართლის და საერთო სპეციალიზაციისათვის); ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები (სისხლის სამართლის და საერთო სპეციალიზაციისათვის).³⁴⁵

საერთაშორისო პრაქტიკაში პროფესიაში დაშვებისათვის დამატებითი თეორიული სწავლების შემთხვევები გავრცელებული არ არის. დამატებითი წინაპირობის სახით საკვალიფიკაციო გამოცდასთან ერთად, როგორც წესი, განსაზღვრულია პრაქტიკა/სტაჟირება.³⁴⁶ იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიისთვის რელევანტურ თეორიულ ცოდნას მომავალი იურისტები აკადემიური უმაღლესი განათლების ფარგლებში იღებენ, ლოგიკურია, მათ დამატებითი თეორიული სწავლების გავლა არ მოეთხოვებოდეთ. თეორიისგან განსხვავებით, რეალურ პრაქტიკასთან შეხება საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეზღუდულია, რაც ამართლებს სავალდებულო პრაქტიკის დანერგვას.

³⁴⁴ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულება, მე-4 მუხლის 4.1. პუნქტი.

³⁴⁵ იქვე, მე-6 მუხლის 6.2. პუნქტი.

³⁴⁶ მაგ., იხ., Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Hessen, 2004, § 29; Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Saarland, 2015, § 24; Bergamini E., Lawyers and Their Freedom of Establishment and Access to the Profession – New Perspectives and Still Existing Restrictions: The Case of Italy, Romanian Journal of Comparative Law, Vol. 8, No. 1, 2017, 117.

საკვალიფიკაციო გამოცდაზე და შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამაზე დაშვების წინაპირობა იურისტის კვალიფიკაციაა.³⁴⁷ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია სწავლის მინიმალური შედეგები,³⁴⁸ რომელთან პროგრამის შესაბამისობა მოწმდება გარე შეფასების ფარგლებში და ამდენად, უზრუნველყოფილია, რომ ამ მინიმალურ შედეგებს სამართლის საბაკალავრო პროგრამების ყველა კურსდამთავრებულმა მიაღწია.³⁴⁹ თეორიული კურსის სავალდებულო მოდულის საკითხებიდან დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის მინიმალური შედეგები მოიცავს სამართლებრივ წერას, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს, სასამართლო პროცესის წარმართვის უნარებს.³⁵⁰ რაც შეეხება სხვა მოდულებს, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, რა ალტერნატიული საშუალებით შეიძლება მათში გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. მაგალითად, დავის ალტერნატიული მოგვარების მექანიზმები შესაძლებელია დაემატოს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს.

კურსით გათვალისწინებული ისეთი მოდულები, როგორცაა: კლიენტთან კომუნიკაცია, პირველი ინტერვიუ, ჰონორარზე შეთანხმება; საადვოკატო საქმიანობის/ბიუროს ორგანიზება; სასამართლო პროცესის წარმართვის უნარ-ჩვევები; ორატორული ხელოვნება და პრე-

³⁴⁷ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

³⁴⁸ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, I.

³⁴⁹ იხ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, მე-18 მუხლი.

³⁵⁰ იხ., სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“, III, 3.1.

ზენტაციის უნარები; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები, შინაარსით პრაქტიკული ხასიათისაა. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ადაპტაციის პროგრამის დებულებაში მოცემული განმარტებით, თეორიული კურსი ორიენტირებულია ადვოკატისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემეცნებაზე.³⁵¹ ეს არის უნარები, რომლებიც დამწყებმა იურისტმა პრაქტიკის/სტაჟირების პროცესში უნდა გამოიმუშაოს. იურიდიული განათლების მქონე პირებისთვის, რომლებიც პროფესიული საქმიანობის დასაწყებად ემზადებიან, არარელევანტურია პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირებით თეორიული ინფორმაციის მიწოდება. ამ უნარების გამოიმუშავება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ნაწილში, რაც უფრო ეფექტიანი და ლოგიკური იქნება.

თეორიული კურსის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი ადვოკატობის მსურველთა მიერ გავლილი მოდულებით შედეგების მიღწევის შეფასების შეუძლებლობაა. დადგენილი საათების მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია თეორიული სწავლების ნაწილის გავლის შესახებ ცნობის გასაცემად,³⁵² ვერ იქნება გამოყენებული შედეგების შეფასების ინდიკატორად. შესაბამისად, თეორიული კურსის ფარგლებში არ არსებობს მონაწილეთა მიერ შედეგების მიღწევის და ამდენად, კურსის ეფექტიანობის გარანტია. მეორე მხრივ, უსდებს აქვთ ვალდებულება, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყონ სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და ამ შედეგების შეფასების მექანიზმების გამოყენება.³⁵³ აღნიშნულიდან გამომდინარეც, უმჯობესია, დარგისთვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავება სრულფასოვნად მოიცვას უმაღლესმა განათლებამ, ხოლო ადაპტაციის პროგრამა თეორიულ სწავლებას არ ითვალისწინებდეს.

³⁵¹ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულება, მე-6 მუხლის 6.1. პუნქტი.

³⁵² იხ., იქვე, 6.3. პუნქტი.

³⁵³ იხ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“, 1.2, 1.3.

დარგის ექსპერტების, დამსაქმებლების, უსდ-ების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის შედეგებიდან იკვეთება, რომ მათი უმრავლესობის აზრით, ადაპტაციის პროგრამა ფორმალურ ხასიათს ატარებს, არ უწყობს ხელს პროფესიულ ზრდას, ხოლო თეორიული კურსი ხშირად იმეორებს უმაღლესი განათლების ფარგლებში მიღებულ ცოდნას.³⁵⁴ ამასთან, სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განმახორციელებელთა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მათი 19.4%-ის აზრით, ადაპტაციის პროგრამა სავალდებულო არ უნდა იყოს; 41.7% მიიჩნევს, რომ სავალდებულო უნდა იყოს მხოლოდ სტაჟირების კომპონენტით; 33.3%-ის აზრით, ადაპტაციის პროგრამა სავალდებულო უნდა იყოს (როგორც თეორიული, ისე სტაჟირების კომპონენტით).³⁵⁵ შესაბამისად, გამოკითხულთა უმრავლესობა მიზანშეწონილად არ მიიჩნევს ადაპტაციის თეორიული კურსის არსებობას.

რეკომენდებულია, პროფესიაში დაშვებისთვის ერთიანი სტანდარტის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნეს ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის არსებობის დაუსაბუთებლობა და არარელევანტურობა და შესაბამისად, იურისტთა სერტიფიცირების წინაპირობად მსგავსი მოთხოვნა არ განისაზღვროს. დარგობრივი მახასიათებელი უნდა მოიცავდეს პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა კომპეტენციას, რათა არსებობდეს კურსდამთავრებულთა მიერ ამ კომპეტენციების ფლობის გარანტია. იურისტისთვის პრაქტიკული და პროფესიული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული საკითხები, საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირებასთან ერთად, მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იყოს სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში. ადაპტაციის ასეთი ორგანიზება: 1. შექმნის მეტ გარანტიას, რომ იურისტები ფლობენ მათთვის აუცილებელ კომპეტენციებს; 2. თეორიული სწავლების კომპონენტის გაუქმებით პროფესიაში დაშვების

³⁵⁴ სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 54.

³⁵⁵ იხ., სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევა, დანართი N1.

მსურველებს აარიდებს დროისა და ფინანსური რესურსების არარელევანტურ ხარჯვას; 3. შექმნის სტაჟირების/პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებისა და ამგვარად, მომავალი იურისტებისთვის პრაქტიკული და პროფესიული უნარების გამომუშავების ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობას.

2.2. პრაქტიკული მომზადება

იურიდიული განათლებისა და პროფესიის დაშორებით განპირობებული პრაქტიკული გამოწვევების საპასუხოდ გამოყენებული ერთ-ერთი მექანიზმი პროფესიაში დაშვების მსურველთა პრაქტიკული მომზადებაა.³⁵⁶ მომავალ იურისტთა პრაქტიკული მომზადება/სტაჟირება განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში, რადგან დღეს არსებული სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას საკმარისად ვერ უზრუნველყოფენ.³⁵⁷ სხვადასხვა ქვეყანაში ეს მექანიზმი გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამებში იურიდიული კლინიკის ან/და სხვა ფორმით ინტეგრირებული პრაქტიკული კომპონენტის არსებობის მიუხედავად, რაც გამართლებულია პროფესიაში პრაქტიკული უნარების მნიშვნელობიდან გამომდინარე. კვლევის შედეგად დასტურდება, რომ სამართლის პროგრამების განმასხვრციელებელთა უმეტესობა – 75% მიიჩნევს, რომ პრაქტიკული საქმიანობის დაწყების მსურველთათვის სტაჟირების გავლა სავალდებულო უნდა იყოს.

საქართველოში თეორიული სწავლებისგან განსხვავებით, პრაქტიკული მომზადება/სტაჟირება გათვალისწინებულია როგორც ადვოკატობის, ისე მოსამართლეობის, პროკურორობისა და ნოტარიუსობის მსურველებისთვის.³⁵⁸ თუმცა უკანასკნელ სამ შემთხვევაში

³⁵⁶ იხ., Joy P. A., *Law Schools and the Legal Profession: A Way Forward*, *Akron Law Review*, Vol. 47, No. 1, 2014, 188-189.

³⁵⁷ იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 6.

³⁵⁸ იხ., „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე

სტაჟირება უფრო მეტად თანამდებობის დაკავების კრიტერიუმია. შესაბამისად, პროფესიაში დაშვების წინაპირობებზე მსჯელობისას რელევანტურია ადვოკატთა ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში გასავლელი სტაჟირების შეფასება. ერთწლიანი ადაპტაციის პროგრამიდან სტაჟირებას 9 თვე ეთმობა.³⁵⁹ პროცესს ზედამხედველობს ხელმძღვანელი ადვოკატი, რომელიც სტაჟირების დასრულების შემდეგ ასოციაციას წარუდგენს ანგარიშს სტაჟირების მიმდინარეობისა და სტაჟირებით გათვალისწინებული მინიმალური პროგრამის შესრულების თაობაზე.³⁶⁰ თავის მხრივ, სტაჟირორი ვალდებულია ასოციაციას წარუდგინოს შუალედური და საბოლოო ანგარიშები შესრულებული სამუშაოს შესახებ, ასევე, დასრულების შემდეგ – ხელმძღვანელი ადვოკატის შეფასება.³⁶¹

საერთაშორისო პრაქტიკის, დაინტერესებულ მხარეთა (მათ შორის, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, უსდების წარმომადგენლები) მოსაზრებებისა და პროფესიაში პრაქტიკული უნარების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პროფესიაში დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად განისაზღვროს იურისტთა პრაქტიკული მომზადება. ამასთან, პრაქტიკის/სტაჟირების ეფექტიანობისთვის აუცილებელია შეფასდეს და დადგინდეს პრაქტიკის ხანგრძლივობისა და ორგანიზების, დარგობრივი ასოციაციის მიერ პრაქტიკის ზედამხედველობისა და სხვა ფუნდამენტური საკითხების მონესრიგების ოპტიმალური მოდელი.

მუხლის მე-3 პუნქტი; „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი; „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი; სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 2023 წლის 31 მაისის №01/4-23 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება“, მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

³⁵⁹ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულება, მე-4 მუხლის 4.1. პუნქტი.

³⁶⁰ იქვე, მე-8 მუხლის 8.5. პუნქტი.

³⁶¹ იქვე, 8.6. პუნქტი.

2.2.1. პრაქტიკული მომზადების/სტაჟირების ხანგრძლივობა

პრაქტიკული მომზადების ხანგრძლივობის განსასაზღვრად მიზანშეწონილია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება. მაგალითად, გერმანიაში იურისტთა პრაქტიკული მომზადება 2 წელი გრძელდება,³⁶² იტალიასა და საფრანგეთში – 18 თვე,³⁶³ გაერთიანებულ სამეფოში – 2 წელი,³⁶⁴ კანადაში – 9-დან 12 თვემდე³⁶⁵. აშშ-ში პროფესიაში დაშვების წინაპირობად პრაქტიკის გავლას შტატების მხოლოდ ნაწილი ითვალისწინებს.³⁶⁶ მაგალითად, ნიუ-იორკში იურისტთა ასოციაციის გამოცდის ჩაბარებასთან ერთად, პრაქტიკაზე დაშვებისთვის აპლიკანტმა უნდა შეასრულოს *pro bono* იურიდიული მომსახურების 50 საათი.³⁶⁷ ჩამოთვლილ მაგალითებთან შედარებით საქართველოში არსებული სტაჟირების პროგრამა ხანმოკლეა (9 თვე). მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ ადვო-

³⁶² მაგ., იხ., Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Hessen, 2004, §29 (1); Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Saarland, 2015, §24 (1); Gesetz über die Ausbildung von Juristinnen und Juristen im Land Berlin (Berliner Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Berlin, 2003, §14 (1); Wolff H. A., Bar Examinations and Cram Schools in Germany, Wisconsin International Law Journal, Vol. 24, No. 1, 2006, 110.

³⁶³ Mazzeschi M., Li Y., The Legal Profession in Italy and the Rules for Outsourcing Legal Services, US-China Law Review, Vol. 14, No. 12, 2017, 822; Toutes les conditions d'accès à la profession, Le Conseil National des Barreaux, <<https://www.cnb.avocat.fr/fr/toutes-les-conditions-dacces-la-profession>> [21.06.2024]

³⁶⁴ Qualifying work experience for candidates, Solicitors Regulation Authority, <<https://www.sra.org.uk/become-solicitor/sqe/qualifying-work-experience-candidates/>> [21.06.2024]

³⁶⁵ Roussy A., Lawyer Regulation in Canada: Towards Greater Uniformity, International Lawyer, Vol. 50, No. 3, 2017, 411; How to become a lawyer in Canada, <<https://bit.ly/3RD2vJ9>> [21.06.2024]

³⁶⁶ იხ., Joy P. A., Law Schools and the Legal Profession: A Way Forward, Akron Law Review, Vol. 47, No. 1, 2014, 186-189.

³⁶⁷ Rules of the Court of Appeals for the Admission of Attorneys and Counselors at Law, Court of Appeals, State of New York, § 520.16 (a).

კატთა ადაპტაციის პროგრამაში მონაწილე პირებს მოეთხოვებათ მხოლოდ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები კი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიცემას ნაკლებად უზრუნველყოფს.

სტაჟირების ხანგრძლივობის განსაზღვრა დამოკიდებულია იმაზე, რა კვალიფიკაცია მოეთხოვება პროფესიაში დაშვების მსურველს, მათ შორის, რამდენწლიანი განათლებაა გათვალისწინებული შესაბამისი საფეხურისთვის, რას მოიცავს სწავლის მინიმალური შედეგები და ა.შ. ნაშრომის ფარგლებში შემოთავაზებული იურიდიული განათლების მოდელის შემთხვევაში პრაქტიკაზე დაშვების მსურველებს ექნებათ 5 წლიანი იურიდიული განათლება და მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ამავდროულად, სწავლის მინიმალურ შედეგებში გათვალისწინებული იქნება პრაქტიკული კომპონენტი, მათ შორის, აქტიური პრაქტიკის ფორმით. საკითხის შეფასებისას ასევე საყურადღებოა უკვე არსებული ერთწლიანი ადაპტაციის პროგრამა და იურისტთა მიერ პრაქტიკული საქმიანობის გონივრულ ვადაში დანყების ინტერესი.

ერთწლიანი ადაპტაციის პროგრამიდან სამი თვე არაეფექტიან თეორიულ კურსს ეთმობა, რომლის მიზანშეწონილობაც გაურკვეველი და დაუსაბუთებელია. სამთვიანი თეორიული კურსის გაუქმება შესაძლებელს გახდის მოსამზადებელი პერიოდის სრულად პრაქტიკისთვის დათმობას. იურიდიული განათლების მოქმედი მოდელის შემთხვევაში, კურსდამთავრებულთა პრაქტიკული პრობლემების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ საჭირო იქნებოდა უფრო ხანგრძლივი პრაქტიკული მომზადება. ერთწლიანი მომზადება გამართლებულია ნაშრომში შემოთავაზებული მოდელის პირობებში, პროფესიაში დაშვებისთვის მაგისტრის ხარისხის მოთხოვნასთან ერთად. შესაბამისად, მიზანშეწონილია სტაჟირების ვადად განისაზღვროს ერთი წელი.

2.2.2. პრაქტიკული მომზადების/სტაჟირების ზედამხედველობა დარგობრივი ორგანიზაციის მიერ

ადვოკატთა ადაპტაციის მოქმედ პროგრამაში სტაჟირების კომპონენტის მთავარი გამოწვევა არა მისი ხანგრძლივობა, არამედ ეფექტიანობაა.³⁶⁸ ასოციაციას ფორმალურად შემუშავებული აქვს სტაჟირებაზე ზედამხედველობის მექანიზმი,³⁶⁹ თუმცა სტაჟიორისა და მისი ხელმძღვანელი ადვოკატის მიერ ზოგადი ინფორმაციის ამსახველი ანგარიშების წარდგენა ვერ იქნება მიჩნეული ასოციაციის მიერ სტაჟირების ზედამხედველობის საკმარის და ეფექტიან მექანიზმად. რამდენად მიიღებს სტაჟიორი რელევანტურ გამოცდილებას დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევებზე, თავად სტაჟიორისა და ადვოკატის მოტივაციაზე და შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციის კონტროლს მიღმა რჩება.³⁷⁰

პრაქტიკული მომზადების შედეგების შესაფასებლად ზოგიერთ ქვეყანაში გამოცდა გამოიყენება.³⁷¹ მაგალითად, გერმანიაში მეორე სახელმწიფო გამოცდის ფარგლებში ფასდება, რამდენად მიაღწია პირმა პრაქტიკული მომზადების მიზნებს, აქვს თუ არა პროფესიული ცოდნა, პასუხისმგებლობა, სამართლის პრაქტიკული გააზრების უნარი.³⁷² გერმანიაში დანერგილი მეთოდი ეფექტიანი საშუალებაა სტაჟირების შედეგებზე ზედამხედველობისთვის. ამავდროულად, შესაძლებელია სტაჟირების სხვა ფორმით მონიტორინგიც. მაგალითად, იტალიაში სტაჟიორები ავსებენ პრაქტიკის დღიურს, რომელსაც ხელს აწერს იურიდიული ფირმის ან საჯარო

³⁶⁸ იხ., სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 54.

³⁶⁹ იხ., სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულება, მე-8 მუხლის 8.5. და 8.6. პუნქტები.

³⁷⁰ სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021, 54.

³⁷¹ მაგ., გერმანიასა და საფრანგეთში. იხ., Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Hessen, 2004, § 45 (1); Rouhette T., Gérot M., Regulation of the Legal Profession in France: Overview, Country Q&A, 2022, 3.

³⁷² Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Hessen, 2004, § 45 (1).

ორგანოს ხელმძღვანელი.³⁷³ დღიური კონტროლდება იურისტთა ადგილობრივი ასოციაციის მიერ ყოველ 6 თვეში, მცირე გამოცდის ფარგლებში.³⁷⁴ საქართველოს შემთხვევაშიც შესაძლებელია შესრულებული საქმის შესახებ უფრო მკაფიო და დეტალური ანგარიშებისა და სტაჟირის მიერ სხვადასხვა პროცესში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნა (ცხადია, კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების გათვალისწინებით), ასევე ზეპირი ან წერიტი გამოცდის ფორმატში პრაქტიკის შედეგების შეფასება.

დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, პრაქტიკის ზედამხედველობას უნდა ახორციელებდნენ ხელმძღვანელი ადვოკატებიც.³⁷⁵ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დაწესებული მოთხოვნების მიხედვით, სტაჟირის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ასოციაციის წევრი, რომელსაც აქვს ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება; რომელსაც აქვს საადვოკატო ბიურო/სამუშაო ადგილი; რომელიც არ არის სახდელდადებული ეთიკის კომისიის მიერ (არ ვრცელდება გაქარწყლებულ სახდელებზე).³⁷⁶ ასოციაცია ხელმძღვანელობისთვის მინიმალურ წინაპირობებს ითვალისწინებს. არსებული მოთხოვნები ვერ ქმნის იმის გარანტიას, რომ მენტორი უზრუნველყოფს სტაჟირისთვის პრაქტიკული უნარების განვითარებას, სტაჟირების პროცესისა და შედეგების ზედამხედველობას და, მთლიანობაში, პრაქტიკის ეფექტიანობას.³⁷⁷ შესაბამისად, მიზანშეწონილია სტაჟირის ხელმძღვანელებისთვის განისაზღვროს უფრო დეტალიზებული და შესასრულებელი ფუნქციისთვის რელევანტური მოთხოვნები, რათა მენტორობა შეეძლოს

³⁷³ Initial training of lawyers in the European Union, Italy, <https://e-justice.europa.eu/38584/EN/initial_training_of_lawyers_in_the_european_union?ITALLY&member=1> [21.06.2024]

³⁷⁴ იქვე.

³⁷⁵ იხ., სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-8 მუხლი.

³⁷⁶ იქვე, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁷⁷ იხ., იქვე, მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

მხოლოდ იმ ადვოკატებს, რომლებსაც ამ პოზიციის დასაკავებლად საკმარისი და სათანადო გამოცდილება აქვთ.

არსებული სტაჟირების არაეფექტიანობის კიდევ ერთი სავარაუდო მიზეზი ანაზღაურების არარსებობაა. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმებულია და ლოგიკურია, რომ ისინი ვერ შეძლებენ საკუთარი რესურსების სრულად სტაჟირებისთვის დათმობას. ამის გამო ხშირად თავად სტაჟირებისთვისაც სასურველია, რომ ადაპტაციის პროგრამის ეს ნაწილი მხოლოდ ფორმალურად დააკმაყოფილონ. არაერთ ქვეყანაში პრაქტიკული მომზადების პერიოდში შესრულებული სამუშაო ანაზღაურებადია. მაგალითად, გერმანიაში ორწლიანი პრაქტიკის განმავლობაში მომავალი იურისტების ანაზღაურებას სახელმწიფო უზრუნველყოფს.³⁷⁸ ანაზღაურების არსებობის შემთხვევაში, სტაჟირებს ექნებათ მეტი მოტივაცია და შესაძლებლობა, რომ სრულად ჩაერთონ სტაჟირების პროცესში, რაც გააუმჯობესებს პრაქტიკული მომზადების შედეგებს. ალტერნატივის სახით შესაძლებელია, ლიცენზიის მოპოვების მსურველებს თავიანთი პრაქტიკული იურიდიული საქმიანობა/გამოცდილება ათავისუფლებდეს სტაჟირების გავლის ვალდებულებისგან. ასეთი მოქნილი მოდელის არსებობით უზრუნველყოფილი იქნება სტაჟირთა ინტერესებისა და განსხვავებული მდგომარეობის გათვალისწინება.

იურისტთა სტაჟირების მონიტორინგი და შეფასება უნდა ხდებოდეს წინასწარ დადგენილი პერიოდულობითა და მექანიზმებით, ამასთანავე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეფასების სანდოობა და ნამდვილობა. დარგობრივმა ორგანიზაციამ მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს პრაქტიკული მომზადების შედეგებზე და არ უნდა დატოვოს ფორმალური სტაჟირების არსებობის შესაძლებლობა. სტაჟირების ზედამხედველობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სტაჟირთა პერიოდულად ფასდებოდეს წინასწარ

³⁷⁸ Obtaining a German Law Degree, <<https://www.lawstudies.com/countries/germany/>> [21.06.2024]

განსაზღვრული კრიტერიუმებით როგორც უშუალო ხელმძღვანელის, ისე დარგობრივი ორგანიზაციის მიერ. ცხადია, უშუალო ხელმძღვანელის მიერ შეფასება უფრო ხშირი იქნება. ამასთან, ზემოხსენებულ შეფასებებს წინ უნდა უძღოდეს სტაჟიორის თვითშეფასება და საქმიანობის აღწერა პრაქტიკის ანგარიშის ფორმით.

ზედამხედველობის ეფექტიანობისთვის ასევე მიზანშეწონილია სტაჟირების შემდგომი შეფასების მექანიზმის შემოღება. შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც წერიით, ისე – ზეპირი გამოცდის ფორმატში. საკვალიფიკაციო გამოცდისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გამოცდას არა მინიმალური კომპეტენციის დადასტურების, არამედ გავლილი პრაქტიკის შეჯამების, მიღებული გამოცდილებისა და პრაქტიკული უნარების შეფასების ფუნქცია ექნება. მნიშვნელოვანია, რომ ეს გამოცდა სავალდებულო იყოს იმ პირებისთვისაც, რომლებიც გათავისუფლდნენ სტაჟირების გავლისგან თავიანთი პრაქტიკული იურიდიული საქმიანობის საფუძველზე.

2.2.3. პრაქტიკული მომზადების/სტაჟირების ორგანიზება

ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების მოქმედი მოდელი ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირებას გულისხმობს.³⁷⁹ თუმცა ნაშრომში შემოთავაზებული იურისტთა ასოციაციის მოდელისა და პროფესიაში დაშვების ერთიანი სტანდარტის გათვალისწინებით, მომავალი იურისტების მიერ პრაქტიკული მომზადება მხოლოდ ადვოკატთან შესაძლოა არასაკმარისი იყოს, რამდენადაც საბოლოო მიზანი არა ვინაოდ, ადვოკატის, არამედ – იურისტის მომზადებაა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სტაჟირება ორგანიზებული უნდა იყოს იმგვარად, რომ სტაჟიორმა აირჩიოს სასურველი მიმართულება, ან პრაქტიკა მოიცავდეს სხვადასხვა მიმართულებას ყველა სტაჟიორისთვის.

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელთა კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მათი 55.6% მიზანშე-

³⁷⁹ იხ., სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულება, მე-8 მუხლის 8.1. პუნქტი.

წონილად მიიჩნევენ პრაქტიკის/სტაჟირების პროგრამის არსებობას სასურველი მიმართულების მიხედვით; 33.3% – პრაქტიკის/სტაჟირების პროგრამას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებით გამოცდილების მიღებას.³⁸⁰ სასურველი მიმართულებით მომზადებას, ცხადია, ლოგიკური დასაბუთება აქვს. ამ შემთხვევაში იურისტი სრულად კონცენტრირებულია იმ სპეციფიკის გამოცდილების მიღებაზე, რომელიც შემდგომი საქმიანობისთვის გამოადგება. ამდენად, ერთი შეხედვით პროგრამების განმარტაციულებელთა უმრავლესობის არჩევანი გამართლებულია.

ოპტიმალური მოდელის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება. მაგალითად, საფრანგეთის 18 თვიანი პრაქტიკა მოიცავს: 6 თვიან პრაქტიკაზე ორიენტირებულ კლასებს, რომლის პარალელურადაც შესაძლოა ნახევარგანაკვეთიანი სტაჟირება; 6 თვეს არასამთავრობო ან სახელმწიფო ორგანოში, კერძო კომპანიაში, საერთაშორისო ორგანიზაციასა ან სასამართლოში (როგორც საფრანგეთში, ისე – საზღვარგარეთ) (ამ პერიოდში სტაჟიორი ასევე ასრულებს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროექტს); 6 თვეს ფრანგულ იურიდიულ ფირმაში.³⁸¹ იტალიაში გათვალისწინებულია სულ მცირე 6 თვე ლიცენზირებულ ადვოკატთან ან ასოციაციაში სტაჟირება, მაქსიმუმ 6 თვე – საზღვარგარეთ, 12 თვე შეიძლება დაეთმოს სასამართლოში პრაქტიკას.³⁸²

გერმანიას სტაჟირების პროცესი კიდევ უფრო დეტალურად აქვს ორგანიზებული.³⁸³ მაგალითად, ზაარლანდის კანონმდებლობის მი-

³⁸⁰ იხ., სამართლის პროგრამების განმარტაციულებელთა კვლევა, დანართი N1.

³⁸¹ Rouhette T., Gérot M., Regulation of the Legal Profession in France: Overview, Country Q&A, 2022, 2.

³⁸² Initial Training of Lawyers in the European Union, Italy, <https://e-justice.europa.eu/38584/EN/initial_training_of_lawyers_in_the_european_union?ITALY&member=1> [21.06.2024]

³⁸³ მაგ., იხ., Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Hessen, 2004, §29 (2); Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Saarland, 2015, §24 (2); Gesetz über die Ausbildung von Juristinnen und Juristen im Land Berlin (Berliner Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Berlin, 2003, §14 (2).

ხედვით, სტაჟირება მოიცავს: 3 თვეს პროკურატურაში ან რაიონულ სასამართლოში (სისხლის სამართლის მიმართულებით), 5 თვეს პირველი ინსტანციის სასამართლოში (სამოქალაქო საქმეებზე), 3 თვეს ადმინისტრაციულ ორგანოში, 6 თვეს ადვოკატთან, 4 თვეს სხვა ადვოკატთან, 3 თვეს სტაჟიორის მიერ არჩეულ ობიექტზე.³⁸⁴ კონკრეტული ვადები და პრაქტიკის ობიექტები განსხვავდება გერმანიის ლანდების მიხედვით, თუმცა სტაჟირების ორგანიზების ძირითადი პრინციპი საერთოა.³⁸⁵

იურისტის პროფესიის ერთ მთლიანობად აღქმა სახასიათოა აშშ-ისთვის (მიუხედავად ვიწრო სპეციალიზაციების არსებობისა).³⁸⁶ განსხვავებული მიდგომა არსებობდა კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში.³⁸⁷ თუმცა ზემოთ განხილული მაგალითები ადასტურებს, რომ ევროპაც ეტაპობრივად დაუახლოვდა პროფესიის ერთიანობის პრინციპს. ამისათვის პრაქტიკული მომზადების ორგანიზებას მნიშვნელოვანი როლი აქვს. მრავალმხრივი გამოცდილების მქონე იურისტს შეუძლია პროფესიის სხვადასხვა ასპექტით შეფასება და ერთიანობაში აღქმა, პროცესების უკეთ გაანალიზება და კოლეგებთან მეტად ეფექტიანი კომუნიკაცია. ამავდროულად, სტაჟირების განსახილველი მოდელი ამარტივებს იურისტის მობილობას დარგის ერთი მიმართულებიდან მეორეში.³⁸⁸ შესაბამისად, ასეთი მიდგომა მიზანშეწონილია როგორც თითოეული იურისტის, ისე პროფესიის ინტერესებიდან გამომდინარე.

³⁸⁴ Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Saarland, 2015, §24 (2).

³⁸⁵ იხ., იქვე; Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Hessen, 2004, § 29 (2); Gesetz über die Ausbildung von Juristinnen und Juristen im Land Berlin (Berliner Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Berlin, 2003, §14 (2).

³⁸⁶ იხ., Merryman J. H., Perez-Perdomo R., The Civil Law Tradition: An Introduction to the Legal Systems of Europe and Latin America, 4th Ed., Stanford University Press, 2018, 104.

³⁸⁷ იხ., იქვე.

³⁸⁸ იხ., იქვე, 104-105.

რეკომენდებულია, იურისტის პროფესიაში დაშვების ერთიანი სტანდარტის შემუშავების ფარგლებში დაინერგოს სტაჟირების პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს იურისტთა მომზადებას პროფესიის სხვადასხვა მიმართულებით გამოცდილების მიღებით. კონკრეტულად, მიზანშეწონილია, სტაჟიორს ჰქონდეს შესაძლებლობა, პრაქტიკა განახორციელოს ადვოკატთან, სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოში (იურიდიულ დეპარტამენტში). შესაძლებელია ასევე სტაჟიორის ინდივიდუალური ინტერესებისა და სასურველი მიმართულების გათვალისწინება. მაგალითად, სტაჟიორის ინტერესებიდან გამომდინარე იმის განსაზღვრა, თუ სასამართლოს რომელ პალატაში ან/და რომელი სპეციალიზაციით დასაქმებულ ადვოკატთან გაივლის პრაქტიკას. ამავდროულად, გერმანიის პრაქტიკის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, სტაჟიორს ჰქონდეს შესაძლებლობა გარკვეული ხანგრძლივობით (სტაჟირების პერიოდის დასასრულს) თავად აირჩიოს პრაქტიკის ობიექტი. შესაბამისად, 12 თვიანი სტაჟირება უნდა მოიცავდეს სტაჟირებას როგორც ადვოკატთან, ასევე სახელმწიფო ორგანოში/კერძო კომპანიაში. სტაჟირების ორგანიზებისას გასათვალისწინებელია რესურსების საკმარისობაც. შესაძლო გამოწვევების პრევენციის ერთ-ერთი საშუალება პრაქტიკული იურიდიული გამოცდილების მქონე კანდიდატების სტაჟირების გავლის ვალდებულებისგან გათავისუფლებაა. ამავდროულად, რესურსების საკმარისობის უზრუნველყოფისთვის მიზანშეწონილია სტაჟირების ობიექტების მრავალფეროვნება და რელევანტური სახელმწიფო/კერძო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობა.

3. პროფესიის სამართლებრივი მონესრიგების ფორმა

იურიდიული განათლებისა და პროფესიაში დაშვების მოქმედი მოდელი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტითა თუ ბრძანებით არის მონესრიგებული. მაგალითად, იურიდიულ განათლებასთან დაკავ-

შირებული ზოგადი საკითხები გათვალისწინებულია „უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში. სწავლის მინიმალური შედეგები განსაზღვრულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამართლის დარგობრივი მახასიათებლით.³⁸⁹ აკრედიტაციის საკითხი, ზოგადი წესის მიხედვით, წესრიგდება „აკრედიტაციის დებულებით“³⁹⁰. პროფესიაში დაშვების დამატებითი წინაპირობები კი სხვადასხვა კანონითაა დადგენილი, მიმართულებების მიხედვით.³⁹¹

იურისტის პროფესიის სპეციფიკა და რეგულირებადი ხასიათი თავისთავად განაპირობებს საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებას. მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს რელევანტურ საკითხთა უდიდეს ნაწილს. ამის მიუხედავად, სამართლებრივი გამართულობისა და პროფესიისა და იურიდიული განათლების რეგულირების უკეთ ორგანიზების მიზნისთვის, უმჯობესია, არსებობდეს ერთიანი საკანონმდებლო აქტი – „იურიდიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.³⁹² „იურიდიული განათლების შესახებ“ კანონის მიღება განსაკუთრებით აქტუალური იქნება ნაშრომში შემოთავაზებული მოდელის ფარგლებში, მოსაწესრიგებელ საკითხთა მოცულობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით. კანონი, თავის მხრივ, მიზანშეწონილია, მოიცავდეს პროფესიაში დაშვების სრულ სტანდარტს. მაგალითად, გერმანიის ლანდებში მოქმედი იურიდი-

³⁸⁹ იხ., სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის (MES 12000326937) ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“.

³⁹⁰ იხ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმალღესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“.

³⁹¹ მაგ., იხ., „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი; „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი.

³⁹² იხ., ჩოკორაია კ., სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, თბილისი, 2021, 16.

ული განათლების შესახებ კანონები მოიცავს იურიდიული განათლების, სახელმწიფო გამოცდების, პრაქტიკული მომზადებისა და სხვა რელევანტურ საკითხებს.³⁹³

იურიდიული პროფესიის თავისებურებების, მოსანესრიგებელ საკითხთა მნიშვნელობისა და მოცულობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია „იურიდიული განათლების შესახებ“ კანონის მიღება, რომელიც მოიცავს უმაღლესი იურიდიული განათლების, საკვალიფიკაციო გამოცდის, პრაქტიკული მომზადებისა და სხვა რელევანტურ საკითხებს. მათ შორის, კანონით უნდა მოწესრიგდეს დარგობრივი ორგანოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხიც (მისი დანერგვის შემთხვევაში). ხოლო დარგობრივი აკრედიტაციის სტანდარტების დამტკიცება შესაძლებელი იქნება დამატებით, კანონის საფუძველზე. შრომის ბაზრის მოთხოვნების ცვლილებების პარალელურად ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების თავიდან აცილებისთვის სასურველია, სწავლის მინიმალური შედეგები დეტალურად მოწესრიგდეს კანონისგან განცალკევებით (მაგალითად, განისაზღვროს დარგობრივი აკრედიტაციის სტანდარტებით ან ცალკე დოკუმენტით). ამავდროულად, რეკომენდებულია, სწავლის მინიმალური შედეგების ზოგადი ჩარჩო შექმნას იურიდიული განათლების შესახებ კანონმა ისეთი ფუნდამენტური საკითხების მოწესრიგებით, რომლებიც სახასიათო პროფესიისთვის და, ამდენად, შრომის ბაზრის ცვლილებაზე ნაკლებადაა დამოკიდებული.

³⁹³ მაგ., იხ., Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Hessen, 2004; Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Saarland, 2015; Gesetz über die Ausbildung von Juristinnen und Juristen im Land Berlin (Berliner Juristenausbildungsgesetz - JAG) Landesrecht Berlin, 2003.

V. დასკვნა

ქართული იურიდიული განათლება მის მთავარ მიზანს, პრაქტიკოსი იურისტის მომზადებას, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულები არ ფლობენ პროფესიული საქმიანობის დაწყებისთვის საკმარის უნარებს, რაც მათთვის პრაქტიკაში არაერთ გამოწვევას ქმნის. სამართლებრივი განათლების არსებული მოდელი ვერ პასუხობს დარგის მოთხოვნებსა და უმაღლესი განათლების მიზნებს. შესაბამისად, აუცილებელია ცვლილებების განხორციელება როგორც საკანონმდებლო მოწესრიგების, გარე რეგულირების დონეზე, ისე – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ:

1. სამართლებრივ განათლებაში არსებული გამოწვევების გადასაწყვეტად ერთ-ერთი ფუნდამენტური ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამებში არსებულ პრაქტიკულ კომპონენტს უნდა შეეხოს. რეკომენდებულია, დარგობრივი მახასიათებლით განისაზღვროს საბაკალავრო პროგრამებში აქტიური პრაქტიკის (იურიდიული კლინიკის) კომპონენტის გათვალისწინების ვალდებულება (კანონმდებლობით 5 წლიანი ინტეგრირებული პროგრამის დანერგვის შემთხვევაში, იურიდიულ კლინიკას უნდა მოიცავდეს აღნიშნული პროგრამა); ასევე სამართლებრივი წერის არა მხოლოდ სხვა კურსებში ინტეგრირებულად, არამედ ცალკე დისციპლინის სახით სწავლება. მიზანშეწონილია, დარგობრივი მახასიათებლით ან სპეციალურად შემუშავებული სტანდარტით განისაზღვროს იურიდიული პრაქტიკის სტანდარტი და ძირითადი მახასიათებლები;

2. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში პრობლემურია დარგობრივ მახასიათებელში გათვალისწინებული სწავლის შედეგების იმპლემენტაცია უსდ-ების მიერ. კონკრეტულად, ზოგიერთი სწავლის შედეგი პრობლემური ხდება დანესებულებების მიერ მათი მხოლოდ ფორმალური იმპლემენტაციის ან საკითხების

აღრევის გამო. გამონწვევა ასევე თეორიული კურსების სწავლება. ისეთი დისციპლინები, როგორცაა, „სამართალმცოდნეობა“, „სამართლის თეორია“, „სამართლის ფილოსოფია“, „ქართული სამართლის ისტორია“, „რომაული სამართალი“ და სხვ. ხშირად პროფესიული საქმიანობისგან განყენებული თეორიების სახით ისწავლება, რაც მათ რეალურ მნიშვნელობას აკნინებს და ხელს უშლის სტუდენტების მიერ ამ დისციპლინების სწორ გააზრებას.

მიზანშეწონილია, უსდ-ებმა სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნები პროგრამაში ასახონ შინაარსობრივად და არა მხოლოდ ფორმალურად. დარგობრივ მახასიათებელთან ფორმალურ შესაბამისობასთან ერთად დანესებულებებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ სწავლის თითოეული შედეგის შინაარსზე, პრაქტიკულ და ღირებულებით მნიშვნელობაზე, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირზე. ამავდროულად, პროგრამის შემუშავებისას უსდ-ები არ უნდა ორიენტირდებოდნენ მხოლოდ დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და არსებული პრაქტიკის გაზიარებაზე. მათ უნდა იხელმძღვანელონ ინსტიტუციის მისიით, ღირებულებებითა და სხვა ისეთი ფაქტორებით, რომლებიც ინდივიდუალური, ორიგინალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში დაეხმარებათ;

3. რეკომენდებულია, განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც დაინერგება ხუთწლიანი სამართლის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა, როგორც იურიდიული განათლების მოდელი. სამართლებრივი განათლებისთვის ინტეგრირებული პროგრამის მიზანშეწონილობა დასტურდება ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკით, ასევე საქართველოში მოქმედი სხვა რეგულირებადი პროფესიების გამოცდილების გათვალისწინებით. ალტერნატიული მოდელი სამწლიანი ბაკალავრიატი და ორწლიანი მაგისტრატურაა. ამ მოდელის დანერგვა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიაში დაშვებისთვის მოთხოვნილი იქნება მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ასეთ შემთხვევაში 3+2 მო-

დელი შედეგობრივად სამართლის ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამას დაუახლოვდება. დარგის თავისებურებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, განხილული პროგრამები განხორციელდეს სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომის გარეშე. ამის ნაცვლად, პროგრამა შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკულ პროექტს ან სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ინტეგრირებული იყოს სხვადასხვა სასწავლო კურსში;

4. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასებაში დამსაქმებელთა და პროფესიის სხვა წარმომადგენელთა ჩართულობის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია ორმაგი აკრედიტაციის მოდელის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და დარგობრივი ორგანიზაციის აკრედიტაციის – დანერგვა. ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს მხოლოდ დარგობრივი საკითხების შემონიშნებას, რათა არ მოხდეს ცენტრის მიერ განხორციელებული გარე შეფასების პროცესის დაზღვევა. აკრედიტაციის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია შეიქმნას ერთიანი პროფესიული ორგანო, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესში პროფესიის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელთა ჩართულობა. ალტერნატივის სახით, დასაშვებია ამ ფუნქციას ასრულებდეს ადვოკატთა ასოციაცია, თუ იგი გააერთიანებს იურიდიული პროფესიის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებს. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია პროფესიაში დაშვების ერთიანი სტანდარტის შემუშავებით. დარგის აკრედიტაციის დასამკვიდრებლად მიზანშეწონილია, სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი აკრედიტაცია განისაზღვროს პროგრამების კურსდამთავრებულთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე და შესაბამისად, პროფესიაში დაშვების წინაპირობად.

პროფესიაში მისაღებად იურისტების სათანადოდ მომზადება მხოლოდ იურიდიულ განათლებაში განხორციელებული ცვლილებებით ვერ მიიღწევა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს პროფესიაში დაშვების სტანდარტსა და წინაპირობებს. კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროფესიაში დაშვების მოქმედ

მოდელს მრავალი ხარვეზი აქვს – პროფესიის სხვადასხვა მიმართულებაზე არსებული მოთხოვნები დაუსაბუთებლადაა ერთმანეთისგან გამიჯნული, არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, საკვალიფიკაციო გამოცდები ვერ უზრუნველყოფს კომპეტენციების სათანადოდ შემოწმებას, ადაპტაციის პროგრამის თეორიული ნაწილი ფორმალური და აზრსმოკლებული, ხოლო სტაჟირება არაეფექტიანია. შესაბამისად, აუცილებელია პროფესიაში დაშვების სტანდარტის შემუშავება და დაშვების წინაპირობების მოდიფიცირება:

1. იურიდიული პროფესიის ორგანიზებისა და რეგულირების ეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის, რეკომენდებულია, პროფესიაში დაშვების ერთიანი სტანდარტის შემუშავება – ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის დანერგვა და იურისტთა ასოციაციის ჩამოყალიბება. მიზანშეწონილია, იურისტთა სერტიფიცირება მოხდეს ერთიანად და განისაზღვროს პროფესიის ყველა მიმართულებაზე დაშვების წინაპირობად. იურისტთა ასოციაციის შექმნის ალტერნატივად დასაშვებია მოქმედი ადვოკატთა ასოციაციის იმგვარი ორგანიზება, რომ იგი აერთიანებდეს იურიდიული პროფესიის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებს;

2. რეკომენდებულია, პროფესიაში დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მხოლოდ პრაქტიკული მომზადება და არა თეორიული კურსი. იურისტთა თეორიული მომზადება სამართლებრივი განათლების ფარგლებში უნდა იყოს უზრუნველყოფილი. პრაქტიკული და პროფესიული უნარების გამომუშავება, საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირებასთან ერთად, მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იყოს სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში. ამავდროულად, საკვალიფიკაციო გამოცდის ფორმატი უფრო მეტად უნდა ორიენტირდეს აპლიკანტთა პრაქტიკული და პროფესიული უნარების შეფასებაზე, რისთვისაც ტესტურ მეთოდთან ერთად უნდა გამოიყენებოდეს კაზუსები, სამართლებრივი პრობლემის ანალიზი და სხვა ისეთი დავალებები, რომელთა საშუალებითაც აპლიკანტი შეძლებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის დემონსტრირებას;

3. მიზანშეწონილია, სტაჟირების/პრაქტიკული მომზადების ვადად განისაზღვროს ერთი წელი. ერთწლიანი პრაქტიკული მომზადება გამართლებულია კვლევის ფარგლებში შემოთავაზებული მოდელის პირობებში, პროფესიაში დაშვებისთვის მაგისტრის ხარისხის მოთხოვნასთან ერთად. ხოლო იურიდიული განათლების მოქმედი მოდელის შენარჩუნების შემთხვევაში, კურსდამთავრებულთა პრაქტიკული პრობლემების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ საჭირო იქნება უფრო ხანგრძლივი მომზადება;

4. პრაქტიკული მომზადების ეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის უნდა მოხდეს იურისტთა სტაჟირების მონიტორინგი და შეფასება წინასწარ დადგენილი პერიოდულობითა და მექანიზმებით. დარგობრივმა ორგანიზაციამ მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს პრაქტიკული მომზადების შედეგებზე და გამორიცხოს ფორმალური სტაჟირების შესაძლებლობა. ამავდროულად, სტაჟიორის ხელმძღვანელი ადვოკატებისთვის უნდა განისაზღვროს უფრო დეტალიზებული და შესასრულებელი ფუნქციისთვის რელევანტური მოთხოვნები, რათა მენტორობა შეეძლოს მხოლოდ იმ ადვოკატებს, რომლებსაც ამ პოზიციის დასაკავებლად საკმარისი და სათანადო გამოცდილება აქვთ. ზედამხედველობის ეფექტიანობისთვის ასევე მიზანშეწონილია სტაჟირების შემდგომი შეფასების მექანიზმის შემოღება. შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც წერიით, ისე ზეპირი გამოცდის ფორმატში.

სასურველია, პრაქტიკული მომზადების პერიოდი იყოს ანაზღაურებადი, რათა სტაჟიორებს ჰქონდეთ მეტი მოტივაცია და შესაძლებლობა, სრულად ჩაერთონ სტაჟირების პროცესში. ალტერნატივის სახით შესაძლებელია, ლიცენზიის მოპოვების მსურველებს თავიანთი პრაქტიკული იურიდიული საქმიანობა/გამოცდილება ათავისუფლებდეთ სტაჟირების გავლის ვალდებულებისგან. ასეთი მოქნილი მოდელის არსებობით უზრუნველყოფილი იქნება სტაჟიორთა ინტერესებისა და განსხვავებული მდგომარეობის გათვალისწინება;

5. რეკომენდებულია, დაინერგოს სტაჟირების პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს იურისტთა მომზადებას პროფესიის სხვა-

დასხვა მიმართულებით გამოცდილების მიღებით. 12 თვიანი მომზადება უნდა მოიცავდეს სტაჟირებას როგორც ადვოკატთან, ასევე სახელმწიფო ორგანოში/კერძო კომპანიაში. სტაჟირების ორგანიზებისას გასათვალისწინებელია რესურსებიც. შესაძლო გამოწვევის პრევენციის ერთ-ერთი საშუალება პრაქტიკული იურიდიული გამოცდილების მქონე კანდიდატების სტაჟირების გავლის ვალდებულებისგან გათავისუფლებაა. ამავდროულად, რესურსების საკმარისობის უზრუნველყოფისთვის მიზანშეწონილია სტაჟირების ობიექტების მრავალფეროვნება და რელევანტური სახელმწიფო/კერძო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობა.

იურიდიულ განათლებასა და პროფესიაში დაშვებასთან დაკავშირებით მოსაწესრიგებელი საკითხების მნიშვნელობისა და მოცულობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია „იურიდიული განათლების შესახებ“ კანონის მიღება, რომელიც მოიცავს უმაღლესი იურიდიული განათლების, საკვალიფიკაციო გამოცდის, პრაქტიკული მომზადებისა და სხვა რელევანტურ საკითხებს. მათ შორის, კანონით უნდა მოწესრიგდეს დარგობრივი ორგანოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხიც (მისი დანერგვის შემთხვევაში). დარგობრივი აკრედიტაციის სტანდარტების დამტკიცება შესაძლებელი იქნება დამატებით, კანონის საფუძველზე. ამავდროულად, რეკომენდებულია, სწავლის მინიმალური შედეგების ზოგადი ჩარჩო შექმნას „იურიდიული განათლების შესახებ“ კანონმა ისეთი ფუნდამენტური საკითხების მოწესრიგებით, რომლებიც სახასიათო პროფესიისთვის და, ამდენად, შრომის ბაზრის ცვლილებაზე ნაკლებადაა დამოკიდებული.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

- გეგენავა დ., კამიუ, „უცხო“, სამართალი და მორალი გემოვნებით, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N 2, 2018
- გეგენავა დ., რთული შემთხვევის სირთულე, წიგნში: დუორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021
- გეგენავა დ., სამართალი, როგორც არის, სამართალი, როგორც უნდა იყოს: სიბნელე კურკულუმის ბოლოს, წიგნში: ლადო ჭანტურია 60, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2023
- გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საკონსტიტუციო სამართალწარმოება: ქართული სამართლებრივი განათლების ახალი გამოწვევა, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“, N2, 2022
- გორგოძე მ., ეკლესია-სახელმწიფოს თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში, წიგნში: ლადო ჭანტურია 60, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2023
- გრძელიძე ი., ბუჩაშვილი გ., ქარჩავა მ., უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: მიდგომები, გამოწვევები და შესაძლებლობები, თბილისი, 2019
- ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, 2005
- კენედი დ., სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა, პრაქტიკული სახელმძღვანელო, ლ. ბაქრაძის თარგმანი, ლ. ბაქრაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014
- კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა, სახელმძღვანელო, ი. დარჩიას თარგმანი, თ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2015
- მოსახლიშვილი ლ., სამართლის დარგობრივი მახასიათებელი, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2024
- სამართლებრივი ბაზრის კვლევა საქართველოში, თბილისი, 2021
- ჩოკორაია კ., სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში, თბილისი, 2021
- ჭანტურია ლ., იურიდიული პროფესიები სამართლებრივ სახელმწიფოებში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N1, 2003
- ჭანტურია ლ., ქართული სამართალი და განვითარების ალტერნატივები, წიგნში: ოთარ გამყრელიძე 80, თბილისი, 2016

- ხანთაძე ნ., იურიდიული პრაქტიკის პროგრამები საქართველოში, შეფასება და რეკომენდაციები, თბილისი, 2019
- Anand A. I., Governance Gone Wrong: Examining Self-Regulation of the Legal Profession, *Legal Ethics*, Vol. 21, No. 2, 2018
- Anon J. G., How Do We Assess in Clinical Legal Education: A “Reflection” about Reflective Learning, *International Journal of Clinical Legal Education*, Vol. 23, No. 1, 2016
- Antonioli L., Legal Education in Italy and the Bologna Process, *European Journal of Legal Education*, Vol. 3, No. 2, 2006
- Areen J., Accreditation Reconsidered, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011
- Arup C., Legal Services and Professional Regulation Internationally? Australia Abroad, *Federal Law Review*, Vol. 37, No. 3, 2009
- Bahls S. C., Adoption of Student Learning Outcomes: Lessons for Systemic Change in Legal Education, *Journal of Legal Education*, Vol. 67, No. 2, 2018
- Barrows J. W., On Becoming a Lawyer, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011
- Bartlett F., Student Misconduct and Admission to Legal Practice - New Judicial Approaches, *Monash University Law Review*, Vol. 34, No. 2, 2008
- Bell E. F., Do Bar Examinations Serve a Useful Purpose, *American Bar Association Journal*, Vol. 57, No. 12, 1971
- Bergamini E., Lawyers and Their Freedom of Establishment and Access to the Profession – New Perspectives and Still Existing Restrictions: The Case of Italy, *Romanian Journal of Comparative Law*, Vol. 8, No. 1, 2017
- Boersma J., The Accreditation of Religious Law Schools in Canada and the United States, *Brigham Young University Law Review*, Vol. 2016, No. 4, 2016
- Boon A., The Legal Professions’ New Handbooks: Narratives, Standards and Values, *Legal Ethics*, Vol. 19, No. 2, 2016
- Bosse D. F., ABA Accreditation: A Symbol of Quality, *The Bar Examiner*, Vol. 82, No. 2, 2013
- Braekhus H., Husabo O., The Impact of the Sorbonne-Bologna Declaration on Legal Education in Norway, *European Journal of Legal Education*, Vol. 1, No. 1, 2004
- Bratman B., Improving the Performance of the Performance Test: The Key to Meaningful Bar Exam Reform, *UMKC Law Review*, Vol. 83, No. 3, 2015
- Bucker A., Woodruff W. A., The Bologna Process and German Legal Education: Developing Professional Competence through Clinical Experiences, *German Law Journal*, Vol. 9, No. 5, 2008

- Cardozo M. H., Accreditation in Legal Education, *Chicago-Kent Law Review*, Vol. 49, No. 1, 1972
- Cass R. A., The How and Why of Law School Accreditation, *Journal of Legal Education*, Vol. 45, No. 3, 1995
- Chambliss E., Evidence-Based Lawyer Regulation, *Washington University Law Review*, Vol. 97, No. 2, 2019
- Chemerinsky E., Reimagining Law Schools, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011
- Compagnuccia L., Spigarelli F., The Third Mission of the university: A systematic literature review on potentials and constraints, *Technological Forecasting & Social Change, An International Journal*, Vol. 161, 2020
- Condlin R. J., Practice Ready Graduates: A Millennialist Fantasy, *Touro Law Review*, Vol. 31, No. 1, 2014
- Conison J., The Architecture of Accreditation, *Iowa Law Review*, Vol. 96, No. 5, 2011
- Currier B. A., Assuring Quality in Legal Education: The Accreditation Process of the American Bar Association, *South Texas Law Review*, Vol. 43, No. 2, 2002
- Curtis D. M., Moss D. M., Curriculum Mapping: Bringing Evidence-Based Frameworks to Legal Education, *Nova Law Review*, Vol. 34, No. 2, 2010
- Curtis D. M., "They're Digging in the Wrong Place:" How Learning Outcomes Can Improve Bar Exams and Ensure Practice Ready Attorneys, *Elon Law Review*, Vol. 10, No. 1, 2018
- Daly M. C., The Structure of Legal Education and the Legal Profession, Multidisciplinary Practice, Competition, and Globalization, *Journal of Legal Education*, Vol. 52, No. 4, 2002
- Davies G., Woo M., Navigating Troubled Seas: The Future of the Law School in the United Kingdom and the United States, *Journal of International and Comparative Law*, Vol. 5, No. 1, 2018
- De Groof J., Some Legal Aspects relating to the Internationalisation of Higher Education Quality Assurance, *International Journal for Education Law and Policy*, Vol. 3, No. 1, 2007
- Dodek A., Alderson E., Risk Regulation for the Legal Profession, *Alberta Law Review*, Vol. 55, No. 3, 2018
- Feliu V., Frazer H., Outcomes Assessment and Legal Research Pedagogy, *Legal Reference Services Quarterly*, Vol. 31, No. 2, 2012
- Finkin M. W., Federal Reliance on Voluntary Accreditation: The Power to Recognize as the Power to Regulate, *Journal of Law & Education*, Vol. 2, No. 3, 1973

- Finley A., How College Contributes to Workforce Success: Employer Views on What Matters Most, 2021
- Fuller L. L., On Teaching Law, *Stanford Law Review*, Vol. 3, No. 1, 1950
- Fuller L. L., The Place and Uses of Jurisprudence in the Law School Curriculum, *Journal of Legal Education*, Vol. 1, No. 4, 1949
- Goldsmith J., The Core Values of the Legal Profession for Lawyers Today and Tomorrow, *Northwestern Journal of International Law & Business*, Vol. 28, No. 3, 2008
- Gordon R. W., Lawyers, the Legal Profession & Access to Justice in the United States: A Brief History, *Daedalus*, Vol. 148, No. 1, 2019
- Gregory R. L., Florida's Bar Exam: Ensuring Racial Disparity, Not Competence, *Georgetown Journal of Legal Ethics*, Vol. 18, No. 3, 2005
- Heineman B. W. Jr., Lee W. F., Wilkins D. B., Lawyers as Professionals and as Citizens: Key Roles and Responsibilities in the 21st Century, *Harvard Law School Center on the Legal Profession*, 2014
- Hodgson J., Bologna - How Far Have We Got, *Law Teacher*, Vol. 38, No. 3, 2004
- Holmes O. W. Jr., Learning and Science, *North Carolina Law Review*, Vol. 24, No. 2, 1946
- Jelincic Z., Koch A., Elucidation of the Concept of a Law Clinic as a Prerequisite for Developing the Standards for Law Clinics in Europe, *Asian Journal of Legal Education*, Vol. 7, No. 2, 2020
- Joy P. A., Law Schools and the Legal Profession: A Way Forward, *Akron Law Review*, Vol. 47, No. 1, 2014
- Koriotoh S., Legal Education in Germany Today, *Wisconsin International Law Journal*, Vol. 24, No. 1, 2006
- Lande J., Reforming Legal Education to Prepare Law Students Optimally for Real-World Practice, *Journal of Dispute Resolution*, Vol. 2013, No. 1, 2013
- Luschin Ch., A Germany Ivy: The Bucerius Law School, *Southwestern Journal of International Law*, Vol. 19, No. 1, 2012
- Lutz R. E., An Essay concerning the Changing International Legal Profession, *Southwestern Journal of International Law*, Vol. 18, No. 1, 2011
- Mamak K., Kowalska K. J., Milan E., Klimek P., Modrzewski A. F., The Past, Present and Future of Clinical Legal Education in Poland, *International Journal of Clinical Legal Education*, Vol. 25, No. 2, 2018
- Mazzeschi M., Li Y., The Legal Profession in Italy and the Rules for Outsourcing Legal Services, *US-China Law Review*, Vol. 14, No. 12, 2017

- McFaul H., Does Clinical Legal Education Need Theory?, *Asian Journal of Legal Education*, Vol. 7, No. 2, 2020
- Merryman J. H., Perez-Perdomo R., *The Civil Law Tradition: An Introduction to the Legal Systems of Europe and Latin America*, Stanford, 2018
- Munneke G. A., *Managing a Law Practice: What You Need to Learn in Law School*, *Pace Law Review*, Vol. 30, No. 4, 2010
- Niedwiecki A., *Law Schools and Learning Outcomes: Developing a Coherent, Cohesive, and Comprehensive Law School Curriculum*, *Cleveland State Law Review*, Vol. 64, No. 3, 2016
- Nollent A., Ching J., *Legal Education for the Professions in Two Jurisdictions: Comparison, Consolidation or Fragmentation*, *Law Teacher*, Vol. 45, No. 3, 2011
- Pineiro L. C., *Legal Education in Spain: Challenges and Risks in Devising Access to the Legal Professions*, *International Journal of the Legal Profession*, Vol. 19, No. 2-3, 2012
- Pokorak J. J., Seidman I., Slater G. M., *Stop Thinking and Start Doing: Three-Year Accelerator-to-Practice Program as a Market-Based Solution for Legal Education*, *Washington University Journal of Law & Policy*, Vol. 43, No. 1, 2013
- Pound R., *Generation of Law Teaching*, *Michigan Law Review*, Vol. 38, No. 1, 1939
- Pound R., *Law in Books and Law in Action*, *American Law Review*, Vol. 44, No. 1, 1910
- Pound R., *What Is a Good Legal Education*, *American Bar Association Journal*, Vol. 19, No. 11, 1933
- Redding R.E., *The Counterintuitive Costs and Benefits of Clinical Legal Education*, *Wisconsin Law Review Forward*, 2016
- Reich N., *Recent Trends in European Legal Education: The Place of the European Law Faculties Association*, *Penn State International Law Review*, Vol. 21. No. 1, 2002
- Riedel J., *Training and Recruitment Judges in Germany*, *International Journal for Court Administration*, Vol. 5, No. 2, 2013
- Robertson C. B., *How Should We License Lawyers?*, *Fordham Law Review*, Vol. 89, No. 4, 2021
- Rouhette T., Gérot M., *Regulation of the Legal Profession in France: Overview*, *Country Q&A*, 2022
- Roussy A., *Lawyer Regulation in Canada: Towards Greater Uniformity*, *International Lawyer*, Vol. 50, No. 3, 2017

- Scalia A., Teaching about the Law, Quarterly, Vol. 8, No. 4, 1987
- Scalia A., William and Mary Law School Commencement Address: Reflections on the Future of the Legal Academy, William & Mary Law Review, Vol. 56, No. 6, 2015
- Semple N., Pearce R. G., Knake R. N., A Taxonomy of Lawyer Regulation: How Contrasting Theories of Regulation Explain the Divergent Regulatory Regimes in Australia, England and Wales, and North America, Legal Ethics, Vol. 16, No. 2, 2013
- Smith, S. R., Accreditation Revisited: ABA Reexamination of Approved Law Schools, Wayne Law Review, Vol. 27, No. 1, 1980
- Stuckey R. T., Preparing Students to Practice Law: A Global Problem in Need of Global Solutions, South Texas Law Review, Vol. 43, No. 2, 2002
- Sylvester C., Measuring Competence in Legal Education: A View from the Bridge, Law Teacher, Vol. 49, No. 2, 2015
- Tacha D. R., Training the Whole Lawyer, Iowa Law Review, Vol. 96, No. 5, 2011
- Terry L. S., The Bologna Process and Its Impact in Europe: It's so Much More than Degree Changes, Vanderbilt Journal of Transnational Law, Vol. 41, No. 1, 2008
- Timmer A., Berry J., The ABA's Excellent and Inevitable Journey to Incorporating Professionalism in Law School Accreditation Standards, Professional Lawyer, Vol. 20, No. 1, 2010
- Todd A. G., Writing Lessons from Abroad: A Comparative Perspective on the Teaching of Legal Writing, Washburn Law Journal, Vol. 53, No. 2, 2014
- Vanistendael F., BA + MA = (3+2 = 5+0 = 4+1) x60 ECTS > (3+1) x 60 ECTS, Slovenian Law Review, Vol. 2, No. 2, 2005
- Vollweiler D. M., Don't Panic: The Hitchhiker's Guide to Learning Outcomes: Eight Ways to Make Them More than (Mostly) Harmless, University of Dayton Law Review, Vol. 44, No. 1, 2018
- Walsh R. K., The ABA's Standards for the Accreditation of Law Schools, Journal of Legal Education, Vol. 51, No. 3, 2001
- Watson J. K. Protecting the Public through the Legal Licensing System, Florida Coastal Law Journal, Vol. 1, No. 2, 2000
- Webb J., Regulating Lawyers in a Liberalized Legal Services Market: The Role of Education and Training, Stanford Law & Policy Review, Vol. 24, No. 2, 2013
- Wegner J. W., The Value of Legal Education, Nottingham Law Journal, Vol. 24, 2015

- Witzleb N., Skead N., A Bottom-up Approach to Developing LLB Course Outcomes and an Integrated Curriculum, Law Teacher, Vol. 43, No. 1, 2009
- Wolff H. A., Bar Examinations and Cram Schools in Germany, Wisconsin International Law Journal, Vol. 24, No. 1, 2006

სამართლებრივი აქტები

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი
- „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი
- „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი
- „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს 2015 წლის 27 ნოემბრის კანონი №4582
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 10 მარტის №131 ბრძანებულებით დამტკიცებული „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №411 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი: საზღვაო-სანვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-სანვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესი“
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 თებერვლის №72/ნ ბრძანება „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბრის №206/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბრის №206/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავების წესი“

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები“
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 ნოემბრის (MES 4 22 0001465694) ბრძანებით დამტკიცებული „მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ-ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული „სამართლის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი“
- სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 2023 წლის 31 მაისის №01/4-23 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება“
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს 2015 წლის 27 ნოემბრის კანონი №4582-ის განმარტებითი ბარათი,
- სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულება
- Directive 2005/36/EC of the European Parliament and of the Council on the recognition of professional qualifications [2005] OJ L255/22
- Code of Federal Regulations, US, Department of Education, 1999
- Legal Services Act of UK, 2007, Part 1, Section 1
- The Federal Lawyers' Act (Bundesrechtsanwaltsordnung- BRAO) of Germany, 1959

- Nuova disciplina dell'ordinamento della professione forense, LEGGE 31 dicembre 2012, n. 247
- German Judiciary Act (Deutsches Richtergesetz – DRiG), 1972
- Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz – JAG) Landesrecht Hessen, 2004
- Gesetz über die juristische Ausbildung (Juristenausbildungsgesetz – JAG) Landesrecht Saarland, 2015
- Gesetz über die Ausbildung von Juristinnen und Juristen im Land Berlin (Berliner Juristenausbildungsgesetz – JAG) Landesrecht Berlin, 2003
- Rules of the Court of Appeals for the Admission of Attorneys and Counselors at Law, Court of Appeals, State of New York

განათლების ხარისხის მარეგულირებელი საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტები

- ბოლონის დეკლარაცია, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, ევროპის განათლების მინისტრების ერთობლივი დეკლარაცია, ბოლონია, 1999 წლის 19 ივნისი
- სორბონის დეკლარაცია, ევროპის უმაღლესი განათლების სისტემის არქიტექტურის შარმონიზაცია, სორბონა, პარიზი, 1998 წლის 25 მაისი
- ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენცია, ლისაბონი, 1997
- უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, პარიზი, 2018 წლის 24-25 მაისი
- პასუხისმგებელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, ერევანი, 2015
- უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე ლეუვენნი და ლოუვეინ-ლა-ნეუვე, ბელგია 2009 წლის 28-29 აპრილი
- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ: მზადება გლობალიზაციის გამოწვევებისთვის, ლონდონის კომუნიკე, 2007 წლის 18 მაისი
- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე – მიზნების მიღწევა, უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე, ბერგენი, 2005 წლის 19-20 მაისი
- ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში, უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია, 2005

- უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების ბერგენის კონფერენციაზე მიღებული „კვალიფიკაციების სტრუქტურა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის“ („დუბლინის დესკრიპტორები“), 2005
- Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG), 2015
- Rules of Procedure, European Association for Quality Assurance in Higher Education, 10 March 2021
- Subject Benchmark Statement, Law, The Quality Assurance Agency for Higher Education, United Kingdom, 2023
- Standards and Rules of Procedure for Approval of Law Schools, American Bar Association Section of Legal Education and Admissions to the Bar, 2023-2024

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების ოქმები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 სექტემბრის სხდომის ოქმი N11
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 23 მარტის სხდომის ოქმი MES 7 23 0000334386
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 ივნისის სხდომის ოქმი MES 4 21 0000514088
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 26 მარტის სხდომის ოქმი MES 6 21 0000291303
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 თებერვლის სხდომის ოქმი N50839
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 იანვრის სხდომის ოქმი N53927

ელექტრონული წყაროები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, <[https://cdn.atsu.edu/files/faculty%20programs/medicine/EN/MD%20-\(eng\).pdf](https://cdn.atsu.edu/files/faculty%20programs/medicine/EN/MD%20-(eng).pdf)> [21.06.2024]
- „ბაკალავრიატის 3-წლიანი და სამაგისტრო 1 წლიანი პროგრამები ძალაში 2025 წლიდან შევა“ <<https://edu.aris.ge/news/bakalavriatis-3-wliani>>

da-samagistro-1-wliani-programebi-dzalashi-2025-wlidan-sheva-naec-is-xelmdzgvanelis-komentari.html> [21.06.2024]

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ENQA-ს შეფასება, <<https://eqe.ge/ka/page/static/829/enqa-s-shefaseba>> [21.06.2024]
- ევროპის უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, <<https://bit.ly/3KRhbR5>> [21.06.2024]
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, <<https://bit.ly/3RCUcgC>> [21.06.2024]
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამა, <https://ibs.edu.ge/wp-content/uploads/2024/02/Web_-_MD-Program-Final-Geo.pdf> [21.06.2024]
- ცნობარი აბიტურიენტებისათვის 2024, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, <<https://bit.ly/3Rzt7e0>> [21.06.2024]
- ცნობარი აბიტურიენტებისათვის 2023, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, <<https://bit.ly/3z8PuRt>> [21.06.2024]
- ცნობარი აბიტურიენტებისათვის 2022, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, <<https://bit.ly/3KSst7W>> [21.06.2024]
- ცნობარი აბიტურიენტებისათვის 2021, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, <<https://bit.ly/3xuJMJ5>> [21.06.2024]
- ABA Membership, <<https://www.americanbar.org/membership/>> [21.06.2024]
- Approving Canadian Law School Programs, <<https://flsc.ca/what-we-do/canadian-law-school-programs/>> [21.06.2024]
- Barsotti V., Varano V., Legal Education in Italy, Opinio Juris in Comparatione, Vol. 1, No. 3, 2010, <<https://www.opiniojurisncomparatione.org/wp-content/uploads/2021/03/31-101-1-PB.pdf>> [21.06.2024]
- ENQA, Member and Affiliate Database, <<https://www.enqa.eu/membership-database/>> [21.06.2024]
- Full Members, European Higher Education Area (EHEA), <https://www.ehea.info/page-full_members> [21.06.2024]
- Georgia, European Higher Education Area (EHEA) Members, <<https://www.ehea.info/page-georgia>> [21.06.2024]
- How to become a lawyer in Canada, <<https://bit.ly/3RD2vJ9>> [21.06.2024]
- Initial training of lawyers in the European Union, Italy, <https://e-justice.europa.eu/38584/EN/initial_training_of_lawyers_in_the_european_union?IT-ALY&member=1> [21.06.2024]

- Laurea Magistrale a Ciclo Unico (Single Cycle Degree/Combined Bachelor and Master- 300/360 ECTS) in Law, <<https://www.unibo.it/en/study/first-and-single-cycle-degree/programme/2024/5903>> [21.06.2024]
- Obtaining a German Law Degree, <<https://www.lawstudies.com/countries/germany>> [21.06.2024]
- QS World University Rankings by Subject 2024: Law & Legal Studies, <https://www.topuniversities.com/university-subject-rankings/law-legal-studies?tab=indicators&sort_by=rank&order_by=asc> [21.06.2024]
- Qualifying work experience for candidates, Solicitors Regulation Authority, <<https://www.sra.org.uk/become-solicitor/sqe/qualifying-work-experience-candidates/>> [21.06.2024]
- The Law School Accreditation Process, The Role of the Section, <https://www.americanbar.org/groups/legal_education/accreditation/schools-seeking-aba-approval/> [21.06.2024]
- Unaccredited vs. ABA-accredited Law Schools: What's the Difference?, <<https://onlinelearning.csuohio.edu/blog/unaccredited-vs-aba-accredited-law-schools-whats-difference>> [21.06.2024]
- World University Rankings 2023 by Subject: Law, Times Higher Education <<https://www.timeshighereducation.com/world-university-rankings/2023/subject-ranking/law>> [21.06.2024]
- 2023 Global Ranking of Academic Subjects, Law, Shanghai Ranking, <<https://www.shanghairanking.com/rankings/gras/2023/RS0503>> [21.06.2024]
- Conseil National des Barreaux, French Bar Associations, <<https://www.cnb.avocat.fr/en/annuaire-barreaux>> [21.06.2024]
- Toutes les conditions d'accès à la profession, Le Conseil National des Barreaux, <<https://www.cnb.avocat.fr/fr/toutes-les-conditions-dacces-la-profession>> [21.06.2024]
- I compiti del Consiglio Nazionale Forense, <<https://www.consiglionazionaleforense.it/web/cnf/compiti>> [21.06.2024]
- Università di Pavia, Scienze dei Servizi Giuridici <<https://portale.unipv.it/it/didattica/corsi-di-laurea/corsi-di-laurea-triennale-e-magistrali-a-ciclo-unico/scienze-dei-servizi-giuridici>> [21.06.2024]

სამართლის პროგრამების განმახორციელებელთა კვლევა

წინამდებარე კვლევა ჩატარდა იურიდიული განათლების გამოწვევებსა და საპასუხოდ განსახორციელებელ ცვლილებებზე აკადემიური სფეროს მოსაზრებების შესწავლის მიზნით. კვლევის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განმახორციელებლები (პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის წევრები, სხვ.). გამოკითხვა გაუზიარდა ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (სულ 32), რომელიც ახორციელებს სამართლის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამებს. საბოლოოდ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 31-მა უსდ-მ.


კვლევის მონაწილეები:

1. შპს – სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
4. სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
6. სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7. სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
8. შპს – ქუთაისის უნივერსიტეტი
9. შპს – საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
10. შპს – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
11. შპს – თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
12. შპს – თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

13. შპს – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
14. სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
15. შპს – ალტე უნივერსიტეტი
16. სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
17. სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
18. შპს – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
19. შპს – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
20. შპს – საქართველოს უნივერსიტეტი
21. შპს – კავკასიის უნივერსიტეტი
22. სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
23. ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
24. შპს – საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
25. ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
26. შპს – საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
27. სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
28. შპს – ევროპის უნივერსიტეტი
29. შპს – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
30. ა(ა)იპ – ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
31. შპს – თბილისის თავისუფალი აკადემია

კვლევის შედეგები:


1. იურიდიული განათლების მიღების რომელი მოდელი მიგაჩნიათ ოპტიმალურად?



კვლევაში მონაწილეთა ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ:

- დასაშვებია შერეული სისტემა;
- 3 წლიანი ბაკალავრიატი, 2 წლიანი მაგისტრატურა, ასევე კონკრეტული მიმართულებებით 1 წლიანი მაგისტრატურაც;
- 4 წლიანი ბაკალავრიატი; 2 წლიანი მაგისტრატურა, რომლის დასრულების შემდეგაც შესაძლებელი იქნება სწავლის გაგრძელება სამართლის სადოქტორო პროგრამაზე; ალტერნატივად 1 წლიანი მაგისტრატურა სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების გარეშე.


2. საკმარისია თუ არა სამართლის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული საბაკალავრო საფეხურის სწავლის მინიმალური შედეგები კურსდამთავრებულთა მიერ პრაქტიკული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად? (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ, დამატებით რომელ შედეგებს უნდა ითვალისწინებდეს დარგობრივი მახასიათებელი).



კვლევაში მონაწილეთა ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ:

- აუცილებელია მეტად ფოკუსირება პრაქტიკულ სწავლებაზე;
- თითოეულ სასწავლო კურსში უნდა გამოიკვეთოს მისი პრაქტიკული მნიშვნელობა;
- საკმარისია, თუმცა სასურველია პროფესიაში დაშვების წინაპირობა იყოს მაგისტრის აკადემიური ხარისხი.


3. სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული და პროფესიული უნარებით დამსაქმებლების უკმაყოფილება განპირობებულია:



კვლევაში მონაწილეთა ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ დამსაქმებლების უკმაყოფილება განპირობებულია:

- პროგრამების განხორციელებაში პრაქტიკოსი იურისტების ნაკლები ჩართულობით;
- პროგრამის სასწავლო კომპონენტში პრაქტიკის არასაკმარისი ინტეგრირებით.


4. რა განაპირობებს პრაქტიკულ საქმიანობაში კურსდამთავრებულთათვის არსებულ გამოწვევებს?



კვლევაში მონაწილეთა ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ:

- არსებულ გამოწვევებს განაპირობებს სწავლის პერიოდში რეალური პრაქტიკული გამოცდილების მიღების არასაკმარისი შესაძლებლობა.


5. საკმარისია თუ არა ბაკალავრის ხარისხი პრაქტიკული იურიდიული საქმიანობის დაწყებისთვის?



კვლევაში მონაწილეთა ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ:

- ბაკალავრის ხარისხის საკმარისობა დამოკიდებულია შესასრულებელ ფუნქციაზე;
- საკმარისია დაბალ პოზიციაზე საქმიანობის დასაწყებად.


6. ადვოკატის ლიცენზიის მისაღებად უნდა იყოს თუ არა სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლა სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის?



კვლევაში მონაწილეთა ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ:

- ადაპტაციის პროგრამაში განსახორციელებელია ფუნდამენტური ცვლილებები და, შესაბამისად, მოქმედი ფორმით სავალდებულო არ უნდა იყოს.


7. პრაქტიკულ საქმიანობაზე დაშვების მსურველთათვის მიზანშეწონილია არსებობდეს:



კვლევაში მონაწილეთა ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ:

- პრაქტიკულ საქმიანობაზე დაშვებისთვის საკმარისი კომპეტენციის ჩამოყალიბებას უნდა უზრუნველყოფდეს საუნივერსიტეტო განათლება.


8. მიგაჩნიათ თუ არა ოპტიმალურ ვარიანტად პრაქტიკული იურიდიული საქმიანობის განხორციელების მსურველთათვის საერთო გამოცდის არსებობა, რომლის წარმატებით დაძლევის შემდეგაც იურისტები გახდებიან ერთიანი ასოციაციის წევრები („იურისტთა ასოციაცია“) და ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ პროფესიის ნებისმიერი მიმართულებით?



კვლევაში მონაწილეთა ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ:

- შესაძლებელია ასოციაციაში მიღების წესისა და პირობების ცვლილების შემთხვევაში.

9. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, რა ფორმით უნდა ხორციელდებოდეს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია?



კვლევაში მონაწილეთა ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ:

- აკრედიტაცია უნდა განახორციელოს დარგობრივმა ორგანიზაციამ;
- ზოგადი წესი დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე დარგის ექსპერტების მიერ შემონიშნავს მოიცავს, რაც თავისთავად სპეციალურია და სხვა, დამატებითი შემონიშნების შემოღება არ იქნება მიზანშეწონილი;
- აკრედიტაცია უნდა განახორციელოს დარგობრივმა საბჭომ, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება როგორც სხვადასხვა მიმართულების პრაქტიკოსი იურისტის, ისე აკადემიური სივრცის წარმომადგენელთა ჩართულობა.